# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2008 წელი.

№ 28 (5886)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ახლა უკვე შეგვიძლია, იქით დავუდოთ კომპრომატები

2-4





## გადმოგდებული ძვალი

4

ვინ ეგუება უზნეობას და ვინ - არა

## „უმაღლესმა სასწავლებლებმა სტუდენტებისგან ფული უნდა ამოიღონ!“

5

## ევროკავშირის რეკომენდაციით საქართველო სავიზო რეჟიმს ამკაცრებს

11

## საქართველოს მხოლოდ ნეიტრალიტეტი გადაარჩენს!

7-11



## ბიზნესმენი, პატრიოტი, ქველმოქმედი

## ის მთელ საქართველოს მოუკვდა

***ლონდონში, საკუთარ ბინაში 12 თებერვალს გვიან ღამით, წინასწარი ვერსიით გულის შეტევით დაიღუპა ცნობილი ბიზნესმენი, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი***



**არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი** 1955 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ინსტიტუტის შემდეგ მუშაობდა თბილისის მაუდ-კამბოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. მიაღწია დირექტორის მოადგილის თანამდებობას. მოგვიანებით კომბინატის სააქციო საზოგადოება „მაუდის“ საწარმოდ გადაკეთების ინიციატორი იყო.

1990 წელს კავკასიის რეგიონალური წარმომადგენლობის „ლოგოვაზის“ დირექტორია. ამავდროულად, თბილისში მონოგრაფია გამოსცა საბჭოთა კავშირის ფასთწარმოქმნის მექანიზმის შესახებ.

1992 წლიდან „ლოგოვაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილეა. 1993 წელს მოსკოვში გაემგზავრა. 1994 წლის აპრილიდან 1995 წლამდე ასოციაცია „რუსული საავტომობილო დილერების“ ვიცე-პრეზიდენტია. 1994 წელს „ლოგოვაზის“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე გახდა და მიიღო კომპანიის აქციათა 3,5 პროცენტი.

1995 წლის იანვრიდან „რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ ინიშნება და OPT-ს კომერციული და ფინანსური დირექტორია.

ამავე წლის პირველი აგვისტოდან OPT-ს რეკლამის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. 1996 წლის ოქტომბერში „გაერთიანებული ბანკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1997 წელს სააქციო საზოგადოება „ციმბირის ნავთობის“ („სიბნეფტის“) გაყიდვათა საკონტროლო პაკეტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეა.

2001 წლის 29 მარტს „ტე-ვე-6“-ის გენერალურ დირექტორად დაინიშნა(2 თვის თავზე ეს პოსტი კისილიოვმა დაიკავა). უკვე მაისიდან კი „ტე-ვე-6“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა.

2001 წლის 29 ივნისს რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ 11 აპრილს მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ნიკოლოზ გლუშკოვის გაქცევის ორგანიზების გამო მას ბრალი წაუყენა (გლუშკოვი „აეროფლოტის“ გენდირექტორის პირველი მოადგილე იყო).

2001 წლის ივლისში პატარკაციშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

2001 წლის 11 ოქტომბერს რუსეთის გენპროკურატურამ ქართველ კოლეგებს მისი გადაცემის თხოვნით მიმართა. 2001 წლის ნოემბერში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ „ტე-ვე-6“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილის რუსეთისთვის გადაცემაზე ოფიციალური უარი განაცხადა.

2002 წლის აპრილში გააკეთა განცხადება „საქართველოს ოლიმპიური საქველმოქმედო ფონდის“ შექმნის შესახებ.

2002 წლის 23 ოქტომბერს გენპროკურატურამ პატარკაციშვილს მასშტაბური ფორმით თაღლითობაში დაუსწრებლად დასდო ბრალი (ბრალდება „ავტოვაზიდან“ მანქანების გატაცების გამო სისხლის სამართლის საქმეს შეეხება.) 2006 წლამდე „კომერსანტის“ თანამშრომელი იყო.

2-3

## ბადრი პატარკაციშვილის ცხედარს საქართველოში გადმოასვენებენ

**ბიზნესმენ** ბადრი პატარკაციშვილის ცხედარს უახლოეს დღეებში საქართველოში გადმოასვენებენ. ამის შესახებ პატარკაციშვილის შტაბის წარმომადგენელმა ზაურ კირკიტაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლებასთან დაიწყება მოლაპარაკებები პატარკაციშვილის ცხედარის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით და იმედს გამოთქვამს, რომ არანაირი წინააღმდეგობა ხელისუფლების მხრიდან არ იქნება.

## ლუის რობერტსონმა გარდაცვლილის დებს მიუსამძიმრა

**ბადრი პატარკაციშვილის** გარდაცვალების გამო ოჯახისთვის თანაგრძნობის გამოსახატავად მზია თოთლაძის სახლში ტელერადიოკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორი ლუის რობერტსონი იმყოფებოდა.

როგორც კი გავიგე ეს ამბავი, მაშინვე წამოვედი, რათა ოჯახს თანაგრძნობა გამოვუცხადო. ეს მართლაც ძალიან სამწუხარო ფაქტია, — განაცხადა ლუის რობერტსონმა.

● ძალიან მალე მივაწვდით საზოგადოებას საინტერესო დეტალებს გელბახიანის საქმესთან დაკავშირებით. როგორ დაიგეგმა, როგორ ჩატარდა ეს ოპერაცია და ა. შ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, იმისათვის, რომ დეპუტატს მოუსმინო ფარული ვიდეოჩანაწერით, ამისათვის უნდა აიღო პარლამენტის თავმჯდომარის ნებართვა. ეტყობა ბურჯანაძე არ უნდოდათ საქმის კურსში ჩაეყენებინათ, ამიტომ წავიდნენ კანონის დარღვევაზე. შუამდგომლობაში წერენ, უნდა მოვუსმინოთ მარინა გაბუნიას და მის თანამზრახველებსო



## ◎ „შეთქმულების“ დეტალები

# ახლა უკვე შეგვიძლია, იქით დავუდოთ კომპრომატები

**ხაჭაპურიძის მტკიცებით, გელბახიანისა და პატარკაციშვილის საქმეში დანაშაულის ნიშნები არ არის**

**„ფარულმა ვიდეოჩანაწერებმა“, ანუ კომპრომატებმა, რომელიც ხელისუფლებამ გელბახიანისა და პატარკაციშვილის წინააღმდეგ გამოიყენა, კარგად იმუშავა. ახლა საკითხავია, რეალურად შედგა თუ არა საუბრები, ან რამდენად თავსდება ობიექტურობის ჩარჩოებში მოპოვებული ინფორმაცია. საერთოდაც, ვინ არის დამნაშავე? გვესაუბრება ვალერი გელბახიანის ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე.**

**— რა ეტაპზეა გელბახიანისა და პატარკაციშვილის საქმე?**

— როგორც ცნობილია, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო შეთქმულებასთან დაკავშირებით. საქმეში სამი ბრალდებულია ვალერი გელბახიანი, ბადრი პატარკაციშვილი და მარინა გაბუნია. გაბუნიას მიმართ წარდგენილია ბრალდება, ხოლო გელბახიანისა და პატარკაციშვილის მიმართ გამოტანილია დადგენილება მათი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება — დაპატიმრება და გამოცხადებულია ძებნა. გელბახიანის აღკვეთი ღონისძიება — დაპატიმრება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში და მოხდება განხილვა, თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩვენი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, ამიტომ შემდეგ გავასაჩივრებთ სტრასბურგში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. ჩვენ გადმოგვეცა სისხლის სამართლებრივი მასალები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სრული ვერსია და ახლა ამ მასალებს ვეცნობით. პირველადი შესწავლის შედეგად კი შემიძლია ვთქვა, რომ არც პატარკაციშვილს და არც გელბახიანს დანაშაული არ ჩაუდენია.

ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ პატარკაციშვილი პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი იყო. ამიტომ ცდილობდა, რამე მეთოდი და მექანიზმები შეემუშავებინა, რათა ჩამოეცილებინა ეს კაცი საარჩევნო კამპანიას.

**— ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია?**

— მიზანს ნამდვილად მიაღწია. თუმცა შემუშავებული იყო ასეთი გეგმაც: ვალერი გელბახიანი გამოვიდოდა სახლიდან. მას დახვდებოდა საბრძოლო იარაღით დატვირთული სატვირთო მანქანა, რომელსაც გადმოლახული ჰქონდა სადახლოს საზღვარი. მძღოლი გადაეხვეოდა გელბახიანს და ეტყოდა, მშვიდობით ჩამოვედიო. სწორედ ამ დროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები დააკავებდნენ დანაშაულის ფაქტზე. ბრალდება ამ შემთხვევაში იქნებოდა არა შეთქმულება, არამედ შეიარაღებული აჯანყება.

ასეთი ფაქტების გამო შეიკავა თავი ბადრი პატარკაციშვილმა არჩევნებში მონაწილეობისგან, თუმცა ბოლო მომენტში უარი მაინც არ თქვა. იმის მიუხედავად, რომ პიარკამპანია ფაქტობრივად არ დაუწყია პატარკაციშვილის შტაბს, მან არჩევნებზე რეალური 18-20 პროცენტი მიიღო. ყველაფერი იმისთვის გააკეთა ხელისუფლებამ, რომ პატარკაციშვილის რეიტინგი დაეგდო და მიაღწია შედეგს იმიტომ, რომ პატარკაციშვილი წესიერი კაცი იყო და უკან დაიხია.

**— რას გულისხმობთ?**

— არაფერს. უბრალოდ გაჩერდა. თუმცა რომ გაეგრძელებინა საარჩევნო კამპანია, მჯერა, მეორე ტური, შედგებოდა და გვეყოლებოდა გამარჯვებულიც, ოღონდ არა სააკაშვილი.

**— რეიტინგმაც არ დააყოვნა და დაეცა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ბევრმა დაიჯერა. რატომ წამოეგო ის პროვოკაციას?**

— წამოეგო ნუ ვიტყვით. იმიტომ რომ ეს იყო ხელისუფლების მხრიდან დანაშაულის პროვოცირება, რაც დასჯადია სისხლის სამართლის წესით.

უახლოეს დღეებში ამ ჩანაწერების შესახებ ფილმს გავუშვებთ, სადაც ბევრი რამ გამოაშკარავდება. მინდა შეგახსენოთ ის დეტალი, სადაც გელბახიანი საუბრობს საარჩევნო ყუთებზე. სრულ ვერსიაში კი გელბახიანი იხსენებს იმ ფაქტს, როცა ის კენჭს იყრიდა საჩხერეში მაჟორიტარ დეპუტატად, როგორ ჩაუგდო ასანთი ყუთში მისმა მოწინააღმდეგემ. როცა თავი და ბოლო მოჭრილია, გამოდის, რომ საუბარია მომავალზე, მაშინ როცა ის წარსულზე საუბრობს. ასევე კოდუა მას რამდენჯერმე ეკითხება, რამე უნდა მოხდეს 6-შიო? გელბახიანი პასუხს არ სცემს, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, შეწუხდა და ეუბნება, ჩვენ არ ვამბობთ, რომ 6-ში რამე უნდა მოხდეს, პირიქით, ვამბობთ, რომ თუ არჩევნებს ხელისუფლება არ გააყალბებს, 6 იანვარი არ იქნება. სატელევიზიო ვერსიაში კი ჩანს, რომ გელბახიანი ამბობს, 6 იანვარი იქნება.

**— უცხოელი ადვოკატები არიან საქმეში ჩართული?**

— დიახ. თუმცა ისინი ჯერ არ ჩამოსულან, მაგრამ დეტალებს ვაცნობთ. მათი დასკვნებიც ჩვენი დასკვნების იდენტურია. ამ ჩანაწერებით კაცი პასუხისგებაში მისცე და გაასამართლო, შეუძლებელია. ეს, ალბათ, 30-იანი წლების კომუნისტებს თუ შეეძლოთ.

**— კოდუა დამნაშავეა?**

— რა თქმა უნდა, ის უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში დანაშაულის პროვოცირებისათვის. ადვოკატები ვაპირებთ შუამდგომლობის შეტანას პროკურატურაში და აუცილებლად სამართლებრივად დავასაბუთებთ. მაინტერესებს პროკურატურის პასუხი, ვიცი, უარს გვეტყვის, მაგრამ სამართალი მარტო მათი არაა...

**— მაგრამ, ფაქტია, რომ ბრძოლის მიუხედავად შედეგს ვერ აღწევთ. საინტერესოა, რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს?**

— ეს არის ბრძოლა დემოკრატიისთვის. ახლა დიქტატურაა, მაგრამ სულ ასე ვერ გაგრძელდება. ადვოკატი მაშინ ხარ ძლიერი და შენს კლიენტს იცავ, როცა ესაუბრები სასამართლოს, რომელიც გისმენს, იზიარებს ან არ იზიარებს, თან აქვს საამისოდ არგუმენტები, თუ რატომ იზიარებს ან არ იზიარებს. ახლა კი ურთიერთობა გვაქვს კედელთან. ამიტომ ძალიან ბევრი საქმე იგზავნება სტრასბურგში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. სტრასბურგში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა საქმეს, რომელიც საქართველოდან შევა, მიენიჭოს პრიორიტეტი. ამდენ ხანს ეს მოდელი მოქმედებდა რუსეთის საქმეებზე.

**— პატარკაციშვილი თავის მონოლოგში ამბობდა, ხალხისთვის რომ არ ესროლათ, ამიტომ მინდოდა გადამეხადაო. რას ნიშნავდა?**

— პატარკაციშვილის საქმეზე ოფიციალურად მუშაობენ მისი ადვოკატები შალვა შავგულიძე და სოსო ბარათაშვილი. მაგრამ იმ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც მე მომაწოდეს, შემიძლია ვთქვა, რომ ვინმე დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ნამდვილად პატარკაციშვილის ხმაა? ამას ექსპერტიზა სჭირდება.

შეხვედრის ფაქტს არც პატარკაციშვილი უარყოფდა, არც გელბახიანი, ბუნებრივია, საუბარიც პოლიტიკაზე იქნებოდა, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ ზუსტად ასეთი დიალოგი შედგა.

**— რატომ იყვნენ გელბახიანი და პატარკაციშვილი „გადაჭარბებულად“ გულახდილები კოდუასთან. რატომ დაიმსახურა კოდუამ მათი ასეთი ნდობა?**

— არა გვაქვს იმის გარანტია, რომ ასეთი საუბარი რეალობაში შედგა. რას ხედავენ ცუდს იმაში, რომ პატარკაციშვილი საუბრობს „ბეგრაუნდზე“, რაც ფინალს ნიშნავს, ან „ბუნჩულა ბაბუზე“.

**— ასევე საუბარია რაღაც „გასროლაზეც“ არა?**

— არა. სრულ ვერსიაში ჩანს, რომ სულ სხვა რაღაცაზეა საუბარი. „მე ჩემი გასროლა ჯერ არ გამიკეთებია“ აღიქმება ისე, თითქოს ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ რეალობაში ამბობს, რომ მე ვარ ის ადამიანი, ვისთანაც შეიძლება მოხვიდეთ, რადგან ფულის გამო კაცის გამეტება არ შემიძლიაო. ეს კონტექსტიდან ამოკვეთილია და მიბმულია „ბეგ-რაუნდსა“ და „ბუნჩულა ბაბუას“.

**— როცა ამბობთ, ფირი დამუშავებულიაო ხომ შეიძლება ამის ექსპერტიზა?**

— ამიტომ მოვთხოვეთ ფირი რუსთავი-2-ს, რომელიც ჯერ არ გადმოუციათ. ჩვენ შევადარებთ ამ ფირს და ხელისუფლებისგან გადმოცემულ სრული ვერსიის დედანს. იქნება დამონტაჟებული? ე. ი. მტკიცებულების გაყალბებასთან გვაქვს საქმე. ექსპერტიზას, რა თქმა უნდა, ჩავატარებთ საზღვარგარეთ.

**— თუ ის ფირიც, რომელსაც დედანს უწოდებთ, დამუშავებულია?**

— იმასაც უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა. გასაკვირი იცით რა არის? — ვთქვათ, ჩავიწერე ვინმესთან საუბარი და მივუტანე მოსამართლეს, ის საქმეს არ დაურთავს, როგორც მტკიცებულებას, იტყვის, ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდესო, და რა ამ ფირს არ სჭირდება?! პროკურატურა თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული ამით, მაგრამ დავუშვათ, რომ ეს ჩანაწერები რეალურია. ამის მიუხედავად, გელბახიანისა და პატარკაციშვილის საქმეში არ არის დანაშაულის ნიშნები.

ძალიან მალე მივაწვდით საზოგადოებას საინტერესო დეტალებს გელბახიანის საქმესთან დაკავშირებით. როგორ დაიგეგმა, როგორ ჩატარდა ეს ოპერაცია და ა. შ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, იმისათვის, რომ დეპუტატს მოუსმინო ფარული ვიდეოჩანაწერით, ამისათვის უნდა აიღო პარლამენტის თავმჯდომარის ნებართვა. ეტყობა ბურჯანაძე არ უნდოდათ საქმის კურსში ჩაეყენებინათ, ამიტომ წავიდნენ კანონის დარღვევაზე. შუამდგომლობაში წერენ, უნდა მოვუსმინოთ მარინა გაბუნიას და მის თანამზრახველებსო.

**— რატომ გახდა საჭირო გაბუნიას მოსმენა?**

— იმიტომ, რომ კოდუა ამბობს, მოვიდა ჩემთან გაბუნია და მელაპარაკა და აქ რაღაც შეთქმულებას უნდა ჰქონდეს ადგილი და უნდა ჩავწეროო. არადა, კოდუამ თავიდანვე იცის, რომ უნდა შეხვდეს გელბახიანს, მაგრამ სასამართლოს სთხოვს ნებართვას, რომ მ ოუსმინოს გაბუნიას. ეს იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ გელბახიანს იმუნიტეტი იცავს. ერთადერთი გაბუნიას თანამზრახველი პარლამენტარია და რომ მოუსმინო, უნდა აიღო ნებართვა. არ აქვს ეს ნებართვა აღებული? მაშინ ეს დაუშვებელი მტკიცებულებაა.

იხ. 4 გვ.

## ◎ ელდა

# ბიზნესმენი, პატრიოტი, ქველმოქმედი

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალება ხელისუფლებისთვის უფრო მძიმე დანაკლისი იქნება, ვიდრე ოპოზიციისათვის.**



მისივე თქმით, ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკიდან გამოთიშვამ, შესაძლოა, გართულებული პოლიტიკური პროცესები გაამარტივოს.

უპირველეს ყოვლისა, ისევე, როგორც ბევრი საქართველოს მოქალაქე, ვიზიარებ მისი ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას. რაც შეეხება მისი გარდაცვალების შემდგომ პოლიტიკურ სპექტრში მოსალოდნელ ცვლილებებს, ვფიქრობ, რომ ბადრი პატარკაციშვილის ფაქტორის გამოთიშვა ქართული პოლიტიკიდან პროცესებს მეტნაკლებად გაამარტივებს. უპირველესად, მოხსნის შეთქმულების ვერსიებს, თუ კიდევ არ გაჩნდება ახალი ობიექტი, ვისაც შეიძლება ასეთი რამ მიეწეროს. ოპოზიციური სპექტრი პატარკაციშვილის პოტენციალზე არ იყო დაყრდნობილი. პატარკაციშვილზე დაყრდნობილი იყო მხოლოდ მისი პოლიტიკური პარტია, რომლის ორიენტირებიც ჯერ არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი და შესაბამისად, არ ქმნიდა სერიოზულ პოლიტიკურ ამინდს. ვფიქრობ, რომ პატარკაციშვილის გარდაცვალება ხელისუფლებისათვის უფრო მძიმე დანაკლისი იქნება, ვიდრე ოპოზიციისთვის, ვინაიდან მის მიერ წარმოებული პოლიტიკური თამაშები ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

* * *

**პოლიტიკური პარტია „იმედის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი მიიჩნევს, რომ ბადრი პატარკაციშვილმა პოლიტიკაში მოსვლით სერიოზული შეცდომა დაუშვა და შესაძლოა მისი გარდაცვალების მიზეზიც სწორედ პოლიტიკაში მისი მოსვლა გახდა.**

როგორც ირინა სარიშვილმა განაცხადა, ბადრი პატარკაციშვილი საკუთარ ჯანმრთელობას სერიოზულ ყურადღებას უთმობდა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამხდარიყო.

ბადრი პატარკაციშვილი პოლიტიკაში ბოლო პერიოდში ჩაერთო, რითაც ვფიქრობ, სერიოზული შეცდომა დაუშვა. შესაძლოა მისი გარდაცვალების მიზეზი სწორედ მისი პოლიტიკაში მოსვლა იყოს. შეიძლება ხელოვნური გზით მოხდა გულის შეტევის პროვოცირება, თუ ნამდვილად ასე იყო, მისი გარდაცვალება ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად ხელს აძლევს, — განაცხადა ირინა სარიშვილმა.

* * *

**ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წარმომადგენლის ზაურ კირკიტაძის განცხადებით, პატარკაციშვილი გარდაცვალებამდე სრულიად ჯანმრთელი იყო.**

მისი პირადი ექიმისგან ვიცით, რომ გულთან დაკავშირებით მას არანაირი პრობლემა არ აწუხებდა და სრულიად ჯანმრთელი იყო. თუმცა, გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევა გახდა. ამ დროისთვის სხვა დეტალების დაკონკრეტება არ შეგვიძლია, ეს ჩვენი მხრიდან ცრუ ინფორმაციის გავრცელება იქნება, — განაცხადა ზაურ კირკიტაძემ.

* * *

**იმ ადამიანის გარდაცვალება, რომელიც პრობლემებს უქმნიდა ხელისუფლებას, დიდ ეჭვებს ბადებს, — ამის შესახებ ზურაბ ჟვანიას ძმამ, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ყოფილმა წარმომადგენელმა გიორგი ჟვანიამ განაცხადა.**

როგორც ჟვანია აცხადებს, გარკვეული ეჭვები აქვს, თუმცა ბრიტანული ექსპერტიზის მიმართ მისი ნდობა დიდია და მომავალი მოსაზრებები მთლიანად მათ დასკვნაზე იქნება დამოკიდებული.

ამჟამად ბრიტანეთში მიმდინარეობს ექსპერტიზა და ვალდებული ვართ, მის დასკვნას დაველოდოთ და ვენდოთ. ამ მხრივ ბრიტანეთს დიდი გამოცდილება აქვს, პასუხი, ცხადია, ობიექტური იქნება, — აღნიშნა ჟვანიამ.

№ 28. ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2008 წელი.

# აზრი

● შვიდი ნოემბრის „დამსახურებისათვის“ გენერალ-მაიორობა კოდუამ მიიღო და მისგან დარბეულ ოპოზიციასა და ხალხს გინდათ მიაწეროთ ეს „გმირობა“? თქვენს „პრეზიდენტსაც“ აღარ ენდობით? მან ხომ პირადად მიანიჭა მას ეს „წოდება“! რა, დაიბრიყვეთ, რომ არალეგიტიმურია?




## ◎ პროტესტი

***8 თებერვლის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მუხრან ბურჭულაძის წერილი, რომელშიც თეთრი შავად, შავი კი თეთრად არის წარმოდგენილი. ხელისუფლების ძალთა სამარცხვინო პოლიტიკური თარეში, რასაც სინამდვილეში ადგილი აქვს დღევანდელ საქართველოში, უსირცხვილოდ ინტერპრეტირებულია როგორც „ოპოზიციურ ძალთა სამარცხვინო პოლიტიკური თარეში“. ამასთან, გაიგივებულია რა ხელისუფლება სახელმწიფოსთან, ხოლო მისი დანაშაული — კანონთან, გამოთქმულია მუქარა კანონისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად მიმართული 7 ნოემბრის მსგავსი ქმედებისათვის „საჭირო ზომების მიღებისა“ და „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით“. რა გამოძიება, რის გამოძიება. რა გადამეტება, რის გადამეტება...***

# როცა შავი თეთრად არის წარმოჩენილი და თეთრი - შავად

ავტორის ავტორიტეტული განცხადებით, შვიდი ნოემბერი ჩვენი ქვეყნის „ეროვნული ოპოზიციური მოძრაობის“ ისტორიაში მრავალი სამარცხვინო პოლიტიკურ ქმედების გაგრძელება იყო, სადაც არ შეცვლილა არც მოქმედ პირთა ვინაობა და არც ანტიეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე „პოლიტიკურ“-კრიმინალური მოქმედებების კურსი. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილს მივმართო, რომელიც 7 ნოემბერს პოლიტიკაში პროვოკაციის იარაღად და მსხვერპლად იქცა, რათა შეცნობილ იქნას დანაშაულებრივ ქმედებათა არსი, რომელთა განხორციელებაც ჩვენი მტრის საქმეს განზრახ თუ „უნებლიეთ“ ემსახურებოდა. საქართველოს კანონმდებლობა ამგვარი ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ითვალისწინებს. სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაული კანონით ისჯება ან აღმოიფხვრება იმ სამართლებრივად უფლებამოსილი სამსახურის მიერ, რომელთაც 7 ნოემბერს აღასრულეს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვითი ღონისძიება...ბუნებრივია ისიც, რომ დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები ამართლებენ ხელისუფლების შეცვლას კანონსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, თუკი მმართველი ძალა არ დაიცავს მათ პოლიტიკურ ინტერესებს. ასეთ გამოვლინებებთან, სავარაუდოდ, ხშირად მოგვიწევს შეხვედრა, თუ საჭირო ზომებს არ მივიღებთ, რაც კანონის უზენაესობასა და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ითვალისწინებს...თუ გავაანალიზებთ შვიდ ნოემბერს ხელისუფლების მიერ გამოვლენილ ნებას, იმ აზრამდე მივალთ, რომ დღეს, ხელისუფლების სამწუხაროდ გამართლებულმა მოქმედებამ შეგვინარჩუნა სახელმწიფო“...

შვიდი ნოემბერი რომ მართლაც „ისტორიაში მრავალი სამარცხვინო პოლიტიკური ქმედების გაგრძელება იყო“, ეს სადავო არ არის, მაგრამ რა შუაშია აქ ეროვნული ოპოზიციური მოძრაობა?! კარგით რა, შვიდი ნოემბრის „დამსახურებისათვის“ გენერალ-მაიორობა კოდუამ მიიღო და მისგან დარბეულ ოპოზიციასა და ხალხს გინდათ მიაწეროთ ეს „გმირობა“? თქვენს „პრეზიდენტსაც“ აღარ ენდობით? მან ხომ პირადად მიანიჭა მას ეს „წოდება“! რა, დაიბრიყვეთ, რომ არალეგიტიმურია?

ისტორიაში მრავალი სამარცხვინო პოლიტიკური ქმედების გაგრძელება დღევანდელი ხელისუფლების ქმედებაა და არა ოპოზიციის ქმედება. საკმარისია ითქვას, რომ პირველი ბრალდებულია (არა მარტო ოქრუაშვილის საქმეში, არამედ არჩევნების გაყალბებაშიცძ, მეორე — ბრალმდებელი. სამარცხვინო პოლიტიკური ქმედების „მოქმედ პირთა ვინაობა“ და „ანტიეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე „პოლიტიკურ“-კრიმინალური მოქმედებების კურსიც“ ხელისუფლებაში უნდა მოიკითხოთ და არა ოპოზიციასა თუ ხალხში.

ეროვნულ ოპოზიციურ მოძრაობას არავითარი კავშირი არა აქვს საერთოდ ისტორიასთანაც. იგი, როგორც არა მარტო ოპოზიციის ერთიანობის, არამედ, აგრეთვე ოპოზიციისა და ხალხის ერთიანობის მოვლენა, სულ რამდენიმე თვის წინათ დაიწყო, ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მიხეილ სააკაშვილის მხილებაზე „პროკურორ“ გვარამიას აღმაშფოთებელი უკულმართი რეაგირებით. ბ-ნ ნიკას რომ ცოტა მეტი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა გამოეჩინა და ორივე ჩინოვნიკი ფორმალურად მაინც დაეკითხა, არც ეს მოძრაობა დაიწყებოდა და არც პრეზიდენტი გაარალეგიტიმურდებოდა. აი, რატომ არის აუცილებელი, უმაღლესი ხელისუფალისთვისვე, მისგან დამოუკიდებელი პროკურატურა და სასამართლო!

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა (და არა მისი „ნაწილი“ძ „7 ნოემბერს პოლიტიკაში პროვოკაციის იარაღად და მსხვერპლად“ კი არ იქცა, არამედ ვაი-ხელისუფლების „პოლიტიკის“ მსხვერპლად, რომლის „დანაშაულებრივ ქმედებათა არსი“ დიახაც ემსახურება „ჩვენი მტრის საქმეს“, თანაც განზრახ და არავითარ — „უნებლიეთ“. მტერში, ცხადია, გარეშე იგულისხმება, ვისაც თავისთვის უნდა ეს ქვეყანა. მისი ნების შემსრულებელი უშუალო მტერი კი ხელისუფლებაა, არა მარტო თავისი ხალხის, არამედ თავისი თავისაც.

წერილის ავტორი სავსებით მართალია, როდესაც ლაპარაკობს ოთხმოცდაათიანი წლების ანტისახელმწიფოებრივი მიმართულებების შედეგებზე, „რისთვისაც კანონის წინაშე პასუხისმგებლობა ჯერ არავის დაკისრებია, რამაც, ბუნებრივია, დაუსჯელობისა და რეციდივის სინდრომი დანერგა“. მაგრამ ვის ევალება იმ ორმხრივ დანაშაულებრივი ქმედების გამოძიება და დამნაშავეთა სათანადოდ დასჯა — ოპოზიციას თუ ხელისუფლებას?

რაც შეეხება ფრაზას, თითქოს „დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები ამართლებენ ხელისუფლების შეცვლას კანონსაწინააღმდეგო ქმედებების საფუძველზე, თუკი მმართველი ძალა არ დაიცავს მათ პოლიტიკურ ინტერესებს“, ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა. ხელისუფლებამ და მისმა ყველა ლაქიამ უნდა შეიგნოს, რომ აქ საქმე ეხება არა ოპოზიციის პოლიტიკურ ინტერესებს, არამედ კანონისა და, მაშასადამე, სახელმწიფოს ინტერესებს, რომელთა დასაცავად მიმართული ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, თუ საჭიროა, ძალადობრივიც, კანონსაწინააღმდეგო არ არის. კანონსაწინააღმდეგო ეწოდება „კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო ინტერესების“ წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, სულ ერთია, ოპოზიციის მხრიდან ხორციელდება იგი თუ ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლება, ჩვეულებრივ, ორი სახით ახდენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას: დანაშაულებრივი ბიუროკრატიზმით და კანონიერების მოთხოვნის ძალადობრივი ჩახშობით. ხელისუფლების კანონსაწინააღმდეგო ქმედების მეორე სახეს წარმოადგენდა სწორედ 7 ნოემბრის აქტი, რისთვისაც მისი ორგანიზატორები პასუხისმგებლობას ვერ აიცდენენ.

თავი დავანებოთ ხალხის წინააღმდეგ 7 ნოემბრის მსგავსი მხეცობის „ზომების მიღებად წარმოჩენას“, თორემ ასეთი „ხელისუფლების სამწუხაროდ გამართლებული მოქმედება“ ყოველთვის ვერ „შეგვინარჩუნებს სახელმწიფოს“. შევიგნოთ, რომ სახელმწიფო ვინმეს შესანარჩუნებელი საკუთრება არ არის. იგი ხალხს ეკუთვნის და ხალხის ნებით მხოლოდ განმტკიცდება იგი. 7 ნოემბრით კი, როგორც დასავლეთმაც დაადასტურა, ქართულმა სახელმწიფომ უკან გადადგა ნაბიჯი.

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე**

## ◎ ელდა

მისივე აზრით, არ არის გამორიცხული, საქართველოში ბოლო დროს შექმნილ მდგომარეობას და ბიზნესმენის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს პატარკაციშვილის ჯანმრთელობაზე მართლაც მოეხდინა მძიმე გავლენა.

როდესაც პარტარკაციშვილი ქვეყნის ხელისუფლებას ასეთ პრობლემებს უქმნიდა, ჩნდება ეჭვი გარდაცვალების ვერსიებთან დაკავშირებით, — დასძინა გიორგი ჟვანიამ.

* * *

**ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ბადრი პატარკაციშვილის გვერდით გატარებული წლებით ამაყობს და მიაჩნია, რომ ბიზნესმენი საქართველოს ნამდვილი პატრიოტი იყო.**

როგორც თარგამაძემ განაცხადა, როდესაც ასეთი რანგის ადამიანი გარდაიცვლება, ცხადია, ჩნდება მრავალი ეჭვი.

ერთი რამ გადაჭრით ვიცი, ბადრი პატარკაციშვილი იყო ადამიანი ღირსების უდიდესი გრძნობით და მან ვერ აიტანა ის, რაც მის მიმართ ბოლო დროს განხორციელდა. ახლა ღიად ვაცხადებ, რომ მეამაყება მასთან მუშაობის ყველა წუთი. შესაძლოა, ასეთივე განცხადების გასაკეთებლად ბევრ ჩვენს ცნობად სახეს დიდი გამბედაობის მოკრება დასჭირდეს, — აღნიშნა თარგამაძემ.

* * *

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნაზი არონია ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების ფაქტს ძალიან სამწუხაროს უწოდებს და განსაკუთრებულ თანაგრძნობას უცხადებს მის დებს.**

რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რამდენად იმოქმედებს ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების ფაქტი პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე, ნაზი არონია ჯერ ვერანაირ პროგნოზს ვერ აკეთებს, თუმცა მიიჩნევს, რომ პატარკაციშვილის გარდაცვალება ოპოზიციისთვის საკმაოდ დიდი დარტყმა უნდა იყოს.

ოპოზიციის წარმომადგენლები საკმაოდ ხშირად დადიოდნენ ლონდონში ბადრი პატარკაციშვილთან. დარწმუნებული ვარ, არა ჭკუის საკითხავად, არამედ ფინანსური მხარდაჭერისთვის. შეიძლება, მათ ჰქონდეთ ფინანსური მხარდაჭერა პატარკაციშვილის სამართალმემკვიდრისგან, თუმცა ასეთის დახმარების არარსებობის შემთხვევაშიც კი, სავარაუდოა, რომ ოპოზიცია წინასაარჩევნო კამპანიას და წინასაარჩევნო პროცესებს მაინც განაგრძობს, — აღნიშნა ნაზი არონიამ.

* * *

**— პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი: რაიმე განსაკუთრებულ ინფორმაციას არ ვფლობ. ეს შევიტყვე ისე, როგორც ალბათ უმეტესმა ჩვენმა თანამოქალაქემ დილით საინფორმაციო საშუალებით. როგორ გითხრათ, ამ ფაქტის კომენტირება და მიზეზებზე ლაპარაკი ძალზე ძნელია. ჯერჯერობით,**



**ოფიციალური ცნობით, ის გულის შეტევით გარდაიცვალა. დარწმუნებული ვარ, ლონდონში საკმარისი რესურსი არსებობს იმისთვის, რომ ექსპერტიზა ჩაუტარდეს და გარდაცვალების მიზეზებიც დადგინდეს. მინდა მის ოჯახს სამძიმარი გამოვუცხადო. ეს ფაქტი რა თქმა უნდა სამწუხაროა.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, და ამას არც ვფიქრობ, რომ ქართული პოლიტიკისთვის, მისი სამომავლო კურსისთვის, ამას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ბადრი პატარკაციშვილს თავისი მომხრეები ჰყავდა და პოლიტიკური ორგანიზაციაც ჰქონდა, ამიტომ მათი საქმეა, თუ როგორ გააგრძელებენ შემდგომში მოღვაწეობას“.

* * *

**გრიბოედოვის ქუჩაზე, ბადრი პატარკაციშვილი დის, მზია თოთლაძის სახლში იმყოფებოდა თემურ შაშიაშვილიც.**

რა ვერსიებიც არ უნდა განვითარდეს, უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში ხელისუფლების მიერ შექმნილმა სიტუაციამ მოკლა ბადრი პატარკაციშვილი. რაც მას აკადრეს, ერთი ადამიანის გულს ამის გაძლება არ შეუძლია. მასთან ბოლო პერიოდში დიდი ურთიერთობები არ მქონდა, თუმცა კარგად ვიცნობდი და დიდი საქმეების გაკეთება უნდოდა. ადამიანი, ვისაც დიდი საქმეების გაკეთება შეეძლო, მოკლეს, — აღნიშნა თემურ შაშიაშვილმა.

* * *

**ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების გამო ოჯახისთვის თანაგძნობის გამოსათქმელად ახლების წარნომადგენელი დავით საგანელიძე და ფრაქცია „ჩვენი საქართველოს“ წევრი მერაბ ხურციძე მივიდნენ.**

ეს მართლაც ძალიან სამწუხარო ფაქტია. ბადრი პოტარკაციშვილს ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება უნდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მიეცა, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

მერაბ ხურციძის თქმით კი ყველასთვის ნათელია, რისი და ვისი მსხვერპლი გახდა პატარკაციშვილი.

ამ ფაქტს სხვა არანაირი შეფასება არ სჭირდება. უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ვიდეომასალები, რომელიც პატარკაციშვილის გარშემო დაწყებულ კამპანიას ნათელს მოფენს, — აღნიშნა ხურციძემ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

კონფორმიზმია, აბა, სხვა რა არის, როდესაც მეცნიერებათა აკადემია დაანგრიეს, მას ყოველგვარი ფუნქცია ჩამოართვეს, შემდეგ კი მის წევრებს მაღალი ხელფასები დაუნიშნეს? მეცნიერება, უწინარესად, ინსტიტუტებში იქმნება, და არა რუსთაველზე – აკადემიის შენობაში. თუ ამ ინსტიტუტებს დაშლი, კონფორმისტ დირექტორებს დაუნიშნავ, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ მაღალი ხელფასების შესანარჩუნებლად, როგორღა უნდა აღელვებდეთ მეცნიერების ბედი?



◎ კონფორმიზმი

# გადმოგდებული ძვალი

## ვინ ეგუება უზნეობას და ვინ – არა

**კონფორმიზმი ყველა ეპოქისა და დროის სენია. კონფორმიზმისა და კოლაბორაციონიზმის მრავალი მაგალითით თავს „იწონებს“ საქართველოს ისტორია. ვინ იცის, რამდენ მეფესა თუ დიდგვაროვანს, საკუთარი კეთილდღეობის მიზნით, უცხო მებატონისთვის ხარკად ლამაზი ასულები ან საკუთარი შვილი მიურთმევია... ანდა, მტრის ჯარს შემოსძღოლია და საკუთარ სისხლსა და ხორცზე ხმალი აღუმართავს...**

„ბრუნავს ისტორია, ბრუნავს ერი დაწახნაგებული“... წერდა ოთარ ჩხეიძე. ამ ბრუნვასთან ერთად, მეორდება ვაჟკაცობისა და ერთგულების, ღალატის ამბები... ბრუნავს კონფორმიზმიც, ოღონდ არც მისი არსი იცვლება. იგი კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით ჩვენს დროში გამოვლინდა. ბატონმა შოთა ნადირაშვილმა მრავალჯერ ურჩია საქართველოს ხელისუფლებას, ერის ინტერესების სანაცვლოდ, სხვა ქვეყნის ნების ბრმად აღმსრულებელნი ნუ იქნებოდნენ. ამ ტენდენციამ განსაკუთრებით თავი იჩინა ვარდების რევოლუციის შემდეგ, როდესაც ნამდვილი დემოკრატიისა და თავისუფლების მაგივრად, ფასადური თავისუფლება შეგვრჩა ხელთ. რუსეთთან ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვასალური მორჩილება მოჰყვა, ტყუილად კი არ შეარქვეს აშშ სახელმწიფო მდივნის რომელიღაცა მოადგილის რომელიღაც თანაშემწეს მეთიუ ბრაიზას „საქართველოს გუბერნატორი“.

კონფორმისტული ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოებაც შემგუებლად, კონფორმისტად აქციოს. ერთი მხრივ, ილანძღებიან შევარდნაძის ეპოქის ე.წ. წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეორე მხრივ კი, ხელისუფლება საბჭოთა ხელისუფალთ ჰბაძავს და ე.წ. ვარდების ინტელიგენციას, მხარდამჭერ ხელოვანთ თავად აყალიბებს, რომლებიც გულში მჯიღის ცემით იცავენ „ვარდების მონაპოვარს“, და არც არაფრით განსხვავდებიან „წითელი“ ინტელიგენციისგან.

კონფორმისტები ყველა დროსა და ეპოქაში იყვნენ, მაგრამ მთელ ქართულ ინტელიგენციას ამას ვერ დააბრალებ. მწერალ თამაზ ჭილაძის აზრით, რუსი მწერლებისგან განსხვავებით, ყველაზე საშინელ კომუნისტურ წნეხს 70 წლის განმავლობაში ეროვნული წნეხიც ერთვოდა. კონფორმიზმი, ბუნებრივია, არსებობდა, მაგრამ ვინც ნამდვილ შემოქმედებას ემსახურებოდა და სიტყვით იბრძოდა, მისთვის ასეთი შემგუებლობა მიუღებელი იყო. **„გიორგი ლეონიძე იყო დიდი პოეტი, ტანჯული, წამებული, გულში დაჭრილი კაცი. მას კარგად ვიცნობდი. ლენინურ-სტალინური პრემიები ჰქონდა მიღებული. რას აღარ ამბობენ მასზე, არადა, საქართველოსთვის მოკვდებოდა. განა გალაკტიონს ლენინის ორდენი რომ ეკიდა, კონფორმისტი იყო? მათი შემოქმედება სწორედ საქართველოს განთავისუფლებისთვის იბრძოდა.**

**ამაზე უკვე დავწერე და კიდევ გავიმეორებ, ქართველმა ხალხმა იმ საშინელი ორმაგი წნეხის დროს შეძლო ეროვნული ენერგია კულტურად გადაექცია და არალეგალური თავისუფლება მოეპოვებინა. ჩვენ მონობაში თავისუფალივით გვეჭირა თავი და ახლა, სამწუხაროდ, ზოგჯერ მონებივით ვიქცევით“...**

თამაზ ჭილაძის თქმით, ის ხალხი, რომელიც ჩვენს თაობას კონფორმიზმში სდებდა ბრალს, ახლა თავადაა შემრიგებელნი და შეგუებულნი.

არიან ისეთნიც, რომლებიც საკუთარი სკამებისა და ხელფასების სანაცვლოდ, პოზიციას მრავალჯერ იცვლიან. კონფორმიზმია, აბა, სხვა რა არის, როდესაც მეცნიერებათა აკადემია დაანგრიეს, მას ყოველგვარი ფუნქცია ჩამოართვეს, შემდეგ კი მის წევრებს მაღალი ხელფასები დაუნიშნეს? მეცნიერება, უწინარესად, ინსტიტუტებში იქმნება, და არა რუსთაველზე – აკადემიის შენობაში. თუ ამ ინსტიტუტებს დაშლი, კონფორმისტ დირექტორებს დაუნიშნავ, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ მაღალი ხელფასების შესანარჩუნებლად, როგორღა უნდა აღელვებდეთ მეცნიერების ბედი?

**„ზოგს შეუძლია უზნეობასთან შეგუება და კონფორმიზმის გზით სიარული, ზოგს კი – არა. მე არ შემიძლია, – გვითხრა „ქართული აკადემიის“ წევრმა, პროფესორმა თემურ ნანეიშვილმა, – არის ხალხი, თუნდაც უნივერსიტეტის პროფესურა, რომელთაგან ბევრი თავის დროზე აქტიურ, ზნეობრივ პოზიციაზე არ დადგა. ხელისუფლებამ რაღაც ხელშეკრულება მოიგონა და ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანები პურის ფულის გამო ამ შემოთავაზებას, შემგუებლურ პოზიციას დასთანხმდნენ. ბევრი კი კონფორმისტია და საკუთარ იდეალებზე უარი თქვა.**

**ზოგს კი ეს არ შეუძლია და, მადლობა ღმერთს, ასეთ ადამიანთა რაოდენობა ბევრად მეტია. ხელისუფლებამ ყველაფერი გათვალა, ისიც, რომ ხალხს ეკონომიკურად უჭირს და ისიც, რომ საბჭოთა პერიოდგამოვლილ ხალხს კონფორმიზმიც მოსდევს.**

**უნივერსიტეტის პროფესურას შორის თავიდან ბევრი იყო კრიტიკულად განწყობილი და ჩვენს პოზიციას იზიარებდა, მაგრამ როცა მათ რაღაცა ძვალი გადაუგდეს (ცნობილ მეცნიერებსაცძ, შეცვალეს პოზიცია და პირში წყალი ჩაიგუბეს. ეს არის სწორედ კონფორმიზმი.**

**ხელისუფლება ამისთვის მიზანდასახულად მუშაობს, მთელი სისტემა ააგეს, დაწესებულებებს ქმნიან, რამაც სამწუხაროდ, ინსტიტუციური სახე მიიღო“.**

**თემურ ნანეიშვილის აზრით, საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, დღეს კონფორმიზმისთვის უფრო მეტი პირობაა შექმნილი, რადგან საზოგადოებამ ხმა ამოიღო – პოზიცია გამოიკვეთა. ამ პოზიციას ბევრი დაეთანხმა, მაგრამ ბევრი არა, იმიტომ, რომ კონფორმისტია.**

**კომუნისტების პერიოდში საზოგადოება ასე არ დაპირისპირებია ერთმანეთს, რადგან მაშინ ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას და ყველა გაჩუმებული იყო. ამას კიდევ სხვა რამ ჰქვია. კონფორმიზმი კი არის ის, როდესაც ერთ დღეს აშკარად ერთს ამბობ, მეორე დღეს კი, ძვალის გადმოგდების შემდეგ, სხვა პოზიცია გაქვს და რაც ხდება, ყველაფერს ეგუები, სწორედ კონფორმიზმია უზნეობასთან ყოველგვარი შეგუება რაღაცის სანაცვლოდ“.**

რას აღარ გაიგონებთ ხელისუფლების მხარდამჭერ ხელოვანთა თუ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებზე, რომ მათი უმრავლესობა მოისყიდეს და ათას რამეს დაპირდნენ. ისინიც, პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ, გაჩუმდნენ და აზრი შეიცვალეს. სასაცილოა, როდესაც მწერალი ინტელიგენციის პოლიტიკურ აქტიურობას საბჭოთა წლების გადმონაშთ ძველ კლიშეს უწოდებს, თავად კი ხელისუფლების ნავში მოკალათებულა სარფიანი თანამდებობის მოლოდინში. საკითხავია, რით განსხვავდება იგი თუნდაც მისგანვე ძაგებული საბჭოთა ინტელიგენციისგან?

კონფორმიზმია ისიც, როცა ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელი დიდძალი ანაზღაურების გულისთვის სხვა პარტიაში გადასკუპდება და სხვა ხმაზე იწყებს ჭიკჭიკს, ვითომც იმ პარტიის იდეები მისთვის უფრო ძვირფასია, და მრავალი ასეთი მაგალითის მომსწრენიც გავმხდარვართ.

ასე რომ, კონფორმიზმის სენი უცხო ხილი არ არის, განსაკუთრებით ჩვენს არეულ-დარეულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც სირაქლემას მსგავსად შენიღბული, მაინც მშვენივრად ჩანს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ აქტუალური ინტერვიუ

# ახლა უკვე შეგვიძლია, იქით დავუდოთ კომპრომატები

## ხაჭაპურიძის მტკიცებით, გელბახიანისა და პატარკაციშვილის საქმეში დანაშაულის ნიშნები არ არის

(მეორე გვერდიდან)

კიდევ ერთი დეტალი: კოდუა თავის მოადგილეს სთხოვს, „ჩამთესე“ ოპერატიულ მუშაკად გელბახიანის ჯგუფშიო. მოადგილეც „ბრძნულ“ გადაწყვეტილებას იღებს და გასცემს ბრძანებას – ჩემი უფროსი ჩაეთესოს აგენტად ამ დანაშაულებრივ ჯგუფშიო. კი მაგრამ, კოდუას უფროსი ხომ შინაგან საქმეთა მინისტრია, მან უნდა გასცეს ბრძანება, ვინ ჰკითხავს მოადგილეს?!

ანუ პროცესუალური ნორმები იგნორირებულია, ხოლო კანონი – გადაგდებული. ასევე კოდუა შინაგან საქმეთა მინისტრს წერს, ორი კაცი მივდივართ ლონდონშიო, უკან დაბრუნებული კი სამ ბილეთს აბარებს. რა, ერთმა კაცმა ორი ბილეთით იმგზავრა?

თუნდაც ერთპროცენტიანი დამოუკიდებელი სასამართლოს შემთხვევაში ამ საქმეს სასამართლო და სამართლებრივი პერსპექტივა არ გააჩნია. როცა ვითომ გიორგაძის თანამზრახველის თემურ ჟორჟოლიანის საქმეზე ფურცლის ნაგლეჯიც კი არ იქნა წარდგენილი, რომ ის დამნაშავეა და მაინც მიუსაჯეს, წამოხტა ამერიკელი ადვოკატი პროცესზე და მიმართა მოსამართლე ნოზაძეს, ნუ გგონიათ ასე ნატოში მიგიღებენო. მერე რა? – ნოზაძე ისევ მოსამართლეა.

**– საზოგადოებამ ნახა ჩანაწერები, როგორ ესაუბრება „მასტერა“ ჩეჩენს პატარკაციშვილის ლიკვიდაციაზე. ამ საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე?**

– ლონდონის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა ლორდმა გოლფ სმიტმა 20-გვერდიანი საჩივარი შეიტანა, მაგრამ რეაგირება არ მომხდარა. სამაგიეროდ, ოთხ დღეში პატარკაციშვილის წინააღმდეგ აღძრეს საქმე. მაგრამ თუ ჩეჩენი ტერორისტი კლავს პატარკაციშვილს – ეს არაფერია?

**– ანუ რა იქნება შედეგი, რას მიაღწევთ?**

– შედეგი იქნება მაშინ, როცა ეს ხელისუფლება დაამთავრებს „ხელისუფლეფობანას“ თამაშს. დამერწმუნეთ, ყველა დიქტატურა მთავრდება.

**– ეს ახლო მომავალში მოსალოდნელია? ან მანამდე რა ელოდება გელბახიანს?**

– მანამდე სტრასბურგის ევროპული სასამართლო.

**– რომელსაც დრო სჭირდება...**

– ოთხი წელი სჭირდება, რომ დაიწყონ განხილვა.

**– და ოთხი წელი უნდა იმალებოდეს?**

– არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ჩემი კლიენტი, შეიძლება გამოცხადდეს. მაგრამ მერწმუნეთ, ოთხი წელი ეს ხელისუფლება არ იქნება.

**– რა ხდება პატარკაციშვილის შტაბში, იქ დარჩა იმავე რაოდენობის ხალხი? როგორი განწყობაა?**

– შტაბში დარჩა იმავე რაოდენობის ხალხი. კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი განწყობაა. ელოდებიან საქმის განხილვას, ითხოვენ გამოსვლებს, აქციებში მონაწილეობას. პარტიაც შეიქმნა და ეს ყველაფერი ასახვას ჰპოვებს საპარლამენტო არჩევნებზე.

**– ახალი კომპრომატებით რომ შეებრძოლონ?**

– არა, ახლა უკვე შეგვიძლია, იქით დავუდოთ კომპრომატები. ამის თქმის საფუძველი გვაქვს. და საერთოდაც ეს საქმეა კომპრომატი, ხალხნო, ზღაპარია ეს ყველაფერი, რადგან დოკუმენტურად დასაბუთებული არ არის.

ესაუბრა
**თეა მოსია**

*P. S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გავრცელდა ინფორმაცია ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ბატონ შალვას კომენტარი ვთხოვეთ: – ჩვენი ინფორმაციით, ბატონი ბადრი გულის შეტევით გარდაიცვალა ლონდონში. ალბათ, ჩატარდება სასამართლო ექსპერტიზა, იმიტომ, რომ გამორიცხული არაა, ეს ბუნებრივი სიკვდილი სულაც არ იყოს. ლონდონელი ექსპერტების კომპეტენტურობაში ეჭვს ვერ შევიტანთ, თუმცა, როგორც ითქვა, ბატონ ბადრის ჯანმრთელი გული ჰქონდა. ითქვა ისიც, რომ ბოლო ორი კვირა ის დეპრესიაში ყოფილა.*

*მან 7 ნოემბერს მიტინგზე თქვა, რომ მისი სული და გული საქართველოს ეკუთვნოდა და ასეც იყო. ეს კაცი საქართველოს მომავალზე ფიქრობდა და ამბობდა, მე მინდა საქართველოს ბედნიერება და ამაში უნდა ჩავდო ფულიო, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი უკუღმა შემოუბრუნა, როცა შეიძლებოდა ეს ადამიანი ჩაერთოთ და გამოეყენებინათ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში. და აი, თავისი სიკვდილით დაამტკიცა მან თავისი სიტყვები. უწესო ადამიანები ასე არ კვდებიან. საქართველოს კი დასაკარგი შვილი არა ჰყავს.*

*თ. მ.*

№ 28. ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2008 წელი.

**ჩვენ** • ხელისუფლებამ მეცნიერებას და განათლებას სწორედ ფინანსური გაგუდვით მოუღო ბოლო. მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსი იმ სიმახინჯის მკაფიო მაგალითია, რაც მხოლოდ განუვითარებელ და გაუნათლებელ ქვეყანას ეკადრება



◎ განათლება

# „უმაღლესმა სასწავლებლებმა სტუდენტებისგან ფული უნდა ამოიღონო!“

ასე ბრძანებს მეცნიერებისა და განათლების მინისტრი გია ნოდია და რექტორ გიგი თევზაძეს იმ ბრძანებას უწონებს, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს სწავლის ფულის გადახდის ყოველი გადაცდენილი დღისათვის 1-პროცენტიან საჯარიმო საურავს უწესებს. „ასე არც ერთი მევახშე არ იქცევაო“, – ამბობს ჯონდი ბაღათურია და სტუდენტებს სასამართლოში მხარდაჭერას ჰპირდება.

ამ დროს ამ სტუდენტების მშობლები რას აპირებენ?

თევზაძის სატელევიზიო ინფორმაციით, თურმე უნივერსიტეტის შემოსავლის 75 პროცენტი სტუდენტების გადასახადიდან შემოდის(?!)

სტუდენტებიდან რომ ფულის ამოღება დიდად საშური საქმეა, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს 3000 ლარი ხელფასი აქვს, რექტორს ალბათ უფრო მეტი, ხოლო პროფესორების ხელფასი (500-700 ლარიძ ისე უსუსურად გამოიყურება განათლების სამინისტროს ჩინოვნიკებთან შედარებით, რომ მათზე ლაპარაკიც არ ღირს.

დღეს რომ საქართველოში უნივერსიტეტები არ არსებობს, მათში არსებული გაუბედურებული სასწავლო პროგრამებისა და დაბალი დონის პროფესორ-მასწავლებლების გამო, ამაზე ადრეც ვწერდი, მაგრამ ის, რომ სამეცნიერო მუშაობის დონე ნულზეა დასული, კარგად გამოჩნდა თუნდაც „სამეცნიერო გრანტების“ განაწილების დროს. მთელი ქართული მეცნიერებისათვის ამ „გრანტების“ დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა – 6-7 მილიონი ლარი წელიწადში, იმდენად მცირეა, რომ სერიოზულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ჩატარებაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ამ თანხას სახელმწიფო ერთი ვინმე გადამთიელი მომღერლის ჩამოყვანაზე ხარჯავს! ეს ის თანხაა, რაც ხუთი კილომეტრი შარაგზის დაგებაზე იხარჯება.

ხელისუფლებამ მეცნიერებას და განათლებას სწორედ ფინანსური გაგუდვით მოუღო ბოლო. მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსი იმ სიმახინჯის მკაფიო მაგალითია, რაც მხოლოდ განუვითარებელ და გაუნათლებელ ქვეყანას ეკადრება.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და ამერიკაშიც მდგომარეობა სრულიად საპირისპიროა. მართალია, სწავლების გადასახადი იქაც არის, მაგრამ ეს გადასახადი იქ ხშირად სიმბოლურია. ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა გადასახადი არ აღემატება სტუდენტზე დახარჯული თანხის 10 პროცენტს. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში კი სტუდენტებისთვის სწავლება საერთოდ უფასოა და მათ სახელმწიფოსთან ერთად კერძო პირები, მეცენატები აფინანსებენ.

ეს ჩვენთან არის მევახშეთა „ის კაბალური ფინანსური წესი“, რომელიც სტუდენტის მშობლებს ალატაკებს, ხოლო სტუდენტები ფულს უცოდინრობაში იხდიან. სტუდენტებისგან ფულის ამოღება კი უნივერსიტეტების მუშაობის მთავარი მიზანი გამხდარა.

გასაკვირია, რა უნდა ახალგაზრდობას ასეთ უნივერსიტეტებში?

**მერაბ ჯიბლაძე.**
**„ქართული აკადემია“**

◎ მოულოდნელი რაკურსით

# იმედგაცრუებულის წერილი მისივე რჩეულისადმი

**არასოდეს დამავიწყდება 2006 წლის 28 თებერვალი, უხვთოვლიანი ზამთრის ბოლო დღე. ამ დღეს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე აუცილებლობით გამოწვეული ანგარიშით წარსდგა ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი.**

ჩემდა გასაოცრად, ანგარიშის მოსმენისას, ტელეოპერატორმა სხდომათა დარბაზში გამოიჭირა ასეთი მომენტი: ერთ-ერთი ქალბატონი, რა თქმა უნდა, პარლამენტარი, ხალხის რჩეული, პაწაწკინტელა მაკრატლით ფრჩხილებს იკვნეტდა; მას ფეხებზე ეკიდა რაც იქ ხდებოდა, ამისთანა რამეზე ხალხში იტყვიან: ტყემალზე ზისო!

უნებურად მომეჯარა ფიქრი: ამ დარბაზში, როგორც ჟურნალისტი, მრავალ სესიას დავსწრებივარ; შევხვედრივარ მევენახეს, მეჩაიეს, მექანიზატორს, მწყემსს, მუშას, პოეტს, აკადემიკოსს, პროფესორს და ა.შ.

ახლა ხომ ასეთების ჭაჭანება არ არის პარლამენტში...

მინდა ქება ვთქვა იმ ტელეოპერატორისა, რომელმაც ეს მომენტი „უკვდავყო“. ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პარლამენტარს ფრჩხილების საკვნეტსაჩიჩქნი მაკრატელი კი არ უნდა ეჭიროს ხელში, არამედ ბლოკნოტი და კალამი, რათა მომხსენებლის ნათქვამიდან ზოგი რამ ჩაინიშნოს, შემდეგ, გააანალიზოს სწორი დასკვნა გააკეთოს და თავის საპარლამენტო მოღვაწეობაში გამოიყენოს.

ამჟერად კი ამაზე ფიქრი ზღაპრულ სამყაროს განეკუთვნება.

უფრო გამაოგნებელი იყო ის, რომ ფრჩხილებჩიჩქნია პარლამენტარმა პაწაწინა მაკრატელს ასევე პაწაწუნა ბუდეში ჩადო და მერე ხელჩანთაში უტკუცა თავი, ოპოზიციის ორივე ფრთა, მათი წარმომადგენლები, შესაშური ერთსულოვნებით გაიკრიფნენ დარბაზიდან პროტესტის ნიშნად იმისა, რომ არ მოეწონათ მომხსენებლის პასუხები მათ ზოგიერთ კითხვებზე. ხოლო რაც შეეხება ფრჩხილებჩიჩქნია პარლამენტს, პირველი თუ არა, მეორე მაინც გარბოდა თავისი სამოღვაწეო ასპარეზიდან, სადაც ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის საკმაოდ მტკივნეული, საჭირბოროტო პრობლემაზე, კერძოდ, ჩვენ საზოგადოებაში ქურდული მენტალიტეტის ამოძირკვა-ამოშანთვაზე იყო საუბარი!



ბუნებრივად იბადება კითხვა. რატომ და რისთვის ვწერ ამას? – იმიტომ, რომ პარლამენტიდან, უფრო სწორად, სხდომათა დარბაზიდან მორბენალთა შორის თვალი მოვკარი ჩემს რჩეულს– კობა დავითაშვილს.

ბატონო კობა! პირადად არ გიცნობთ, არასოდეს შეგხვედრივარ, მაგრამ არჩევნების წინა დღეებში ყურადღებას იქცევდა შენი და შენი თანამოაზრეების საჯარო გამოსვლები. შენ ფრიად აქტუალურ, ხალხისთვის საჭირბოროტო პრობლემებს აყენებდი. ვიფიქრე, აი, ეს კაცი გამოადგება ქვეყანას-მეთქი და... მოგეცი ხმა, გზა დაგილოცე პარლამენტში. შენ კი რას აკეთებ?! ქუჩაში გარბიხარ! ვის ან რას გაურბიხარ?

აქვე მინდა შეგახსენო თხუთმეტიოდე წლის წინათ ერთი იაპონელი ჟურნალისტის ნათქვამი: „ქართველებმა მიტინგების მოწყობა დიდებულად ისწავლეს, მაგრამ დაშლა ვერა!“.

ბატონო კობა! რადგან შენი ამომრჩეველი ვიყავი, თავს უფლებას ვაძლევ, გითხრა: საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება, იყოს ოპოზიციონერი. ეს საჭიროც არის და აუცილებელიც, რომ აზრთა ჭიდილში, შეხედულებათა პაექრობაში, განსჯა-კამათში დადგინდეს ყველაზე მთავარი – ჭეშმარიტება!

ეს კი შესაძლებელია ნორმალურ ვითარებასა და ნამდვილად დემოკრატიულ ატმოსფეროში, რომლის სწავლასაც ჩვენ, ქართველები, მხოლოდ ახლა ვიწყებთ! ასეთ პირობებში შენი მოქმედება აშკარად არ არის გამართლებული.

ჭორი დადის,– კობა დავითაშვილი ასეთი გაავებული იმიტომ არის, რომ მინისტრობა, უფრო სწორად პრემიერ-მინისტრობა უნდოდაო! ხელისუფლებას ამიტომაც უდგასო კრიჭაში! დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ თუ ეს მართალია...

სამწუხაროდ, საქართველოში დღეს ყველას პრეზიდენტობა და მინისტრობა უნდა! ბუნებრივად იბადება კითხვა: ვინ შექმნას ხვავი და დოვლათი? ქვეყნის სიძლიერის, ხალხის კეთილდღეობის ფუძე და ლიბო?!

სულაც არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტში ზოგი რამ არ მოგწონდეს. ამაში არაფერია გასაკვირი. სახელგანთქმულ ინგლისელ მწერალს ჯონათან სვიფტს უთქვამს: „ინგლისის პარლამენტის მთელი წლის ლაყბობას გლეხის ერთი წვეთი ოფლი მირჩევნიაო“: გულწრფელად მინდა, არ მოგეცეს საბაბი, მსგავსი რამ ვთქვა ჩვენს პარლამენტზე. თუმცა, რომელ ლაყბობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა პარლამენტართა საკმაო ნაწილი, მათ შორის შენც, ჩემი რჩეული, თავქუდმოგლეჯილი გარბიხართ სხდომათა დარბაზიდან და ქუჩაში იკლავთ ვნებათა ღელვას!!!

ამ ქვეყნად ყველას მოსაწონი არავის, თვით ტიტანებსაც კი ვერ გაუკეთებიათ და ვერც ვერავინ შესძლებს ამას! რთულ ვითარებას კი არ უნდა გავექცეთ, არამედ, მეტი ენერგიულობით და მიზანსწრაფულობით შევებათ მას. მით უმეტეს მაშინ, როცა ხალხის რჩეული ხარ.

სამართლიანობისა და კანონიერებისთვის ბრძოლის წინააღმდეგი როდი ვარ! ყველაფერს აქვს თავისი წესი და რიგი, სამართლებრივი, მორალური, ზნეობრივი და ეთიკური მხარე... თქვენს მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე არავის წამოსცდენია, მოვრჩეთ ლაპარაკს, ახლა მივხედოთ საქმესო!

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს ერთადერთი ადამიანი აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი იყო, რომელიც საქმისკენ, შრომისკენ მოუწოდებდა მომიტინგეებსაც და ორგანიზატორებსაც. მაგრამ არავინ იყო გამგონი! სწორედ ამ გაუგონრობამაც ითამაშა გარკვეული როლი ეროვნული მთავრობისა და პირველი პრეზიდენტის დამხობა-განადგურებაში.

ბატონო კობა! ბოლოს იმის თქმა მინდა, რომ ქუჩის პოლიტიკის ეპოქა წარსულს ჩაბარდა, ჯობია რაც შეიძლება მიზანსწრაფულად, მხნედ და ტალანტიანად იმოღვაწეოთ პარლამენტში და არა უკანმოუხედავად გარბოდეთ იქიდან. ასე მოითხოვს ცხოვრების ცივილიზებული წესი. შენი ამომრჩეველი რომ არ ვიყო, კრინტსაც არ დავძრავდი!

* * *

**მინაწერი: ბატონო კობა! იმედგაცრუებულის ეს მონოლოგი დაწერილია თითქმის ორი წლის წინათ. მაშინვე რამდენიმე გაზეთის რედაქციას მივუტანე, 500 ლარი მომთხოვეს, მეორეგან 400 ლარი და ა.შ, მეხუთე გაზეთის რედაქციამ კი სულ დამიკარგა. ამასობაში შენც დიდი ევოლუცია განიცადე და ამას ყველა ვხედავთ. შენ ზურგი აქციე საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, სულ დატოვე პარლამენტი! ის პარლამენტი, რომელიც კარგია თუ ცუდი, განასახიერებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს ძარღვს და, რომლისკენ მეც, სხვებთან ერთად, გულითადად დაგილოცე გზა!**

**რა ძნელი ყოფილა იმედგაცრუებული კაცის მდგომარეობა!**

**შალვა გულუა.**
**ასურეთი-თბილისი**

● ვისაც შნო აქვს, ისინი გორის რკინიგზის სადგურში ზურგზე ყუთებმოკიდებული კი არ დარბიან, „პირამიდა-99“-ში, თბილ კაბინეტებში სხედან და მორიგ შემკვეთებს ეძებენ, რომ იქ ისეთივე ევრორემონტი წამოიწყონ, როგორც ეს გორის რკინიგზის ვაგზალში „გააიმასქნეს“.
რაც გინდათ თქვით და, საქართველოს რკინიგზა გემრიელი ნაზუქია



◉ ყურადღება: კორუფცია!

# „მატარებელი წავიდა, ვისაც შნო გაქვთ, დაეწიეთ!..“

**ევრორემონტად წოდებული გორის რკინიგზის ვაგზლის ჩვეულებრივი რემონტი 2006 წლის ზაფხულში დაიწყო და მომდევნო წლის გაზაფხულზე დამთავრდა. სამუშაოები შეასრულა ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ „პირამიდა-99“-მა.**

გაახლებული ვაგზლის შენობა საექსპლუატაციოდ საზეიმო ვითარებაში გადაეცა. გაიმართა მიტინგი. სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზიდან“, გორის გამგეობიდან და გუბერნიიდან მოვიდნენ დიდმოხელეები. ბოლო არ უჩანდა პირამიდელებისადმი გამოთქმულ მადლობებს. ისინიც იდგნენ სახეგაბადრულები, უხერხულად ილიმებოდნენ და თავის ოდნავი დაქნევით იხდიდნენ მადლობას.

თუ რა დაჯდა ვაგზლის „ევრორემონტი“ (ეს სიტყვა ბრჭყალებში თუ არ ჩავსვით, დიდ უსამართლობას ჩავიდენთ) სადგურის ხელმძღვანელობისთვის უცნობია. მკაცრადაა გასაიდუმლოებულიო, გვარწმუნებენ ისინი.

საზეიმო მიტინგი დასრულდა. ხალხი წავიდ-წამოვიდა და იმავე საღამოს გარემონტებული და გაკოპწიავებული ვაგზლის შენობა პირველი გამოცდის წინაშე დადგა. წამოვიდა შხაპუნა წვიმა და მშენებლები მიტინგის შემდეგ ცოტაც რომ დარჩენილიყვნენ, უთუოდ გაწითლდებოდნენ: თუნუქის სახურავიდან პერონზე წყალი ჩამოვიდა.

ესეც შენი ევრორემონტი, ესეც შენი ტენდერში გამარჯვებული მშენებლები!

ბუნება მარტო მბრძანებელი კი არა, მკაცრი გამომცდელიც ყოფილა. მეორე დღეს კვლავ იწვიმა, ამჯერად, წყალი მოსაცდელ დარბაზებში ჩამოვიდა და ახლადშეღებილი კედლები ერთიანად დათხაპნა. ერთ დარბაზში ჭერი დასველდა და ჩამოინგრა. იმის შიშით, მგზავრებს თავზე ჭერი არ ჩამოექცეთო, დარბაზი საჩქაროდ დაკეტეს. ბოქლომდადებულია დღემდე მეორე მოსაცდელი დარბაზიც. მგზავრები მატარებლის მოლოდინში გასასვლელებში არიან შეყუჟული. გათბობა, რა თქმა უნდა, არ არის. შესასვლელ-გასასვლელი კარები მოშლილია და შენობაში სუსხიანი ქარი დანავარდობს. სხვა „სიახლე“ ის არის, რომ ამხელა სადგურში, სადაც დღეში 400-მდე კაცი ჩამოდის ან მიემგზავრება, ამაოდ დაუწყებთ ძებნას... საპირფარეშოს. რაშია საქმე, იქნებ ეს სულაც ახალი სიტყვაა ევრომშენებლობის ინდუსტრიაში? ადრე ძალიან ჭირდა — იგრძნობდნენ თუ არა საფრთხეს, პერონზე თავშეყრილი მამაკაცები და დედაკაცები სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ. ახლა ვითარება გამოსწორდა. ჩამოყალიბდა ტუალეტის ბიზნესი: სადგურის ახლომახლო მცხოვრებნი პერონზე გამოდიან და გაჭირვებულები შინ მიჰყავთ, შესაფერისი საფასურის გადახდით.

...მატარებელი არ ჩანს. აწრიალებული მგზავრები კითხულობენ, რატომ იგვიანებს, ნეტავ, რომელი საათიაო. მართლაც, რომელი საათია? აქ, საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის ერთ-ერთ მთავარ კვანძში ვერსად ნახავთ საათს. აქ დრო გაჩერებულია.

ტენდერში გამარჯვებულმა მშენებლებმა ვერაფერი მოუხერხეს რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ გამავალ გვირაბს, რომელსაც მგზავრები სხვადასხვა გზაზე გადაჰყავს. გვირაბი „ევრორემონტამდეც“ წყლით ივსებოდა და დღესაც წყლით ივსება.

ესეც შენი ევრორემონტი!

დილაა, ვაგზლის პერონი თანდათანობით ხალხით ივსება. გამოჩნდნენ მოვაჭრე ქალებიც — თბილისში სოფლის მეურნეობის პროდუქტები მიაქვთ. პერონზე სეირნობენ, საუბრობენ, ყველა თავისებურად ერთობა. სატვირთო მატარებელი გაივლის, — ვაგონებს ითვლიან. ვილაცას შია და თბილისში წასაღები ვაშლის ყუთიდან ერთ ცალს ამოიღებს, დახედავს, დაენანება და ახლა ყუთში სხვა ვაშლს დაუწყებს ძებნას, უფრო შეუხედავს. მადიანად ჩაკბეჩავს და გაღიმებული მე შემომხედავს, მთელ ამ სცენას თვალს რომ ვადევნებდი. მოვაჭრე ქალები ერთ კუთხეში შეყუჟულან, ხან ბაზარზე ლაპარაკობენ, ხან მთავრობაზე, თან მზესუმზირას აკნატუნებენ. მშიერ ძაღლებს, ხროვა-ხროვა პერონზე რომ დაძრწიან, ვილაცა პურის ნატეხს მიუგდებს და ახლა ცნობისმოყვარეობით გასცქერიან ძაღლების ჩხუბს — ვის დარჩება ლუკმა. დღე მხოლოდ ახლა დაიწყო და პერონი უკვე სავსეა ნაგვით. ეგ არაფერი. დასუფთავების სამსახური ჩამოივლის და მთელ ამ ნაგავს ლიანდაგებში გადაუძახებს.

თურმე, ნუ იტყვით და, რკინიგზის ვაგზლის ევრორემონტის პროექტში ვაგზლის რადიოფიცირება გამორჩენიათ (!ძ. მაშ, როგორ ავრცელებენ მატარებლის წასვლა-წამოსვლის შესახებ ინფორმაციას? ფრიად ორიგინალურად. გამოდის პერონზე ვაგზლის ახალგაზრდა თანამშრომელი და აფუთფუთებულ მგზავრებს მთელი ხმით გასძახის: ესა და ეს მატარებელი, ამა და ამ ლიანდაგზე შემოდის და ყურადღებით იყავით, მერე არ დამიწყოს იტალიური, არ გამოგიცხადებიაო.

მართლაც, მატარებელი შემოვა, წამოკრეფს ხალხს, გაბმული საყვირით დაემშვიდობება ქალაქს და მიდის. ყველაფერი კარგადაა, არავითარი ინციდენტი ან გართულება. მორიგე ახალგაზრდაც კარგ გუნებაზეა. ახლა იუმორის დროა.

— მატარებელი თბილისისკენ პირველი ლიანდაგიდან გავიდა. ვისაც შნო გაქვთ, დაეწიეთ!

ვისაც შნო აქვს, ისინი გორის რკინიგზის სადგურში ზურგზე ყუთებმოკიდებული კი არ დარბიან, „პირამიდა-99“-ში, თბილ კაბინეტებში სხედან და მორიგ შემკვეთებს ეძებენ, რომ იქ ისეთივე ევრორემონტი წამოიწყონ, როგორც ეს გორის რკინიგზის ვაგზალში „გააიმასქნეს“.

რაც გინდათ თქვით და, საქართველოს რკინიგზა გემრიელი ნაზუქია.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◉ გლობუსი

# მიუნჰენიდან

**გასულ კვირას, კრემლში, პუტინის მოხსენების დროს ღრმად შეფასდა მისი მმართველობის განვლილი პერიოდი და დღევანდელი ვითარება. გამოვლინდა 2020 წლამდე ქვეყნის განვითარების კონტურები. მსოფლიოს პოლიტიკური წრეები ალბათ ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდნენ რუსეთის პრეზიდენტის სიტყვას, რომ არა საგარეოპოლიტიკური ვითარების პუტინისეული შეფასება და შეიარაღებასთან დაკავშირებული მოსაზრებები.**

მოხსენების ეს მონაკვეთი არაფრით ჩამოუვარდებოდა პუტინის შარშანდელ სახელგანთქმულ მიუნჰენის სიტყვას. როგორც კრემლში, ისე მიუნჰენში გალიზიანებით ითქვა დასავლეთში, კერძოდ აშშ შეიარაღების ზრდაზე, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე, სხვა ისეთ ფაქტორებზე, რომელთა შესახებ, უკანასკნელ წლებში, რუსეთი სისტემატურად გამოხატავს საკუთარ ნეგატიურ დამოკიდებულებას. რუსეთის იგივე პოზიცია დააფიქსირა პირველმა ვიცე-პრემიერმა ივანოვმა მიუნჰენის წლევანდელ შეხვედრაზე. სიახლე ზემოთქმულში არაფერია, მაგრამ ის, რომ რუსეთი აღარ აპირებს შორიდან მაყურებლის როლში ყოფნას და ადეკვატური ნაბიჯებისათვის ემზადება, საყურადღებოა.

პუტინმა გარკვევით თქვა — თუ რუსეთი წინათ, ეკონომიკური სისუსტიდან გამომდინარე ვერ უპასუხებდა დასავლეთს, დღეს მზადაა, მიიღოს გამოწვევაო. პუტინის მოხსენების ეს მონაკვეთი გარკვეულწილად უპასუხებდა აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსის მოხსენებას, რომელშიც რუსეთი ალ-ყაიდას და რეაქციული სახელმწიფოების ერთ რიგშია მოხსენიებული. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფის განცხადება რუსეთისა და ჩინეთის სამხედრო აღმშენებლობასა და კოსმოსთან დაკავშირებით, უფრო საგანგაშო ზარების შემოკვრას ჰგავდა, ვიდრე მორიგ ანტირუსულ გამოსვლას.

რუსეთის რეაქცია შესაბამისი გამოდგა, ამერიკის ხელისუფლებისადმი განმარტების მოთხოვნით დაწყებული და პუტინის მოხსენებით დამთავრებული. თუ ვინ მეტ თანხებს ხარჯავს შეიარაღებისათვის და ვინ ცდილობს იარაღის საშუალებით მსოფლიოში პოზიციების გამაგრებას, სტატისტიკა და საყოველთაოდ შექმნილი ვითარება მეტყველებს. ვაშინგტონ-მოსკოვის ერთმანეთთან კამათი მარტო ამ ორის პრობლემად რომ რჩებოდეს, არხეინად შეიძლებოდა ყოფნა, მაგრამ მათი დამოკიდებულება სხვაზეც მოქმედებს, სხვასაც ითრევს.

**როდესაც ლაპარაკია პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის განთავსებაზე, უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე, რითაც ნატო მჭიდროდ მიუახლოვდება რუსეთის დასავლეთისა და სამხრეთის საზღვრებს, როდესაც რუსეთი, კეთილი ნების გამოხატვის მიზნით, საზღვარგარეთ ხურავს საკუთარ სამხედრო ბაზებს, ხოლო აშშ თავის ბაზებს ხსნის შუა აზიასა და ევროპაში (ბულგარეთ-რუმინეთიძ, ძნელია მისი დარწმუნება ყურისძირში განთავსებული რაკეტების კეთილშობილურ მისიაში და ვაშინგტონის პოლიტიკოსების გულწრფელობაში, რომ რაკეტები რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული. რუსეთი ვერც იმაში დარწმუნდება, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება მისთვისაც კარგი იქნება.**



პუტინის მოხსენებაში ვრცლად აღინიშნა გაუმჯობესებული ეკონომიკურ-სოციალური ვითარების შესახებ, ამასთანავე ხაზი გაესვა სამხედროთვალსაზრისით ქვეყნის გაძლიერებას. ჩანს, რუსეთის ხელისუფლება ნაკლებად მიიღებს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო დასავლურ რეცეპტებს. მას თავისი გზა აქვს და დასავლეთს სურს თუ არა, ანგარიში უნდა გაუწიოს მას. **რუსი პოლიტიკოსების საუბრის ტონი, თავდაჯერებულობა, მეტყველებს ხალხში მოარული ფრაზის — „მოსკოვი ვაშინგტონიდან იმართება“ დასამარებას. აშშ-ს ეკონომიკაში შექმნილმა კრიზისულმა ვითარებამ, დოლარის გაუფასურებამ, მის ნაცვლად თვით ამერიკაშიც ევროს გამოჩენამ, მსოფლიო ჰეგემონის მაღალი მწვერვალიდან დაშვების წინაპირობა შექმნა. აშშ-ს გაუჭირდება დასუსტებული ეკონომიკური ბერკეტით მსოფლიოში მყარი პოზიციების შენარჩუნება, მით უმეტეს რუსეთ-ჩინეთის მოთოკვა, შეიარაღების გარეშე.**

**სამხედრო მშენებლობის ხარჯებში აშშ-ს ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავს. ის ოცჯერ მეტ თანხას ხარჯავს, ვიდრე რუსეთი, თუმცა, მისი აზრით, მეტი სიმტკიცისათვის უფრო მეტია საჭირო. მარტო ერაყსა და ავღანეთში დახარჯული მილიარდები რად ღირს? ავღანეთში არსებული ნატოს 50.000-იანი ჯარიდან უმრავლესობას ამერიკელები შეადგენენ. 40 ქვეყნის სამხედრო მოსამსახურიდან აქტიურ საბრძოლო პროცესში მხოლოდ ამერიკელები და ინგლისელები არიან ჩართული. ვაშინგტონი დაბეჯითებით ითხოვს მოკავშირეებისაგან სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვის გაზრდას, თუმცა უშედეგოდ. შექმნილ ვითარებაში ლოგიკურად მოსჩანს რუსეთის პოზიცია — ნაკლები ანგარიში გაუწიოს დასუსტებულ ოპონენტს.**

პრეზიდენტის ამპლუაში პუტინის მოხსენება უკანასკნელი იყო. არჩევნების შემდეგ ვითარება შეიცვლება, თუმცა არა ისე კარდინალურად, რომ პუტინმა ვერ დაატყოს საკუთარი ხელი, როგორც შინა, ისე გარე პროცესებს. მედვედევის გაპრეზიდენტება და პუტინის გაპრემიერება ორთავიანი ერთხელისუფლებიანობის მომასწავლებელი იქნება. დასავლეთს ნაკლები ილუზია უნდა ჰქონდეს, რომ აღმოსავლეთიდან ლიბერალური სიო დაუბერავს. ეს არა მარტო აშშ-ს, არამედ მისმა სატელიტებმაც, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებამაც უნდა გაითვალისწინოს.

**აქილევსის ქუსლად ქცეული საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების საკითხი უწინდებურად აქტუალურია. რუსეთს არასდროს გამოუთქვამს უარი მოლაპარაკების გამართვაზე, თუმცა ის ყოველთვის მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკებას უნდა ჰქონდეს მკაფიო ჩამოყალიბებული თემები, დღის წესრიგი, სხვა მომენტები. ფორმატი, მოლაპარაკება-მოლაპარაკებისათვის, მათთვის მიუღებელი იყო და არის.** მოსკოვმა არაფორმალური საუბრებისათვის სხვა ფორმატი მოიგონა: დსთ-ს ლიდერთა არაფორმალური სამიტი. ერთ-ერთი ასეთი მალე გაიმარ-

№ 28. ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2008 წელი.

# პოზიცია

**საინტერესოა, რომელიმე ქვეყანამ, მაგალითად რუსეთმა ან ჩინეთმა „გამოცდილი“ დიპლომატიური კადრები – კიწმარიშვილი და ბეგაშვილი რომ დაიწუნონ (ასეც ხდება დიპლომატიაშიძ, რას მოიმოქმედებს ჩვენი ხელისუფლება?**



**მოვისმინეთ**

# საქართველოს მხოლოდ ნეიტრალიტეტი გადაარჩენს!

**დღეს გაცხოველებული დებატები მიმდინარეობს, თუ რა გზით წავიდეს საქართველო და რანაირი მმართველობის სახელმწიფო იყოს – საპრეზიდენტო, საპარლამენტო, კონსტიტუციურ-მონარქიული თუ გამოცხადდეს ქვეყნის სრული ნეიტრალიტეტი.**

რა მოგვიტანა საპრეზიდენტო მმართველობამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, ყველამ გამოვცადეთ და დავრწმუნდით, რომ ეს არის ტოტალურ-დიქტატურული ხელისუფლება, რომ არ არის დემოკრატია და კანონთა უზენაესობა, რის შედეგადაც საქართველომ სრული კრახი განიცადა როგორც ეკონომიკაში, ისე საგარეო პოლიტიკაში.

ზოგიერთების აზრით, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, მაშინ აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და დაიწყება ეკონომიკური აღმასვლა, რომ ქვეყნის უსაფრთხოება გარანტირებული იქნება. არიან ისეთებიც, რომლებიც პრორუსული ორიენტაციის არიან და ფიქრობენ, რომ რუსეთოდ ცხოვრება არ შეიძლება, რომ რუსეთის ნების გარეშე აფხაზეთს ან სამხრეთ ოსეთს ვერ დავიბრუნებთ, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის გასაღები რუსეთის ხელშია და ა. შ.

დიდი ხნის დაკვირვებების შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ გაერო, ევროკავშირი და დასავლეთის ქვეყნები ჩვენთვის თავს დიდად არ იწუხებენ და მხოლოდ დეკლარირებული განცხადებებით და მოწოდებებით გვაწყნარებენ, გვაძლევენ ეკონომიკურ დახმარებებს, რის შედეგადაც საქართველო მათი გავლენის სფეროშია მოქცეული.

ამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახეს, რომ ევროკავშირსა და ნატოს შორის არის დაპირისპირება მრავალ საკითხში. ნატოს ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ ერაყიდან თანდათანობით გამოიყვანა და გამოჰყავს ჯარები. ახლახან აშშ-ს კონგრესმა, რომლის უმრავლესობას დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები შეადგენენ, მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ოფიციალურად იქ აღიარებული 1915 წელს თურქეთში მომხდარი გენოციდი სომხების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია 1,5 მილიონზე მეტი სომეხის გაჟლეტა. ამ ფაქტმა თურქეთის ხელისუფლების პროტესტი გამოიწვია და დღის წესრიგში დაისვა თურქეთის ნატოდან გამოსვლის საკითხი. და თუ საბოლოოდ ასე გადაწყვეტენ, მაშინ ეს იქნება პირველი პრეცედენტი ნატოს ისტორიაში. საერთოდ, აშშ ძირითადად იბრძვის მსოფლიო ბატონობისთვის და საამისოდ მას უპირველესად სჭირდება ნავთობი და სხვა აუცილებელი ნედლეული. სწორედ ნავთობითაა მდიდარი ერაყი და ირანი. ერაყში ომი მძვინვარებს, ხოლო ირანის მიმართ მიზანდასახულად მძვინვარებს პროპაგანდისტული დაშინება, რომ მის წინააღმდეგ მოახდენენ საჰაერო დარტყმებს, თუ ხელს არ აიღებენ ატომური ბომბის შექმნაზე. ამ დროს ირანში რუსეთის დახმარებით შენდება ატომური ელექტროსადგური. არადა, ირანის მეზობელს, პაკისტანს უკვე დიდი ხანია, აქვს ატომური შეიარაღება, მაგრამ მასთან არავითარი დაპირისპირება არ არის.

**ასე თუ ისე, ნატოს წევრად მიღების საკითხი მანამ არ გადაწყდება, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება და არ გამოვალთ კონფლიქტური სიტუაციიდან...**

საპარლამენტო რესპუბლიკა კონსტიტუციური მონარქიის გარეშე მიუღებელია, ხოლო თვით კონსტიტუციური მონარქიის დაფუძნებას არა მარტო ხანგრძლივი დრო სჭირდება, არამედ, აგრეთვე დიდ მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებსაც მოითხოვს.

ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ილია ჭავჭავაძემ გვიწინასწარმეტყველა, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა იქნება ნეიტრალიტეტის გამოცხადება.

დიახ, უპირველესად საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური სახელმწიფო და უარი თქვას აქტიურ საგარეო საქმიანობაზე.

იმისთვის, რომ ქვეყანას თავი დაეღწია გარე ძალების სამხედრო ექსპანსიისაგან და უარი ეთქვა მათგან ეკონომიკურ-ფინანსურ სანქციებში მონაწილეობის მიღებაზე, 1938 წელს შვეიცარიის მთავრობამ გამოაცხადა „ინტეგრალური ნეიტრალიტეტის“ დოქტრინა, ხოლო 1939 წელს დაადასტურა თავისი ნეიტრალიტეტი.

შვეიცარია დაფუძნებულია კონფედერაციულ საფუძვლებზე და შედგება 22 კანტონისაგან. 1874 წელს მიღებული იქნა კონსტიტუცია, რომელიც ამჟამადაც მოქმედებს.

იხ. 11 გვ.

**გლობუსი**

# კრემლამდე

თება და იმ შემთხვევაში, თუ მასში საქართველოს პრეზიდენტიც მიიღებს მონაწილეობას, მას აზრთა გაზიარების შესაძლებლობა გაუჩნდება მხოლოდ. არაფორმალური სამიტი არ ითვალისწინებს მოლაპარაკებას. როგორც წესი, მოლაპარაკებას წინ უძღვის მხარეთა მიერ გამოყოფილი ექსპერტების წინასწარი შეხვედრები, აზრთა გაზიარება, განსახილველი საკითხების ჩამოყალიბება, დღის წესრიგის შედგენა, შესაბამისი გარემოს მომზადება. აქ არა მარტო პროტოკოლური ღონისძიებები იგულისხმება. ერთი სიტყვით, საკითხები ისე უნდა იყოს დაწურული, რომ პრეზიდენტებს დეტალებზე ყურადღების გამახვილება არ მოუხდეთ. პრეზიდენტების საუბარი საათობით არ გრძელდება. ბოლო დროს ასეთს ცივი ომის დასასრულს ჰქონდა ადგილი, როდესაც ერთი ან ორი დღით ხვდებოდნენ ერთმანეთს საბჭოთა და ამერიკელი პრეზიდენტები. საქართველო აშშ-ი არ არის. საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება სხვა ჭრილში განიხილება. მოსწონს თუ არა საქართველოს ხელისუფლებას, რეალობიდან გამომდინარე უნდა შეაფასოს ვითარება, მისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში და გააკეთოს ნაკლებად ემოციური დასკვნები.

აფხაზეთთან და ყოფილ სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ლავროვის მოსაზრება სასიამოვნო მოსასმენი იყო, თუმცა სხვა რუსი პოლიტიკოსების საწინააღმდეგო განცხადებებმა დაჩრდილეს ის, ჩანს ამ საკითხში რუსი პოლიტიკოსების მოსაზრებები ერთობ განსხვავებულია, რაც საეჭვოს ხდის ლავროვის მოსაზრების უმრავლესობაში აღმოჩენას. შეძლებს ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს ყმაწვილი საგარეო საქმეთა მინისტრი გასვლით შედეგიან თამაშს? თუ ფეხბურთს გავიხსენებთ, მაშინ, როდესაც თბილისის „დინამო“ ქუხდა, გასვლითი თამაშის მოსკოვში ჩატარება ყოველთვის ჭირდა. **ქართულ პოლიტიკურ გუნდს საქუხარიც არაფერი აქვს. არაპროფესიონალური აჯაფსანდალი, ჩვენი თვალის ასახვევად, მხოლოდ სახელმწიფო კანცელარიის ბოლო სართულებზე ქუხს.**



ქართული პოლიტიკური ცხოვრების „ბედნიერებას“ დიპლომატიური ცხოვრების „ბედნიერებაც“ მიემატა. ეს სფეროც აქტიურად ჩართეს სახელმწიფო „საკარუსელო“ ორომტრიალში. დიპლომატიისათვის უცხო არ არის პოლიტიკური ხასიათის დანიშვნები, მაგრამ ამ ხერხს იშვიათად მიმართავენ დიპლომატიური სამსახურის სპეციფიკურობიდან გამომდინარე. **დიპლომატია ფაქიზი დარგია. ის ღრმა დიპლომატიურ ცოდნა-გამოცდილებას საჭიროებს. სამწუხაროდ, ამის შესახებ აქ არ იციან. იციან იქ, ჩვენს საზღვრებს გარეთ. ამიტომაც აქ გვაქვს უძველესი პროფესიისადმი უპატივცემულო, გაუპატიურებული დამოკიდებულება. ნაციონალების გუნდი რომ ყოვლისშემძლეა, ამაში რახანია გვარწმუნებენ საშუალო განათლების ან საზღვარგარეთ სამთვიანი კურსების სერტიფიკატის მფლობელი გოგობიჭების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა-გადაადგილებით. სამწუხაროა, რომ ამ თანამდებობრივ ფერხულს დიპლომატიაც შეუერთეს. უფრო სამწუხარო კი ის არის, ელჩად გამწესებული მინისტრი რომ უტიფრად იტყვის, ამ საქმესაც უცბად ავითვისებო.**

ისე, როგორც წინა ხელისუფლების დროს, დღესაც გრძელდება ელჩად დანიშვნის ჩვენეული პროცედურა, ანუ წარმდგენ და მიმღებ ქვეყნებს შორის ელჩის კანდიდატურის შეთანხმების უგულებელყოფა. დიპლომატიური წესის მიხედვით ეს პროცედურა კონფიდენციალურია და გახმოვანებას მას შემდეგ ექვემდებარება, რაც წარმდგენი მხარე მიმღებიდან ოფიციალურად მიიღებს თანხმობას წარდგენილის დანიშვნაზე. დიპლომატიურ ენაზე თანხმობას აგრემანი ჰქვია. ქართული პოლიტდიპლომატიური ელიტა ამ წესს არ ცნობს, რაც სხვა ქვეყნის უპატივცემულობას ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ძველი ანეკდოტი გამახსენდა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელს რომ უკიჟინებდა მაყურებელი „პენალტი“ დაარტყიო, ის კი პასუხობდა – როგორ დავარტყა „სუდია“ არ მაძლევსო. ვინ კითხავს „სუდიას“, დადე და დაარტყიო“, – უყვიროდა ხალხი.

ვინ კითხავს მასპინძელ ქვეყანას, თუ გინდა დღესვე გაუგზავნე ელჩი. ბოლოს და ბოლოს შენ არ ნიშნავ?, მაგრამ დიპლომატიისათვის რომ მიუღებელია ჩვენებური წესი? საინტერესოა, რომელიმე ქვეყანამ, მაგალითად რუსეთმა ან ჩინეთმა „გამოცდილი“ დიპლომატიური კადრები – კიწმარიშვილი და ბეგაშვილი რომ დაიწუნონ (ასეც ხდება დიპლომატიაშიძ, რას მოიმოქმედებს ჩვენი ხელისუფლება?

**ქართულ დიპლომატიას სხვა დაავადებებიც ჭირს. საელჩოების გამოუცდელი კადრებით დაკომპლექტება, დიპლომატიაში გაუთვითცნობიერებლობა არ იძლევა მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ბიზნესწრეებთან, თუნდაც საკუთარ დიასპორასთან კავშირების დამყარების შესაძლებლობას, რაც ხშირად მსმენია სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველებისაგან. მათი ნათქვამი – საელჩოს ჩვენთან კავშირი არ აინტერესებს, თავის ნაჭუჭში არის ჩაკეტილიო, წყლის წვეთებივით ჰგავს ერთმანეთს. საქართველოს საელჩოები მაშინ აქტიურობენ, როდესაც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს მასპინძლობენ. მარტო ამისთვის, ამდენ ქვეყანაში, ღირს ძვირადღირებული საელჩოების შენარჩუნება? ყველას ეს სენი არ ჭირს, გამონაკლისებიც არის, სამწუხაროდ მათ მიერ სიმწრით მომზადებული ანგარიშები, რომლებიც სამინისტროს ეგზავნება, მხოლოდ რიგითი დიპლომატის მაგიდის უჯრაში ასრულებს არსებობას.**

როდესაც თუნდაც შვებულებაში მყოფ ელჩს, დაქინებული თხოვნის მიუხედავად, სამინისტროს ხელმძღვანელობა არ იღებს, როდესაც ერთ ქვეყანაში ელჩადყოფნილი საკუთარ დიასპორას სთხოვდა შემოსავლიდან ათი პროცენტის მისთვის მიცემას (ეს ინფორმაციები თვით დიპლომატებისა და დიასპორის წარმომადგენლების მიერ არის მოწოდებულიძ, სხვა ნეგატიური მაგალითების მოყვანაც შეიძლება, ჩანს, რომ დიპლომატიურ სამეფოში ყველაფერი რიგზე ვერ არის. უშველის ამას ელჩების წამდაუწუმ ცვლა?

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
*პოლიტოლოგი.*

# ეკონომიკა

● სოფელს სახელმწიფოს თანადგომა თუ არ ექნა, თუ მანქანა-ტრაქტორი შეღავათით არ მიეწოდა, საწვავი არ გაიაფდა, სარწყავი წყლით არ მომარაგდა, მინერალურ სასუქებს ცეცხლი თუ ისევ წაეკიდება, ხარ-კავით რას გააწყობენ გლეხები?! ჰოდა, ახლა მაინც თუ მიხედავთ, გვეშველება კი არა, ავყვავდებით



◎ რაცა გვჭირს...

# ახლა მაინც თუ მიჰხედავთ, აგვაყვავებს სოფელი!

***ამ ჩვენს მთავრობას რომ უსმინო, თითქოს საქართველო აქამდე მიწის ზედაპირს ზემოთ არც ყოფილა, თურმე ნელ-ნელა აწარმოებენ არქეოლოგიურ გათხრებს ნაცმოძრაობის ბოსები და სენსაციურ აღმოჩენებსაც აკეთებენ იმ კულტურისა და ხალხის შესახებ, რომელიც თურმე მათ ხელში შედგა როგორც სახელმწიფო. ჩვენს ხალხსაც სწორედ მათი წყალობით დაუნახავს შუქი, წყალი, ბრჭყვიალა ნივთები, სარკეც და ცივილიზებული სამყაროს ანა-ბანაც. საქართველოს მოსახლეობა ვინაა მათ თვალში, საკუთარ ერთან ზურგშექცეულებს თვალი გამუდმებით დასავლეთისკენ უჭირავთ და ეს ამბიციებიც ბუნებრივია, მაგრამ ის გამკვირვებია, რუსეთსაც რომ დაუპირეს სწავლება, როგორ ჩაატარონ საპრეზიდენტო არჩევნები განსაკუთრებული, სულ ცინცხლად შემუშავებული ქართულ-ამერიკული დემოკრატიის რეცეპტით.***

კარგით რა, ბიჭებო, ეგ ისე გამოგდით, შვილიშვილი ბაბუას რომ ასწავლიდა... ღმერთი ნუ გაგიწყრებათ და ზესახელმწიფოებსაც ნუ დაუწყებთ რაღაც-რაღაცეების სწავლებას, თორემ რაც ჩვენთან, საკუთარ მიმტევებელ და გულიან ხალხთან გაგდით, ისინი ადვილად დაგიმტკიცებენ, ძაღლი რომ შინ არ ვარგა, დიდ ნადირთან მისი გამოჩენა მიქარვაა და მეტი არაფერი. მაგრამ დავანებოთ ამ ყველაფერს თავი. ისევ იმ არქეოლოგიას მივუბრუნდეთ, ნაცმოძრაობის სახესა და „საქმეში ჩახედულებას" რომ გვაჩვენებს ყოველდღიურად. პრეზიდენტმა დაინახა და თურმე ნუ იტყვით, ჩვენი ქვეყანა სასოფლო-სამეურნეოც ყოფილა. აბა მარტო სოროსული ხომ არ იქნებოდა?!

ჰოდა, ასე პირდაპირ, სუპერ თეატრალობითა და მღელვარე პათოსით გამოხატა აღშფოთება კვლავ გაპირველპირებულმა — ეს რა ხდება, ამ თაროებზე უცხოური კონსერვები რომ ჩამოგილაგებიათ გასაყიდად, ამას ჩვენი ათასწილად არ აჯობებდაო?! იმდენად გაოგნებული იყო სოფლის მეურნეობის მინისტრი, ისე აწურული და დათრგუნული იდგა მიკროფონების წინ, ძლივსღა ამოღერღა, ეს შენიშვნა პრეზიდენტისგან ადრეც მივიღეთ, მაგრამო...

ბარემაც კარგად ვუწყით ჩვენ ყველამ, რომ ბევრი რამე სჯობს ჩვენებური, ქართული, ნაღდი, გამოცდილი და გამოსადეგი. ეგ ჯერ კიდევ გარკვევით და უყოყმანოდ უთხრა ილიას უბრალო მთიელმა გლეხმა ლელთ ღუნიამ, იმ დალოცვილმა მართალმა კაცმა კი ჩვენ გადმოგვიანდერძა, მაგრამ...

ეჰ, მაშინ მინისტრმაც იმიტომ ამოთქვა მაგრამო, რადგან... იმხანად მიშა 96-პროცენტიანი იყო, ცა ქუდად არ მიაჩნდა. დედამიწას კი ქალამნად როგორ გაიხდიდა, მუდმივ ფრენასა და ალმაფრენაში მყოფი. 26-მილიონიანი თვითმფრინავით ისე დაჰქროდა, თვალსაც ვერ წაასწრებდი, გასწორებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მაშინ ვის რად ანაღვლებდა, რა ხდებოდა ჭოპორტში, ან სად იყო საერთოდ და რითი სუნთქავდა, რითი არსებობდა მთელი საქართველო თავისი სოფლებითა და ნაწალკოტარი ბაღ-ვენახებით.

არადა, აგერ ორი ათეული წლის წინათ მარტო გარდაბნელებს ყოველწლიურად 120-130 ტონა ბოსტნეული მოჰყავდათ. გარდაბნის რაიონში ოთხი საკონსერვო ქარხანა იყო და იქ დამზადებული ტომატი თუ სხვა საკონსერვო პროდუქცია რუსეთში ისე იყიდებოდა, გაგიხარია. თვით შორეულ უცხოეთშიც იგზავნებოდა საკმაო რაოდენობა და, აქედან გამომდინარე, შრომასაც ფასი ჰქონდა, რადგან გლეხი ხედავდა ამ ჯაფის შედეგს — საკუთარ კეთილდღეობას.

კომბოსტო რომ კომბოსტოა, ციმციმ იტვირთებოდა ვაგონებში და...

დღეს გარდაბანს ერთი საკონსერვო ქარხანა შემორჩა, იტალიური წარმოების — მიიტანე პომიდორი და ჩაწურე სამლიტრიან ქილებში.

მარნეულელებმა და ბოლნისელებმა საადრეო კარტოფილი იცოდნენ. დადგებოდა გაზაფხული და მოსკოვის თუ ლენინგრადის მოსახლეობა რიგში დგებოდა. მარტო ბოსტნეულით კი არა, ქვემო ქართლი უგემრიელესი ხილეულითაც განთქმული იყო. ახლა მარცვლეული? იმდენი მოჰყავდათ, სხვისთვის გასაზიარებელიც რჩებოდათ. მეცხოველეობას არ იკითხავთ? ვენახის ზვრებში რთველი რომ დაიწყებოდა, ერთი ჟრიამული და მხიარულება დადგებოდა ხოლმე. გამრჯე, სოფლის მეურნეობაში ჭიპმოჭრილი ადამიანები ისეთ ხვავსა და ბარაქას მიაყრიდნენ თბილისის ბაზრებს, გაგიხარია. ეს მხოლოდ ქვემო ქართლი, თორემ მთლიანად საქართველო ხომ ყვაოდა და ყვაოდა.

მე, როგორც საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომელს, ხშირად მიწევდა კრიტიკული სიუჟეტის გადაცემა, მიმღებ პუნქტებში ბოსტნეული და მწვანილი ფუჭდება, შესაბამისი სამსახურები მოუქნელად ირჯებიან და დროულად ვერ ახერხებენ გატანა-რეალიზებას-მეთქი. კარგი დედმამიშვილები იყვნენ და რეაგირება არ მოეხდინათ, ეგრევე ტყავს გააძრობდნენ.

მაშინ არ იყო, წერე და იკითხეო, შენიშვნის შემოსვლიდან 15 დღე იყო ვადა პასუხის გასაცემად. გლეხის ნაამაგარისადმი უგულისყურობას ვინ ვის აპატიებდა. არადა, ერთად მოზღვავებული დოვლათის რეალიზაცია მართლაც ჭირდა.

რაო, ის მიწა, ის ხალხი, ის ქვეყანა ისევ აქ არ არის?! პომიდორი, კიტრი და ნიორი რატომ უნდა შემოდიოდეს აზერბაიჯანიდან ან თურქული კონსერვები, პურის ფქვილი თუ სხვა ყველაფერი, რისი წარმოებაც გლეხის მადლიან ხელს შეუძლია, იმპორტით მიწოდებული ეკადრება ქართველ კაცს?!

მაშ რა ხდება, რატომ განადგურდა ათასობით ჰექტარი სახნავ-სავარგული, რად მოიშალა უნიკალური სარწყავი სისტემა?!

რა, ჩაი რომ ჩაია, რატომ უნდა შემოდიოდეს უცხოეთიდან?! მერე ისეთი, ცხელ წყალში სალებავის სუნი რომ დატრიალდება და წარმომიდგენია კუჭსა და ჯანს რა შხამად წაეცხება ეგ. მარტო ჩემს პატარა სოფელს იმდენი ჩაი მოჰყავდა, ერთ ქალაქს ჰყოფნიდა.

მე ინგლისისა და გერმანიის მაღაზიებშიც მინახავს ლამაზად დაფასოებული ქართული ჩაი და რომ დავინტერესდი, იყიდება თუ არაო, იშვიათად შეგხვდება, თორემ ძალიან კარგიაო.

რაკი ჩემი სოფელი ვახსენე, აქვე ვიტყვი, ერთი პატარა სოფელია, ჯოლევი. ჩრდილოეთით კავკასიონის ქედების განშტოება — ბჟერის მთა უდევს სასთუმლად, სამეგრელოს ორი მდინარე ტეხურა და აბაშა ესაზღვრება. სოფლის შუაგულში ტარჩენის სასწაულმოქმედი წყაროა. ორი ათეული წლის წინათ 220 კომლი ცხოვრობდა აქ. ახლა სოფელი განახევრებულია, ზოგი თბილისში, ელიავაზე „ჩასახლდა", ზოგი რუსეთსა და ევროპას მოედო, ზოგმა კი სად დაიდო ბინა, ძნელი გასარკვევია.

არადა, იქ, კოლხეთის იმ მადლიან მიწაზე, მეცნიერ-ექსპერიმენტატორებმა სრულიად საკავშირო მნიშვნელობის ორი საცდელი მეურნეობა შექმნეს, სადაც დედამიწის ზურგზე თუ რამ ნაყოფის მომცემი მცენარე გაჩენილა, ყველამ იხარა. მერედა, რამდენი ასეთი ბარაქიანი, ღვთისუბედაბერტყილი სოფელია საქართველოში. ჩვენს მეორედმოსულ პრეზიდენტს კი ისიც ახლა გაუკვირდა, უცხოეთიდან ამდენი სურსათი და სოფლის მეურნეობის პროდუქტი რომ ჩამოაქვთ გასაყიდად. იმ პროდუქტების ხარისხი ხომ სავალალოა, მაგრამ ვინღაა გამკითხავი — იყიდე, გაყიდე.

წელს კახეთში ვაზმა ბარაქა რომ დააყენა, მერე რა, გაიხარეს მევენახეებმა?! მანდარინის მოსავალმაც რომ იხუვლა...

მეც ვყვები, რაღა...

**სოფელს სახელმწიფოს თანადგომა თუ არ ექნა, თუ მანქანა-ტრაქტორი შეღავათით არ მიეწოდა, საწვავი არ გაიაფდა, სარწყავი წყლით არ მომარაგდა, მინერალურ სასუქებს ცეცხლი თუ ისევ წაეკიდება, ხარ-კავით რას გააწყობენ გლეხები?! ჰოდა, ახლა მაინც თუ მიხედავთ, გვეშველება კი არა, ავყვავდებით.**

**გივი ჯახუა**

◎ მედიაბიზნესი

# დროის მოთხოვნათა შესატყვისად

***მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ბიზნეს კონსალტინგი", რომელიც უკვე საკმაოდ პოპულარულია როგორც მასმედიის სფეროში, ისე მაღალ ბიზნესწრეებში, წელიწადნახევრის წინათ დაარსდა. მასში შედის ბიზნეს საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „CBC ნიუსი", რომელიც დაინტერესებულ პირებს, ბიზნესკომპანიებს ყოველდღიურ ცინცხალ ინფორმაციებს აწვდის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. გვესაუბრება „CBC ნიუსის" რედაქტორი ირაკლი ლექვინაძე.***

— თავიდან, — ამბობს იგი, — დღეში 400-500 ადამიანი იყენებდა ჩვენს მასალებს, ახლა კი ეს რიცხვი 4000-მდე გაიზარდა, რომლებიც ჩვენი საიტიდან იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციებს.

**— მაინც ვინ არიან თქვენი ინფორმაციის მომხმარებლები?**

— ძირითადად — ბიზნესმენები, მენეჯერები, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული სპეციალისტები. ზოგჯერ უმუშევრებიც შემოდიან ხოლმე ჩვენს საიტზე, რადგან გვაქვს ვაკანსიების ბლოკი.

ჩვენი სააგენტო ერთადერთია, რომელიც მხოლოდ ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხებზე მუშაობს და პოლიტიკით არ ინტერესდება. უცხოელთათვის, რომლებიც საქართველოში თანხებს აბანდებენ, ბიზნესს იწყებენ ან თავიანთ წარმომადგენლობებს აფუძნებენ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეთ ინფორმაცია ადგილობრივ, ქართულ ბიზნესში მომხდარი სიახლეების შესახებ, რაზეც ჩვენ აქტიურად ვწერთ, ვაშუქებთ.

ჩვენ გვაქვს სტატისტიკა, თუ ვინაა ჩვენი აქტიური მომხმარებელი. ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზეა აშშ, შემდეგ — ბრიტანეთი და რუსეთის ფედერაცია. ყველაზე მეტად იყიდება ჩვენი საბანკო და სადაზღვევო სფეროს სიახლეები, ასევე მრეწველობაში, ენერგეტიკაში მომხდარი სიახლეები და მთავრობაში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც უშუალოდ ბიზნესს ეხება.

ასევე გვაქვს სპეციალური პაკეტები. ვთქვათ, არის საბანკო კაპიტალის ბლოკი, რომლის სპონსორები თვითონ ბანკები არიან, საბროკერო კომპანია სპონსორია იმ საფინანსო სიახლეებისა, რაც ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე და მსოფლიო ბაზრებზე ხდება. გვაქვს აგრეთვე საინფორმაციო პაკეტიც, რომლებიც სამშენებლო სიახლეებს ასახავს და ამის სპონსორები არიან თვით ეს სამშენებლო კომპანიები.

პერსპექტივაში ვფიქრობთ, გავაფართოვოთ ჩვენი საქმიანობის არეალი და ინფორმაციები მოვიპოვოთ კავშირგაბმულობიდან, სამედიცინო ბიზნესიდან, ტურიზმიდან, ღვინის სექტორიდან. ესენი საკმაოდ მზარდი და ჩვენთვის საინტერესო სექტორებია.

**— ბიზნესკომპანიები თავისუფლად გასცემენ ინფორმაციებს თავიანთი საქმიანობის შესახებ?**

— ადრე არა, მაგრამ ახლა თანდათანობით ყალიბდება ასეთი კულტურა.

საბანკო და სადაზღვევო კომპანიებთან ყველაზე მეტად გვიადვილდება ურთიერთობა, რადგან მათ კანონით ევალებათ თავიანთი მონაცემების გამოქვეყნება, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად თუ ყოველწლიურად. თუმცა არიან კომპანიები, რომლებიც თავიანთი ნებით, სურვილით აქვეყნებენ ფინანსურ ანგარიშებს, ასეთები არიან „მაგთი", „ჯეოსელი", „ავერსი", „პე-ეს-პე" და სხვები, რომლებიც სიამოვნებით გასცემენ ამ ინფორმაციებს.

სასიხარულოა, რომ მსოფლიოში საქართველოს მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება, ამიტომაც უცხოური კომპანიების ინტერესშიც შედის ჩვენი საინფორმაციო სისტემის გამართულად მუშაობა. ჩვენც ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ დროის მოთხოვნებს და ჩვენი საინფორმაციო სააგენტოს მუშაობა სულ უფრო მზარდი და სიცოცხლისუნარიანი იყოს.

**ლალი ქინქლაძე**

№ 28. ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2008 წელი.

# ეკონომიკა

**ჩვენთან დავის მიზანი დავალიანების გადახდა კი არა, ქონების წართმევა იყო. და იცით, ვის ერგო ეს ნაარმალი ქონება? აუქციონზე ერთადერთი მყიდველი აღმოჩნდა — საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია, რომლის მ ფლობელია გელა და დავით ბეჟუაშვილების ახლობელი ქალბატონი თეა ჭეიშვილი. აი თურმე რა მუცლის გვრემა ჰქონდათ (!ძ. გამოჩნდა, რომ ყველაფერი წინასწარ იყო ჩაწყობილი**



## ⊙ კალიგულას სამართალი

# მესაკუთრევ, არ გაგახარებ!

## ხელისუფლება აწყობს აუქციონს, რომელიც წინასწარ უკვე ჩაწყობილია

**რაო, რაო? მესაკუთრევ, არ გაგახარებო? — აღმოხდება კაცს, განა ვინ არის იმისთანა, რომ ასე გამეტებით და მუხანათურად ემუქრება ჩვენს მესაკუთრეს? ვინა და, თურმე, ჩვენივე უმწიკვლო და კეთილმოსურნე ხელისუფლება. ემუქრება კი არა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მან უკვე ყოფა უტირა კერძო მესაკუთრეს, იმ მესაკუთრეს, რომლის უფლებები კონსტიტუციით არის დაცული და ყველა განვითარებულ ქვეყანაში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებს.**

თუ სხვა ქვეყნებში ასეა, მაშ ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება? რატომ არის, რომ საქართველოში ხელისუფლება მამასისხლად გადაეკიდა მესაკუთრეს, საერთოდ, მეწარმეობას და ის განადგურებამდე მიიყვანა? იმიტომ ხომ არა, რომ უცხოურ კაპიტალს, რომლის ნება-სურვილის აღსრულებლადაც გვევლინება ადგილობრივი მთავრობა, სულაც არ ეპიტნავება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობა? ესეც, რა თქმა უნდა, მაგრამ არანაკლებ ისიც, რომ თავად ჩვენს ხელისუფალთაც არ ეხატებათ გულზე საკუთარი ქვეყნის წარმატება. ისინი იმდენად არიან დაინტერესებულნი ამა თუ იმ მეწარმისა და მესაკუთრის საქმიანობით, რამდენადაც მათი ოფლით მონაგარი შემოსავლები „სწორად“ ორიენტირებულია მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკთა „წილობრივ“ მადაზე.

არა ხარ ამისთვის „სამართლებრივად“ მომზადებული და ფსიქოლოგიურად განწყობილი? კარგად მეყოლე, მეორე დღესვე საგადასახადო ინსპექციას მოგაყენებენ, რეკეტს მოგიწყობენ, ყადაღას დაგადებენ, საწარმოს აუქციონზე გაგიყიდიან, ან სულაც ბულდოზერით დაგინგრევენ (!ძ. მე თქვენ გეტყვით, საამისოდ ახალი მეთოდის ძებნა დასჭირდებათ ან ნამუსის დეფიციტი შეექმნებათ.

ზედმეტი „ქება“ ხომ არ გამომდის? არა მგონია. წინ ისეთი მაგალითი მიდევს — „იგოეთჰესი“, რომ ჩემგან ხელისუფლება უფრო მეტსაც სიამოვნებით აიტანდა. რაც შეეხება თავად ჰესს, ამ მთავრობის ხელში მართლაც „საინტერესო ისტორია“ გადახდა.

ერთი შეხედვით, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. წინა საუკუნის 90-იან წლებში უპატრონოდ მიგდებულ „იგოეთჰესს“, რომელიც მთელი 5 წლის მანძილზე თვალჩაშრეტილი იდგა, პატრონი გამოუჩნდა, კანონის სრული დაცვით შეისყიდა. ორ თვეში შეაკეთა, აამუშავა და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩააყენა. ჰესიდან, რომელსაც შპს „სინათლე“ ეწოდა, ელექტროენერგიას შეუფერხებლად იღებდა ქალაქი კასპი, იგოეთი და ზოგი სხვა სოფელიც, თანაც იმაზე გაცილებით იაფად, რასაც ოფიციალური ტარიფი ითვალისწინებდა.

— მაშინ, როცა ჰესი ავამუშავეთ, — ამბობს მისი ერთ-ერთი მეპატრონე გელა გურასპაშვილი, — სტანდარტული ტარიფი იყო 8,4 თეთრი და, ბუნებრივია, მისი შეცვლის უფლება არ გვქონდა. მაგრამ განთავისუფლდა თუ არა ტარიფი ამ წნეხისგან, ჩვენ მომატების ნაცვლად ფასი დავაკელით და მომხმარებელს მას 7 თეთრად ვაძლევდით. ეტყობა, ეს არ ესიამოვნათ და 2007 წლის იანვარს თავს დაგვადგა საგადასახადო ინსპექცია წერილით — 81 ათასი ლარი სახელმწიფოს ვალი გმართებთ, სასწრაფოდ უნდა დაფაროთ, თორემ ყადაღას დაგადებთ და სასამართლოს ძალით ჰესს აუქციონზე გავყიდითო.

**— და თქვენც დათანხმდით?**

— არა, რა თქმა უნდა. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ ეს დავალიანება იყო ხელოვნურად შეთითხნილი და ინსპექციას განვუცხადეთ წარმოედგინა საგადასახადო მოთხოვნა, რათა შეგვძლებოდა, თანხის სისწორესთან დაკავშირებით, გვედავა სასამართლოში. მათ ეს თხოვნა არ შეისმინეს, ქონება დააყადაღეს და საქმე სასამართლოზე გაიტანეს.

გვეგონა სასამართლოზე მაინც მივაღწევდით სამართალს, მაგრამ ტყუილად. ჩვენი თხოვნა, მოეცა 5 დღე, რათა დავალიანების არარეალურობა დოკუმენტურად დაგვესაბუთებინა, მოსამართლე მალხაზ ენუქიძემ ახლოსაც არ გაიკარა, უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო და საქმე მაინც სააუქციონოდ გაგვიხადა (იგი 2007 წლის 15 იანვარს დაინიშნა).

**— სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაგისაჩივრებიათ?**

— ვიცოდით, რომ მართლები ვიყავით და რატომ გავჩუმდებოდით? რადგან კასპში სამართალი ვერ ვპოვეთ, წერილობით ახლა გორის საგადასახადო ინსპექციას მივმართეთ. ჩვენ მას წარვუდგინეთ დოკუმენტურად დასაბუთებული მტკიცება, რომ იმ 81 ათასი ლარიდან, რომელსაც გვედავებოდნენ, 31 ათასი ლარის დავალიანება საერთოდ არ არსებობდა, დანარჩენი თანხა კი გასარკვევი იყო. ამის მიუხედავად, ინსპექციის უფროსმა თამაზ მეჭიაურმა დავალიანების გასწორებაზე სასტიკი უარი გვტკიცა (პირდაპირ გვითხრა, თქვენი გულისთვის სამსახურს ვერ დავკარგავო, რითაც აშკარა დანაშაული ჩაიდინა. სამწუხაროდ, ასეთია დღევანდელი რეალობა, ჩინოვნიკობა საკუთარ კეთილდღეობას უფრო უფრთხილდება, სამართალს — არა. მართალია, გორის სასამართლომ შემდგომში შერყეული რწმენა ერთგვარად აღგვიდგინა და ჩვენი თხოვნა მთლიანად დააკმაყოფილა, მაგრამ რად გინდა, მისი გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა (!ძ.

**— როგორ ფიქრობთ, ბატონო გელა, საქართველოში კანონის უზენაესობა როდისმე იზეიმებს?**

— რა თქმა უნდა, იზეიმებს, მაგრამ ამ ხელისუფლების ხელში ვერა, რადგან იგი თავად არის მებაირახტრე ყოველგვარი უკანონობისა. ეს ჩვენი საწარმოს დაყაჩაღების მაგალითიდანაც მშვენივრად იკვეთება. როგორც ჩანს, ესენი დღესაც კალიგულასა და ნერონის სამართლით მუშაობენ.

**— თქვენი აზრით, რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას, თქვენი საწარმოს დაყაჩაღება?**

— იმისთვის, რომ ქონება, რომელიც კანონიერი გზით გვაქვს შეძენილი, ჩვენთვის წაერთმია და საკუთარი კლანის ბიზნესინტერესებში მოექცია!

**— ასეთ ხმამაღალ განცხადებას რომ აკეთებთ, პასუხისმგებლობისა არ გეშინიათ?**

— უკანონობის ავტორები თავად არიან და მე რატომ უნდა მეშინოდეს? ამის თაობაზე ტელევიზიის მეშვეობითაც გავაკეთე განცხადება და არც თქვენი გაზეთის მკითხველს მინდა რაიმე დავუმალო. ვინც თავის დროზე დამალა და „ნაჩუქრობის ხელწერილით“ მისცა საკუთარი ქონება სახელმწიფოს, ისიც ძალიან შეცდა. მე ბოლომდე ვიბრძოლებ ჩემი სიმართლისთვის, თავად თუ მართლები არიან, რატომ აქვთ ენა მუცელში ჩავარდნილი და არ მედავებიან?

**— ტყუიან და იმიტომ?**

— გამოიცანით. ჩვენთან დავის მიზანი დავალიანების გადახდა კი არა, ქონების წართმევა იყო. და იცით, ვის ერგო ეს ნაარმალი ქონება? აუქციონზე ერთადერთი მყიდველი აღმოჩნდა — საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია, რომლის მ ფლობელია გელა და დავით ბეჟუაშვილების ახლობელი ქალბატონი თეა ჭეიშვილი. აი თურმე რა მუცლის გვრემა ჰქონდათ (!ძ. გამოჩნდა, რომ ყველაფერი წინასწარ იყო ჩაწყობილი.

**— იქნებ ჰესის ახალი მეპატრონე უფრო მეტ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს და ამას დახარბდნენ?**

— კი, აბა, სულ მაგის თვალში იყვნენ. რახან დაინტერესდით, მაგასაც გეტყვით, დღეს ეს ჰესი ერთიან ენერგეტიკულ სისტემაშია ჩართული და მას ერთ კილოვატსაათს 4 თეთრად აძლევს. ჩვენ კი პირობას ვიძლეოდით, რომ 2,5 თეთრად ვიმუშავებდით. აქედანაც ჩანს, რა სამართლის ქვა ტრიალებს დღეს მეწარმეთა თავზე.

**— თქვენ, როგორც ენერგეტიკის სფეროში მომუშავე სპეციალისტს, დღევანდელი დენის ტარიფი რეალურად მიგაჩნიათ?**

— რეალური ტარიფი, ჩემი გაანგარიშებით, თუ სხვა ხარჯებთან ერთად სტაბილიზაციის ხელშეწყობასაც გავითვალისწინებთ, 10 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს. თუმცა რეალობას და საკუთარი მოსახლეობის გაჭირვებას ვინ უყურებს, სატარიფო განაკვეთი, როგორც წესი, დგინდება სახელმწიფო კანცელარიაში და სემეკი მხოლოდ გამხმოვანებლის ფუნქციას ასრულებს.

ტარიფში ალბათ ხელისუფალთა საბიზნესო ხარჯებიც იანგარიშება... ამას უკვე მე ვამატებ და იმასაც, რომ ამდენი გაუთვალისწინებელი ხარჯის მიუხედავად, ქვეყანაში დღემდე არ არსებობს ენერგეტიკის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ჩვენში ყველაფერი ვარაუდზეა აგებული, მათ შორის ეკონომიკაც. საერთოდ, იმ ქვეყანაში, სადაც მესაკუთრის უფლებები დაუცველია და ყოველდღიურად იმის შიშშია — ქონება არ წაართვან ან არ დაუნგრიონ, ეკონომიკის მშენებლობა და სიღარიბის დაძლევა ხელისუფლების მხრიდან მორიგ ზღაპრად არ გეჩვენებათ?

ზღაპარია, აბა რა. თანაც ისეთი, რომლის მოყოლას დუტაც არ იკადრებს...

**ოთარ ხუციშვილი**

## ⊙ ისევ — „პირველად საქართველოში“?!

# მაკარონი და ვერმიშელი...

## უმუშევრობას ასე ვერ ვუშველით

**ახლახან საინფორმაციო საშუალებებმა და ბიზნესკურიერმა გვახარეს, საქართველოში პირველად მაკარონის ქარხანა ამოქმედდა და იქ 1000 კაცი დასაქმდებაო, რაშიც ეჭვი შემეპარა, რადგან მაკარონის წარმოებას ამდენი ადამიანი ნამდვილად არ სჭირდება.**

საქმეში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანები, ალბათ, უთუოდ შემეკითხებიან, მეტი არაფერმა დაგაეჭვაო?

როგორ არა, ბატონებო, თუ მახსოვრობა არ მღალატობს, თბილისში მაკარონის ქარხანა ჯერ კიდევ 1930 წელს ამოქმედდა სამგორის ქუჩაზე და წლების განმავლობაში მაკარონთან ერთად ვერმიშელსაც აწარმოებდა.

ამის შემდგომ, 90-იან წლებში, თემქაზე, მე-8 პურის ქარხნის ტერიტორიაზე დამონტაჟდა და ამოქმედდა, შესანიშნავი „მიულერის“ (შვეიცარიაძ მაკარონის წარმოება, რომლის წარმადობა სპაგეტის ტიპის მაღალხარისხოვან მაკარონზე მთელ ამიერკავკასიის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა.

ამ საწარმოს, რომელიც მაღალი კლასის ტექნიკითაა აღჭურვილი სულ 5 კაცი ემსახურება.

სამწუხაროდ, არც საგადასახადო კანონმდებლობამ და არც სახელმწიფომ (საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ციხეებსა და ჯარს მაინც შეესყიდათ ეს ნაწარმიძ არ შეუწყეს ქართველ მეწარმეებს ხელი, რადგანაც ტენდერებში დაბალფასიანი პროდუქცია იმარჯვებს (საბაჟო ქაოსმა ქართულ მაკარონს გზა გადაუღობა, მასიურად შემოდიოდა კონტრაბანდული, დაბალხარისხიანი დაუზეგრავი მაკარონი, რომელიც ბევრად დაბალ ფასებში იყიდებოდაძ. სასურველი იქნება, ბატონები ლადო გურგენიძე და პეტრე ცისკარიშვილი ახლის ამოქმედებამდე შეხვდნენ ქართველ მეწარმეებს და პრობლემები შეისწავლონ, გაიზიარონ სხვათა გამოცდილება (მრავალ ქვეყანაში ფქვილოვან პროდუქტებზე დღგ 9 პროცენტსარ აღემატებაძ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მაკარონი და ნებისმიერი ფქვილოვანი ნაწარმი, მაღალი თვითღირებულებების გამო, განწირულია.

**მალხაზ იაშვილი**
*მკითხველი, მეწარმე*

№ 28. ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2008 წელი.

● საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ორი მოადგილე ვალერი ვაშაკიძე და გრიგოლ ვაშაძე ოთხშაბათს რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრებიან, რათა შეათანხმონ რუსეთის ფედერაციაში სააკაშვილის მომავალი ვიზიტის დეტალები



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: „რუსეთისგან გადამჭრელ მოქმედებას ველით“

„აფხაზეთი თანამიმდევრულად და დამოუკიდებლად განავითარებს საკუთარ სახელმწიფოებრიობას და ეს განასხვავებს მას კოსოვოსაგან“. ეს სააგენტო „რეგნუმის“ კორესპონდენტს განუცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, ამასთან დასძინა, რომ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოსგან სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობს.

„ჩვენ თავად ვქმნით სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებიც გარეშე დამკვირვებელთა საერთო შეფასებით, საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებს, მიმდინარეობს სახელმწიფო დემოკრატიული განვითარების პროცესი, ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება, არსებობს მრავალპარტიული სისტემა, შეინიშნება საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაცია“, – აღნიშნა შამბამ. მან ხაზი გაუსვა, რომ ამით განსხვავდება აფხაზეთი კოსოვოსგან, სადაც დემოკრატიზაციის პროცესი საერთაშორისო გაერთიანების მხარდაჭერით ხორციელდება.

„თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას – გავიდა 15 წელი, რომლის განმავლობაშიც ვაჩვენეთ ჩვენი ცხოველუნარიანობა, მრავალრიცხოვანი სანქციების, ემბარგოს, დივერსიებისა და პროვოკაციების მიუხედავად. დღეს კოსოვო ახალ ფურცელს იწყებს და ჩვენც გადამჭრელ მოქმედებას ველოდებით ჩვენი დიდი მეგობრისა და მეზობლისგან რუსეთისაგან, რომელთანაც მთელი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გაწონასწორებული ურთიერთობა გვაქვს. აფხაზეთს არაერთგზის მიუმართავს რუსეთისათვის სხვადასხვა წინადადებით – რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ, ასოცირებული ურთიერთობის დამყარების შესახებ და ა.შ., რაც ხელს შეუწყობდა ამ რეგიონში რუსეთის პოზიციების განმტკიცებას და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას: სამხედრო ბაზების განლაგება, ერთიანი საბაჟო პოლიტიკა. რუსეთთან ბევრი რამ გვაკავშირებს – საერთო ვალუტა, ჩვენ რუბლის ზონაში ვართ; წარმატებით ჩატარდა პასპორტიზაცია და რუსეთის მოქალაქეობის მოწმობათა გაცემა, ამ მნიშვნელოვან მოვლენებს საბოლოო მტკიცე ნაბიჯი უნდა მოჰყვეს“, – მიაჩნია აფხაზეთის საგარეო უწყების მეთაურს. ამასთან იგი ყურადღებას მიაპყრობს კოსოვოს პრობლემის კონტექსტში რუსეთის ფედერაციას, შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის გავლენისათვის ბრძოლას.

„ეს პროცესი სცილდება კოსოვოს ფარგლებს, იგი უფრო გლობალურია – არსებობს რამდენიმე საკვანძო პრობლემა, რომლის მიხედვითაც ხდება სერიოზული დაპირისპირება, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, შეერთებული შტატების და, მეორე მხრივ, რუსეთის გავლენის განმტკიცების მცდელობით: ირანის პრობლემა, ნატოში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განლაგება. აშკარაა, რომ ის, ვინც გავლენის სფეროს გადანაწილებისთვის ბრძოლაში უკან დაიხევს, იმედს გაუცრუებს თავის ნამდვილ და პოტენციურ კეთილისმსურველებს“, – თქვა სერგეი შამბამ, თანაც ხაზი გაუსვა, რომ „თუ თავისი განცხადებების საწინააღმდეგოდ რუსეთი არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ეს ძლიერ დარტყმას მიაყენებს მის როგორც საგარეო, ისე შიდაპოლიტიკურ პრესტიჟს“. „ვფიქრობ, რომ რუსეთი თანამიმდევრულობას გამოიჩენს თავის მოქმედებაში. სწორედ ახლა დგება ჭეშმარიტების მომენტი. მისი ხელიდან გაშვება ბევრის დაკარვას მოასწავებს“, – ხაზი გაუსვა აფხაზმა მინისტრმა.

საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დიალოგის შესაძლო პერსპექტივებს რომ შეეხო, სერგეი შამბამ აღნიშნა: „საქართველო შექმნილი ვითარების ზემოქმედებით იძულებული გახდა რუსეთის მიმართ პოლიტიკა შეეცვალა. სწორედ კოსოვოს სიტუაცია უბიძგებს საქართველოს ხელმძღვანელობას ლოიალობისკენ. თუმცა საქართველოს ინტერესებს არ შეესაბამება რეალური ნაბიჯები, რომლებიც რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების გზაზე მთავარ დაბრკოლებებს მოხსნის. საქართველოს ხელმძღვანელობის ლოგიკის თანახმად, საქართველო დღეს მზადაა, უარი თქვას რუსეთის მისამართით შეურაცხმყოფელ გამოთქმებზე სანქციების, სავიზო რეჟიმის მოხსნის და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მისთვის დაბრუნების სანაცვლოდ. რუსეთს არაერთგზის განუცხადებია, რომ აუცილებელია საქართველომ ხელი მოაწეროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებას, თუმცა საქართველოს ხელმძღვანელობა კვლავ გარკვეულ პირობებს აყენებს, უგულებელყოფს რა ამით მოლაპარაკების პროცესის საწყის ეტაპს“. შამბას თქმით, ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა, რომელსაც აფხაზეთის მხარე აწყდება საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის იმ განცხადების კომენტარისას, რომ შესაძლოა აფხაზეთს ეკონომიკური სანქციები მოუხსნან, სერგეი შამბამ დააზუსტა, რომ ეკონომიკური სანქციები საქართველოს მხარის ინიცირებულია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ: „ჩვენთან ეს საკითხი არ შეუთანხმებიათ, მოლაპარაკების გზით სანქციების მოხსნა საქართველოს ხელმძღვანელობის მორიგი სპეკულაციაა, რომელიც სიტყვებით იფარგლება, მოქმედება კი არ ჩანს. არსებობს სხვა დაბრკოლებები, რომელთა დაძლევაც მოლაპარაკებას არ მოითხოვს – ეს არის გაეროს გენერალური მდივნის, უშიშროების საბჭოს, მეგობარი ქვეყნების ჯგუფის რეკომენდაციები საზღვაო კომუნიკაციების, სოხუმსა და ტრაპზონს შორის საზღვაო მიმოსვლის გახსნის აუცილებლობის შესახებ. აქ მოლაპარაკება საჭირო არ არის: საქართველოს ხელმძღვანელობამ თურქეთის ხელისუფლებას უნდა მიმართოს აფხაზეთის ნავსადგურებისათვის სანქციების მოხსნის შესახებ. ეს თბილისის მეგობრული განზრახვების მაჩვენებელი იქნებოდა“.

სერგეი შამბამ აგრეთვე განაცხადა, რომ აპირებს მონაწილეობა მიიღოს გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მორიგ სხდომაში, რომელიც 18-19 თებერვალს გაიმართება შვეიცარიაში და რომლის დღის წესრიგშია საკითხები საქართველოს მიერ ადრე გაჟღერებული რეკომენდაციების შეუსრულებლობის შესახებ. ამ ფორმატის ბოლო შეხვედრა 2007 წლის 27-28 ივნისს გაიმართა ბონში. „ჟენევაში შეხვედრაზე ჩვენ განვაცხადეთ, რომ მოლაპარაკების პროცესი ჩიხში მოექცა, ვინაიდან ყველა შუამავალი საფუძვლად იღებს ეგრეთ წოდებულ ბოდენის გეგმას „თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“. ბოდენის გეგმით კომპრომისი მიუღწევადია, ამიტომაც არ მივიღეთ ეს დოკუმენტი განსახილველად, დიალოგისათვის საფუძველი შეიძლება გახდეს აფხაზეთის მიერ შეთავაზებული „მომავლის გასაღები“, – თქვა შამბამ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა აღნიშნა, რომ გაეროს გენერალური მდივნის 2008 წლის 29 იანვრის ბოლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკების პროცესი ჩიხში მოექცა. „საქართველომ მოლაპარაკება „წარმატებით“ შეიყვანა ჩიხში, როცა კოდორის ხეობის ზედა ნაწილში თავისი საჯარისო ფორმირებები განათავსა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების დარღვევით. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის საზოგადოების მხრიდან ნდობა მანამ ვერ აღდგება, სანამ კოდორის ხეობაში ქართული ჯარია განლაგებული, რომელიც ჩვენს საზოგადოებას სამართლიანად მიაჩნია საფრთხედ“, – აცხადებს შამბა. „სანამ საქართველო მოსკოვის შეთანხმების ფარგლებში არ დაბრუნდება და თავის შენაერთებს ხეობიდან არ გაიყვანს, თუნდაც საერთაშორისო დამკვირვებლებმა ბოდენის გეგმას გადაუხვიონ, ქართულ-აფხაზური დიალოგის გაგრძელებას აზრი არ ექნება“, – თქვა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მისი აზრით, „დიალოგის განგრძობა ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთის მხარე კოდორის ხეობაში სიტუაციას შეურიგდა“. „მზად ვართ, კონკრეტულად ვიმსჯელოთ ხეობიდან საქართველოს ჯარის შენაერთების გაყვანის პრობლემაზე, მაგრამ ხეობიდან მათ გაყვანამდე პოლიტიკური დიალოგი ვერ შედგება“, – თქვა სერგეი შამბამ.

REGNUM

---

# რუსეთში სააკაშვილის ვიზიტის დეტალებს შეათანხმებენ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ორი მოადგილე ვალერი ვაშაკიძე და გრიგოლ ვაშაძე ოთხშაბათს რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრებიან, რათა შეათანხმონ რუსეთის ფედერაციაში სააკაშვილის მომავალი ვიზიტის დეტალები. ამას იტყობინება ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

„მოსკოვში გაიმართება შეხვედრები რუს კოლეგებთან. იმსჯელებენ საკითხებზე, რომლებსაც საქართველოს მხარე დააყენებს რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან მიხეილ სააკაშვილის მომავალი შეხვედრის დროს“, – თქვა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ნატო ჩიქოვანმა. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს მხარე იმედებს ამყარებს ამ შეხვედრაზე, რომლის დროსაც აპირებს იმსჯელოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მთელ სპექტრზე.



„ამ ვიზიტის შედეგების მიხედვით განისაზღვრება მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ბაქრაძის ვიზიტი“, – თქვა მან. განსახილველ თემათა ნუსხაში ოფიციალურ თბილისს შეტანილი აქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების საკითხები, ავიამიმოსვლის განახლების და ყველა კატეგორიის მოქალაქისათვის რუსეთის ვიზების გაცემის განახლების, ეკონომიკური ემბარგოს მოხსნის და რუსეთის ბაზარზე საქართველოს პროდუქციის დაშვების საკითხები.

ადრე საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთის ფედერაციის პირველ ვიცე-პრემიერთან სერგეი ივანოვთან მიუნხენში შეხვედრის დროს განაცხადა, რომ აპირებს 22 თებერვალს მოსკოვში თანამეგობრობის არაფორმალური სამიტის მუშაობაში მონაწილეობას.

მარინა კვარაცხელია

НОВОСТИ

№ 28. ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2008 წელი.

# შეხედული პრესა

ბურჯანაძე მოლაპარაკების მომხრეა და რაღაც დათმობებისთვის მზადაა. მას უპირისპირდებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც არიან არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტის“ კადრები. საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ გიგა ბოკერიას ჯგუფს, რომლის „შემოქმედებამაც“ გარკვეულწილად გამოიწვია მიხეილ სააკაშვილის კრიზისი. ჯგუფი კატეგორიული წინააღმდეგია ოპოზიციისთვის რაიმე დათმობების. „ახლა ეს კონკრეტულად ვლინდება სიჯიუტით, რომ არ დაუშვან თარხნიშვილის და კინწურაშვილის გადადგომა, რომლებიც იგივე „თავისუფლების ინსტიტუტის“ „აღზრდილები“ არიან“

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მოლაპარაკება დახურულ რეჟიმში

ორშაბათს საქართველოს გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოლაპარაკება განაახლა ქვეყნის ხელმძღვანელობასთან. პარლამენტის სპიკერთან ნინო ბურჯანაძესთან მისი ლიდერების შეხვედრა ნაშუაღამევს დასრულდა. კონსენსუსის მისაღწევად სულ ორი დღე-ღამე დარჩა – 15 თებერვალს ოპოზიციის მიერ ხელისუფლებისთვის მიცემული ულტიმატუმის ვადა იწურება.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოპტიმისტურადაა განწყობილი და ვარაუდობს, რომ ახლო მომავალში ერთობლივი მემორანდუმის ტექსტი გამოქვეყნდება. სამშაბათს პარლამენტის სესიაზე მან განაცხადა, რომ ოპოზიციის 17 მოთხოვნიდან მხოლოდ ორზე ვერ შეთანხმდნენ. როგორც მან თქვა, ორშაბათს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაფართოებული ფორმატით ბოლო შეხვედრა გაიმართა, და ამიერიდან მოლაპარაკებას მუშა ჯგუფები განაგრძობენ, თანაც დახურული რეჟიმით. „ერთობლივი მემორანდუმი შედგენილი იქნება იმისათვის, რომ სიტუაცია არ დაიძაბოს და პოლიტიკური პროცესები ჩიხში არ მოექცეს. იგი პოლიტიკური ძალებისთვის შემდგომი სამოქმედო გეგმა გახდება და მისი მეშვეობით დაიძლევა კრიზისი“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

„ნეზავისიმაია გაზეტა“ წინა ნომერში წერდა იმის თაობაზე, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ხაინდრავამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა, რადგან ამაში აზრს ვერ ხედავენ. „სანამ არ გადაწყდება სამი კონკრეტული საკითხი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის, საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის თამარ კინწურაშვილის გადაყენება და 44 პოლიტპატიმრის გათავისუფლება, მოლაპარაკების მაგიდასთან ვერ დაბრუნდებით“, თქვა ხაინდრავამ.



„დიალოგის შეწყვეტა ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. – რესურსები არის და დიალოგი უნდა გაგრძელდეს, ხოლო ახალი თარიღები და ახალი წინადადებები მხოლოდ გაართულებს სიტუაციას. და ეს ხელს არავის აძლევს“. საბოლოო ანგარიშით სწორედ ასეც მოხდა და ორშაბათ საღამოს დაწყებული შეხვედრა უკვე ნაშუაღამევს დასრულდა.

პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა ასე შეაფასა სიტუაცია: „ის, რომ ოპოზიციამ გადაწყვეტილება შეიცვალა და დიალოგი განაგრძო, მის რიგებში განხეთქილებას არ მოწმობს. ეს ხელისუფლებაში განხეთქილების ნიშანი უფროა“. როგორც მან თქვა, ბურჯანაძე მოლაპარაკების მომხრეა და რაღაც დათმობებისთვის მზადაა. მას უპირისპირდებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც არიან არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტის“ კადრები. საქმე ეხება ეგრეთ წოდებულ გიგა ბოკერიას ჯგუფს, რომლის „შემოქმედებამაც“ გარკვეულწილად გამოიწვია მიხეილ სააკაშვილის კრიზისი. ჯგუფი კატეგორიული წინააღმდეგია ოპოზიციისთვის რაიმე დათმობების. „ახლა ეს კონკრეტულად ვლინდება სიჯიუტით, რომ არ დაუშვან თარხნიშვილის და კინწურაშვილის გადადგომა, რომლებიც იგივე „თავისუფლების ინსტიტუტის“ „აღზრდილები“ არიან“,– უთხრა ზაქარეიშვილმა „ნეზავისიმაია გაზეტას“.

რეალობა კი შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს. კერძოდ, როგორც „ნეზავისიმაია გაზეტამ“ შეიტყო, მხარეები ვერა და ვერ თანხმდებიან ოპოზიციის მიერ წარდგენილ პოლიტპატიმართა სიაზე. „მოლაპარაკება წარმოებს 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დროს დაკავებული პირების გათავისუფლებაზე. ჩვენს სიაში მითითებულია აგრეთვე ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და რამდენიმე კაცი, რომლებიც სასჯელს იხდიან ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის შესახებ საქმის გამო“, – განაცხადეს გაერთიანებული ოპოზიციის შტაბში.

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა, რომ წარდგენილ სიაში არ არის ირაკლი ოქრუაშვილი, ხოლო თერთმეტი კაცი უკვე გათავისუფლებულია. „სიაშია კიდევ სამი მოხელე, რომლებსაც მსჯავრი დასდეს თანამდებობრივი დანაშაულისათვის, რამდენიმე პირი, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 7 ნოემბრამდე, არიან ნარკოტიკების რეალიზაციისათვის დაკავებული პირები და კიდევ რამდენიმე კაცის გვარი საერთოდ არაფრის მთქმელია – ისინი არც ერთ სისხლის სამართლის საქმეში არ ფიგურირებენ“, – განუცხადა ბეჟაშვილმა ჟურნალისტებს.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## ევროკავშირის რეკომენდაციით საქართველო სავიზო რეჟიმს ამკაცრებს

ევროკავშირისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით რამდენიმე თვეში საქართველოში სავიზო რეჟიმი გამკაცრდება.

საქართველოს პარლამენტის ინფორმაციით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოამზადა დოკუმენტი, რომელშიც, კერძოდ, გააკრიტიკა საქართველოს ლიბერალური სავიზო პოლიტიკა და გამოთქვა გაფრთხილება: თუ საქართველო მკაცრ კონტროლს არ დაუწესებს ემიგრანტებს, საზღვარგარეთ ქართველებისთვის გამოყოფილ სამუშაო ადგილებს შუა აზიის ქვეყნების მოქალაქენი დაიკავებენ.

გარდა ამისა, საქართველოში ტურისტების სახით შემოსულ პირთა შესახებ სრული ინფორმაციის უქონლობის გამო აქ შეიძლება შემოაღწიონ ადამიანებმა, რომლებიც დანაშაულებრივი ზრახვებით ხელმძღვანელობენ, აგრეთვე არაკვალიფიციურმა მიგრანტმა მუშებმა, აღნიშნეს ქვეყნის პარლამენტში.

ИЗВЕСТИЯ ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА



◉ მომისმინეთ

## საქართველოს მხოლოდ ნეიტრალიტეტი გადაარჩენს!

(მეშვიდე გვერდიდან)

საკანონმდებლო ორგანოა ფედერალური კრება (პარლამენტი), რომელიც შედგება 2 პალატისაგან: ეროვნებათა საბჭოსა და კანტონების საბჭოსაგან. პარლამენტში მოსახვედრად აუცილებელია ნებისმიერმა პარტიამ არჩევნებისას გადალახოს 10-პროცენტიანი ბარიერი.

შვეიცარიაში პარტიათა რაოდენობა მცირეა (7-მდე პარტიაა), მაგრამ მათ შორის რეიტინგით გამოირჩევიან სახალხო პარტია და მწვანეთა პარტია. შვეიცარიის პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას უფლება არ აქვს, ერთპიროვნულად მართოს ქვეყანა. აქედან გამომდინარე, არჩევნებში გამარჯვებულ პარტიათა წარმომადგენლების მონაწილეობით იქმნება კოალიციური მთავრობა.

სახელმწიფოს მეთაურია შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც ერთი წლის ვადით ირჩევენ. სხვათა შორის, კანტონთა საბჭოს მიერ პრეზიდენტად არჩეული უნდა იქნეს ყველა კანტონის წარმომადგენელი. თითოეულ კანტონს აქვს თავისი კონსტიტუცია.

შვეიცარიაში ძალზე განვითარებულია უცხოეთის ტურიზმი და საკურორტო საქმე, საიდანაც დიდი შემოსავლები შედის ბიუჯეტში. კაპიტალის ერთ-ერთ წყაროს შეადგენს აგრეთვე უცხო ქვეყნების კაპიტალის მუდმივი ნაკადი, რაც განპირობებულია ანაბრების საიდუმლოების გარანტიით და ნეიტრალური ქვეყნის სტატუსით. ასე რომ, შვეიცარია დიდი სამრეწველო, საბანკო და სადაზღვევო მონოპოლიების ქვეყანაა.

შვეიცარიის ტერიტორიაზე განლაგებულია უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორისაა უეფა და ფიფა. ქვეყანაში ტარდება საერთაშორისო კონფერენციები, სამიტები და სიმპოზიუმები. აღსანიშნავია, რომ **შვეიცარია გაეროს, ევროკავშირის და ნატოს წევრი არ არის.**

შვეიცარიასთან შედარებით საქართველოს ზოგიერთი უპირატესობა გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით, ის სამხრეთის ქვეყნებს უკავშირებს ჩრდილოეთს, დასავლეთს კი – აღმოსავლეთს და პირიქით. მთავარი ის არის, რომ შვეიცარიისგან განსხვავებით საქართველო საზღვაო ქვეყანაცაა და შესაბამისად აქვს არა მარტო საზღვაო პორტები, არამედ, აგრეთვე, დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კურორტები.

შვეიცარიის დავოსისგან და რუსეთის სოჭისგან განსხვავებით გაცილებით ბევრად უკეთესი პირობები და ბუნებრივი შესაძლებლობებია ბაკურიანსა და გუდაურში, რომ იქ ჩატარდეს ზამთრის ოლიმპიადები და სხვადასხვა სამთო-სპორტული შეჯიბრებები.

**საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც 200-მდე პარტია და პოლიტიკური გაერთიანებაა რეგისტრირებული. შვეიცარიასთან შედარებით მათი რაოდენობა ჩვენთან 30-ჯერ მეტია. ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!**

შეიძლება დავასკვნათ, თუ როგორი ამბიციურები არიან ქართველები და როგორ მიისწრაფვიან ბონაპარტიზმისკენ. ასეთების მისწრაფებას და საქმიანობას ზუსტად მიესადაგება ლორდ ჩესტერფილდის სიტყვები: **„ხელისუფლებისადმი სწრაფვა, – ყოვლისშთანმთქმელი თვითგატაცებაა. ის ქალისადმი, ფულისადმი და ახლობლებისადმი სიყვარულზე ძლიერია, ის ყველაზე უფრო ძლიერია“.**

**იმისათვის, რომ დავაცხროთ და დავაშოშმინოთ ასეთების ვნებათაღელვა, თვითგატაცება და ამბიციურობა, დავამკვიდროთ მშვიდობიანობა, სტაბილურობა და გამოვიდეთ პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან, საჭირო და აუცილებელია გამოცხადდეს საქართველოს ნეიტრალიტეტი, რისთვისაც ჩატარდეს სახალხო რეფერენდუმი – პლებისციტი.**

წერილს ვამთავრებ იულიუს ფუჩიკის სიტყვების პერიფრაზით: **„ქართველებო, იყავით ფხიზლად!“** იმისთვის, რომ არ დავუშვათ რომელიმე სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზების განლაგება საქართველოში, საჭირო და აუცილებელია გამოვაცხადოთ სრული ნეიტრალიტეტი, თანაც ის უნდა აღიაროს და დააკანონოს მთელმა მსოფლიომ.

**გურამ ჩხიკვაძე**

## დოკუმენტს კანონის სახე არ აქვს და კეთილი სურვილების დონეზე უფროა შედგენილი



**კანონმდებლობა**

# მომავლის ეკონომიკაში — „საბნის გადაქაჩვით?“

**12 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე პარლამენტის წინაშე წარსდგა „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ კანონპროექტით. წინა კვირას კი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გაიმართა მთავრობის მიერ მომზადებული აღნიშნული კანონპროექტისა და მასთან დაკავშირებული საკითხების წინასწარ განხილვა.**

„საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“ კანონპროექტი, არსებითად, არის წინადადებათა დიდი პაკეტი, რომელიც, გულისხმობს საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების ახალ ყაიდაზე. ახალ სტილზე გადასვლას. აღნიშნული კანონპროექტის მიზანი, მის ავტორთა აზრით, **გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის მიერ ფინანსური ნაკადების საერთაშორისო მიმოქცევაში კონკურენტუნარიანი კვანძის როლის შესრულებას, რაც გარკვეული საგანგებო რეფორმების გატარებას ითვალისწინებს, ამისათვის კი საჭიროა ეროვნული ეკონომიკის რეგულირების მართვის მექანიზმების უნიფიცირება, მათი საერთაშორისო ნორმების, ასევე მეთოდების არეალის გაფართოება და ეკონომიკური პოლიტიკის მეტად ინტერნაციონალიზაცია.**

კანონპროექტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **ეროვნული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალ ფისკალურ პოლიტიკაზე გადასვლას, რომლის არსი პროფიციტული ბიუჯეტის ლოგიკიდან გამომდინარე მოქმედებას ნიშნავს.**

ყოველივე უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს, უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, ცნობილია დეფიციტური და პროფიციტული ბიუჯეტები — პირველი, როცა სახელმწიფო ხარჯავს მეტ სახსრებს, ვიდრე ხაზინაში შედის, მეორე კი, როცა ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის შედეგად შემოსავალი გასავალს ჭარბობს, ანუ მთავრობა ბიუჯეტის შედგენისას ხელმძღვანელობს არა საპროგნოზო შემოსავლის ნაკლებობით, არამედ საჭიროებით.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე პარლამენტარებმა, მათ შორის ზურაბ ტყემალაძემ, ლადო პაპავამ, ირაკლი კოვზანაძემ, სხვებმა, პროფიციტური ბიუჯეტისადმი მთავრობის მიდგომის მიმართ მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს. ამასთან დაკავშირებით ლადო პაპავამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ბიუჯეტს ვერ „დაავალებ“ მუდმივად პროფიციტური იყოს ისევე, როგორც ვერც ერთ საწარმოს წინასწარ ვერ უბრძანებ ყოველთვის იყოს მომგებიანი.

კანონპროექტის ასევე მეტად მნიშვნელოვანი საკითხია **სპეციალური საბიუჯეტო ფონდების, კერძოდ, „მომავალი თაობებისა“ და „სტაბილიზაციის“ ფონდები შექმნა.**

განმარტების სახით აღვნიშნავთ, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი რამდენიმე, კერძოდ, ტერიტორიული და დარგობრივ-უწყებრივი მიმართულებებით დგება. მათი არსის განმარტება, ვფიქრობთ, საჭიროებას არ წარმოადგენს, მაგრამ გარდა ამისა არსებობს პროგრამულ-მიზნობრივი მიმართულებაც, რომელიც სპეციალური საბიუჯეტო ფონდების მეშვეობით ხორციელდება, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია, როცა ქვეყანას განსახორციელებელი აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობის რაიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გარკვეულ კონკრეტულ მიზანს ისახავს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მთელ რიგ წევრთა ასევე ექსპერტ-ეკონომისტთა მოსაზრება იმის თაობაზე, **რომ თვისობრივად ახალი და, პირდაპირ უნდა ითქვას, საკმაოდ ბუნდოვანი დანიშნულების მქონე ფონდების შექმნის იდეა გარკვეულ შეშფოთებას იწვევს.** სიმართლე გითხრათ, ჩვენთვისაც მთლად გასაგები არ არის, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად „მომავალი თაობების“ ან „სტაბილიზაციის“ ფონდი, რომელ „მომავალ თაობებზეა“ ლაპარაკი, როდის იქნება მათი დრო, ამ საუკუნეში თუ უფრო შორეულ მომავალში? ანდა საიდან უნდა გაჩნდეს „სტაბილიზაციის“ ფონდისთვის საჭირო თანხები, რომელი ჭარბი შემოსავლებიდან? სიტყვამ მოიტანა და აქვე იმასაც ვიტყვით, **რომ თავისთავად პროფიციტური ბიუჯეტის რეალურობაც გარკვეულ ეჭვს ბადებს ეკონომისტებში, ვინაიდან შესაძლოა იგი ციფრებით მანიპულირებას ეყრდნობოდეს: გაყალბებული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე რეალურად მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შეიძლება ხელოვნურად შემცირდეს, ხოლო ეკონომიკის რეალური ზრდა კი უკვე ბიუჯეტს პროფიციტულს გახდის. არადა, პროფიციტური ბიუჯეტის მიღების სხვა წყაროები, თუ არა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდა, ქვეყანაში სადღეისოდ არ არსებობს, ვინაიდან სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილის პრივატიზაცია სადღეისოდ, ფაქტობრივად, დასრულებულია.** სოციალური პრობლემები კი, რომელთა შორის უპირველესი და უმწვავესია მოსახლეობის დასაქმება, ჯერაც გადაწყვეტისგან საკმაოდ შორსაა.

**ცალკე საკითხია ამ ფონდების გამჭვირვალობა, ხარჯების მიზანშეწონილობის — განსაზღვრა.** სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ქვეყანას ნამდვილად არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ახალი, ფისკალურად ნაკლებად გამჭვირვალე სტრუქტურები შექმნას.

კანონპროექტის ავტორთა აზრით, საქართველოს მსოფლიო ფინანსურ სისტემასთან შეთავსებადობის აუცილებლობიდან გამომდინარე, „საფინანსო სექტორის კონკურენტუნარიანობის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, საჭირო იქნება ამჟამად მოქმედ მთელ რიგ კანონებში (კერძოდ, „ეროვნული ბანკის შესახებ“, „კომერციული ბანკების შესახებ“, „საბაჟო კოდექსში“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ და სხვ.ძ შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მათი ცალკე განხილვა ცალკე საუბრის თემაა, თუმცა იმას კი აღვნიშნავთ, რომ **განსახორციელებელ ცვლილებათა ამოსავალი წერტილი, კანონპროექტის ავტორთა აზრით, ის ცვლილებებია, რომელიც „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონშია შესატანი. მიაჩნიათ, რომ საფინანსო სექტორის საქმიანობაზე კონტროლი მთლიანად უნდა განახორციელოს ეროვნულ ბანკთან შესაქმნელმა საფინანსო ზედამხედველობის ერთიანმა სააგენტომ.**

როგორც ვიცით, ქვეყანაში სახელმწიფო და საბანკო სახსრების ხარჯზე ფინანსური ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოები (მაგალითად, კონტროლის პალატაძ, ანგარიშვალდებულნი პარლამენტის წინაშე არიან. ახლა კი, ექსპერტების, ეკონომისტების, პარლამენტარებით აზრით, სრულიად აშკარაა, რომ ეროვნულ ბანკთან (რომელიც პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული) საფინანსო ზედამხედველობის ერთიანი სააგენტოს შექმნა (რომლის დირექტორს... პრეზიდენტი დანიშნავს, თუმცა ეს პარლამენტის პრეროგატივააძ **პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქციის მნიშვნელოვან შესუსტებას, მთავრობის მიერ „საბნის საკუთარ მხარეს გადაქაჩვას“ ნიშნავს. ახლა კი, როცა საქართველოში დიდი პოლიტიკური პოლემიკაა ქვეყნის სამომავლო სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით, ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.** ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე რამდენიმე წელია პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული კონტროლის პალატის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატური მოქმედებები ხორციელდება, ამ სტრუქტურას, ფაქტობრივად, ფუნქცია დაკარგული აქვს, მნიშვნელოვანი საფინანსო შემოწმებები მისი გვერდის ავლით ხორციელდება. გარკვეული კუთხით ეს, შესაძლოა, კარგიც იყოს, როცა საფინანსო შემოწმებები დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანია ატარებს, მაგრამ ეს გზა, ფაქტობრივად, პარლამენტის როლის შესუსტებისკენ მიდის, თუმცა, ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ: **როგორც ჩანს მთავრობას უნდა „ჯიბის“ მაკონტროლებელი ორგანო ჰყავდეს.**

ასე რომ, როგორც აღვნიშნეთ, კანონპროექტის საკომიტეტო წინასწარ განხილვაზე მთელმა რიგმა პარლამენტარმა აღნიშნა, რომ **დოკუმენტი კანონის სახესაა მოკლებული და იგი კეთილი სურვილების დონეზე უფროა შედგენილი, ხოლო ეროვნული ბანკის მიმართ ხელისუფლების პოლიტიკა აგრესიულია და ძალაუფლების გადამოწმებისა** და დაბალანსების სტრუქტურას სერიოზულად ცვლის.

ახლა სიტყვა თავად პარლამენტზეა...

**ოთარ ტურაბელიძე**



# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 28 თებერვალს დღის 14 საათზე, ბაღდათში, წერეთლის №11-ში (ბაღდათის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „მე-10 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოს“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

ა) 1. საზეინკლო საამქრო, 116,96 კვმ. შეფასებულია 2605 ლარად,
2. ფარდული. 240კვმ. შეფასებულია 1100 ლარად,
3. ცემენტის საწყობზე მიდგმული შენობა, შეფასებულია 1240 ლარად,
4. საყარაულო ჯიხური, 14,28კვმ. შეფასებულია 280 ლარად,
5. აბანოს შენობა, 62,9კვმ. შეფასებულია 1155 ლარად,
6. ცემენტის საწყობი, 172,64კვმ. შეფასებულია 1860 ლარად,
7. საწვავის გასაცემი სადგური 15,5კვმ. შეფასებულია 250 ლარად,
8. ცისტერნები: 1.45X2.95 360 ლარად,
1.40X2.85 330 ლარად,
2.85X4.20 2002 ლარად,
2.20X2.80 795 ლარად,
2.5X1.4 X1.4 367 ლარად,
9. კარადა რკინის 3 ცალი, 360 ლარად,
10. ტანსაცმლის საკიდი, 100 ლარად,
11. მაგიდა უჯრებიანი, 50 ლარად,
12. სეიფი, 4 ცალი, 400 ლარად, სულ 13254 ლარი

ბ) 13. ავტომანქანა კაზ-45-40, შეფასებულია 14000 ლარად,
14 ავტომანქანა ზილ მმზ-45-02, შეფასებულია 5800 ლარად,
15. ასფალტის სატკეპნი კატოკი დუ-47 (7-ტონიანი), შეფასებულია 20000 ლარად,
16. ავტომანქანა იჟ-2715 შეფასებულია 208 ლარად,
17. ავტომანქანა გაზ-66-01, შეფასებულია 6500 ლარად,
18. ავტოამწე, ჯართი, შეფასებულია 2080 ლარად,
19. ტრაქტორი კოროვეცი კ-701, შეფასებულია 35000 ლარად
20. ავტომანქანა კაზ-45-40, 37-59გრჟ. შეფასებულია 7600 ლარად,
21. ავტომანქანა კაზ-45-40 მისაბმელი, 019100. შეფასებულია 3500 ლარად,
22. ასფალტის სატკეპნი კატოკი გდრ-7 RICOMAG BW 200 (7-ტონიანი), შეფასებულია 25000 ლარად,
23. სპეცავტომზიდი გაზ-53 51430-გრბ, შეფასებულია 6500 ლარად,
24. სპეცავტოგუდრონატორი დს-39, ზილ-130 2634-გარ, შეფასებულია 2000 ლარად, სულ ავტოსატრანსპორტო საშუალებები 133488 ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 141442 (ასორმოცდაერთი ათას ოთხასორმოცდაორი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

# სპორტი

● თქვენი არ ვიცი და, მე ის უფრო მიკვირდა, უმადურობის ჭაობში ჩაძირულ ქვეყანაში აქამდე რომ სალსალამათად გამოიყურებოდა ცნობილი ქველმოქმედი და წლების განმავლობაში ქართული ოლიმპიური მოძრაობის თავკაცი. ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო, სწორედაც მასზე იყო ნათქვამი.



◎ უმადურობის სინდრომი

## მოვუფრთხილდეთ ერთმანეთის გულებს!

ბადრი პატარკაციშვილი გულის შეტევით გარდაიცვალაო, გაავრცელეს გუშინ მშრალი ინფორმაცია სააგენტოებმა.

თქვენი არ ვიცი და, მე ის უფრო მიკვირდა, უმადურობის ჭაობში ჩაძირულ ქვეყანაში აქამდე რომ სალსალამათად გამოიყურებოდა ცნობილი ქველმოქმედი და წლების განმავლობაში ქართული ოლიმპიური მოძრაობის თავკაცი. ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო, სწორედაც მასზე იყო ნათქვამი. ვინ იცის, იქნებ ბედის უკუღმართობით იძულებით ემიგრაციაში მყოფი 52 წლის მამულიშვილის გულისძგერა პოლიტიკურ სიბინძურესთან ერთად სპორტული სამყაროს წარმომადგენელთა ულირსმა ადამიანურმა საქციელმაც შეაჩერა.

სამწუხაროდ, იმ საზოგადოებაში, სადაც უზნეობაა გამეფებული, ეს არც პირველი შემთხვევაა და არც, ალბათ, უკანასკნელი. ჩვენ არ ვიყავით, ათიოდე წლის წინათ ასევე ინფარქტით რომ გავუყენეთ მარადისობის გზას სწორუპოვარი ნოდარ ახალკაცი?

იქნებ, აწი მაინც მოვუფრთხილდეთ ხელიხელსაგოგმანებელ მოღვაწეთა გულებს!

**გია პლატონიშვილი**

◎ ორბიტაზე



### „დაკარის“ ახალი მარშრუტი

**სახელგანთქმული რალი-რეიდის „დაკარის“ ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ 2008 წლის „დაკარის“ გაუქმების შემდეგ, ის კი 5 იანვარს უნდა დაწყებულიყო, მისმა ორგანიზატორებმა ალტერნატიული მარშრუტი სამხრეთ ამერიკაში გამოძებნეს.**

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი რალი-რეიდი გაუქმდა, რადგან მავრიტანიაში, სადაც ამ ავტომარათონის უმთავრესი ეტაპები უნდა მოწყობილიყო, მოკლეს ოთხი ფრანგი ტურისტი, რამდენიმე კაცი კი სერიოზულად დაჭრეს.

2009 წლის „დაკარი“ პირველად არგენტინასა და ჩილეში გაიმართება. როგორც მავრიტანიისა და სენეგალის ტურიზმისა და ავტოსპორტის მაღალმა ჩინოვნიკებმა განაცხადეს, მათ იმედი აქვთ, რომ რალი-რეიდი აფრიკაში დაბრუნდება, როგორც კი „დაკარისთვის“ უშიშროების პირობები შეიქმნება.

### ტორპი-მეჩირაღდნე

**ცურვის ავსტრალიელი ვარსკვლავი იან ტორპი სათავეში ჩაუდგა იმ სპორტსმენთა სიას, ვინც მონაწილეობას მიიღებს პეკინის ოლიმპიადისთვის ტრადიციული ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში ხუთივე კონტინენტზე.**

ავსტრალიის დედაქალაქ კამბერაში და მწვანე კონტინენტის გზებზე ოლიმპიური ჩირაღდანი შუა აპრილში იმოგზაურებს.

ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონ ტორპის გარდა ესტაფეტაში 80-მდე სხვა ავსტრალიელთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო სპორტის ისეთი ვარსკვლავები, როგორნიც არიან ჯოდი ჰენდსი და ელის მილსი.

ალბათ გახსოვთ, ავადმყოფობის, ტრავმებისა და „მოტივაციის უქონლობის“ გამო 2004 წლის ოლიმპიადის შემდეგ ტორპი



აღარ გამოსულა დიდ შეჯიბრებებზე. მან ათენში ოქროს მედლები თავისუფალი სტილით 200 და 400 მეტრზე ცურვაში მოიპოვა.

პეკინამდე ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებს მთელი მსოფლიოს 22 ათასი ათლეტი.

### ბექჰემი — ბაიყუში

**ვიქტორიამ, ფეხბურთის ვარსკვლავის ცოლმა, თავის ქმარს ზედმეტი სახელი გამოუძებნა, თუმცა უშუალოდ მან კი არა, არამედ ვარსკვლავთწყვილის მეგობარმა, ცნობილმა რეპერმა — Snoop Dogg-ის კომპოზიტორმა და მომღერალმა.** ერთ-ერთ მორიგ სალამო-წვეულებაზე ბექჰემის



მონაწილეობით, დევიდმა ძალზე მოიწყინა, მაშინ მეგობარმა მას უწოდა „dull“ — „ბაიყუში“.

ფეხბურთის ლამაზმანი ცოლი ახლა ქმარს, ალბათ „მოფერებით“, სულ „ბაიყუშს“ ეძახის.

◎ სიტუაცია

**17 თებერვალს დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება, ხოლო 23 თებერვალს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. სამწუხაროა, რომ მომავალი ბატალიები „ზესტაფონის“ გარეშე ჩაივლის — ერთ-ერთი ფავორიტი უსახსრობის გამო დაიშალა.**

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გაასკეთა პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა: „12 თებერვალს დილით პროფლიგის სამდივნოში შემოვიდა კლუბ „ზესტაფონის“ წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი ფინანსური პრობლემების გამო საქართველოს თასის გათამაშებასა და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას აღარ მი-



## ვინაა შემდეგი?

იღებს. რა თქმა უნდა, ეს დიდი დარტყმა იყო როგორც ჩვენი ორგანიზაციისთვის, ასევე ზოგადად ქართული ფეხბურთისთვის. კლუბი „ზესტაფონი“ ბოლო პერიოდში აშკარად პროგრესირებდა და თვითმყოფადობით გამოირჩეოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თემურ მახარაძის გუნდმა სეზონის წინ ორი საწვრთნელი შეკრება გაიარა, შემადგენლობა გაიძლიერა და სტადიონი განაახლა. ბუნებრივია, ამის შემდეგ ჩვენთვის კლუბის მიერ შემოტანილი წერილი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ფორმალური თვალსაზრისით, საჭიროა კლუბმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ მისი ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას შეიცვლის.

„გურია“, „ტორპედო“, „კოლხეთი“, „კახეთი“ — ეს ის კლუბებია, ეროვნულ ჩემპიონატში რომ აღარ თამაშობენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შექმნის დღიდან წლეულს პირველად ვერ მოახერხა საზღვარგარეთულ შეკრებაზე გამგზავრება „ამერმა“, ხოლო თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა, ადვილი შესაძლებელია, ეს ნუსხა კიდევ უფრო გაიზარდოს. და ეს ხდება მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონები იფლანგება ხელ(ფეხ)ძმოცარული ეროვნული ნაკრების გერმანელი თავკაცის კლაუს ტოპმიოლერისა და მისი თანაშემწეების მადის დასაკმაყოფილებლად, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები კი მწირი შესაძლებლობების მომიზეზებით ფეხბურთის განვითარებაზე ზრუნვის ნაცვლად საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ.

**მინაწერი:** ბუნებრივია, ზესტაფონელთა და პროფლიგის უფროსობის მიერ მოცემული განმარტება საკმარისად არ მივიჩნიეთ და ჩვენი არხებით ვცადეთ საქმის არსში გარკვევა. ერთ-ერთი ვერსიით, ძაღლის თავი ყვირილასპირელთა ნახევარმცველ გიორგი განუგრავას ტრანსფერში ყოფილა დამარხული, რომელიც ჩეხურმა „ბოლესლავმა“ შეიძინა. როგორც შევიტყვეთ, შუაგული ევროპიდან გადმორიცხული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა ფეროელთა ანგარიშზე არ დამჯდარა.

◎ წყალბურთი

## მესამე ადგილი შეინარჩუნა

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე) უკრაინის ღია პირველობის მეორე წრეში მონაწილეობდა.** შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა ყაზახეთის ნაკრები, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირისთვის ემზადება, ამიტომ ჩვენს გუნდს მასთან ტექნიკური მოგება (5:0) ჩაეთვალა. მეორე შეხვედრაში ქართველებმა „სევასტოპოლს“ სძლიეს 11:10, ხოლო „ხარკოვთან“, რომელსაც მიხეილ ჯიმშიაშვილი აფინანსებს (ახლახან მის რიგებს გამოცდილი წყალბურთელი გალაქტიონ ლაითაძეც შეუერთდა), 8:12 წავაგეთ.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ნაკრები კვლავ მესამე ადგილზეა. მესამე წრის შეხვედრები 1 მარტს დნეპროპეტროვსკში დაიწყება.

◎ კონკურსი

## გარჯა დაუფასდათ

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ოლიმპიური ფონდი და ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური აკადემია უკვე რამდენიმე წელიწადია, ერთობლივად პროფესორ ავთანდილ ციბაძის სახელობის კონკურსებს ატარებს, რომლებიც ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტის საკითხებს ეძღვნება. კონკურსი მიზნად ისახავს საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, პუბლიცისტური ნაწარმოებებისა და სახელმძღვანელოების გამოვლენას.** საგულისხმოა, რომ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის **ვაჟა დანელიას** წიგნმა — „კვარცხლბეკიდან დანახული სამშობლო“ — 2006 წლის კონკურსის ერთ-ერთ ნომინაციაში გაიმარჯვა. სპეციალურმა ჟიურიმ (ე. ბერიშვილი — თავმჯდომარე, თ. გაჩეჩილაძე, ლ. ვარდოსანიძე, ლ. აფციაური, ნ. მესხი, დ. კინწურაშვილი) 2007 წელს სპორტის თემაზე გამოქვეყნებულ წიგნებს შორის გამოარჩია ვაჟა დანელიას უკვე ორი ნაშრომი „კვალი ჩაუქრობა“ და „ევროპული ოდისეა“, რომლებიც შესაბამის ნომინაციაში გამარჯვებისთვის ფულადი პრემიით აღინიშნება.



შეგახსენებთ, რომ „კვალი ჩაუქრობა“ მოგვითხრობს იმ წარმატებებზე, რომლებსაც საქართველოს სპორტსმენებმა 2006 წელს მიაღწიეს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებსა თუ პირველობებზე. აქვე გაცნობებთ სახელოვან ვეტერანთა თავგადასავლებს. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, ახლავს ფერადი ფოტოების ჩანართი.

„ევროპული ოდისეა“ ეძღვნება თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ორმოცდახუთი წლის წინანდელ წარმატებას ევროპულ სარბიელზე. 1962 წლის 29 ივნისს ჩვენმა სპორტსმენებმა ჟენევის გადამწყვეტ მატჩში მადრიდის „რეალს“ სძლიეს და საქართველოს დედაქალაქში ევროპის ჩემპიონთა თასი ჩამოიტანეს. წიგნში მოთხრობილია „დინამოს“ ისტორია. ცალ-ცალკე თავები ეძღვნება იმ მწვრთნელებსა და კალათბურთელებს, რომლებმაც ჩვენი სპორტის ისტორიაში დღემდე განუმეორებელი გამარჯვება გამოსჭედეს. ეს წიგნიც უხვად არის ილუსტრირებული. უნიკალურ ფოტოებს შორის შეხვდებით იმ სურათს, რომელიც ჟენევაში მატჩის შემდგომ არის გადაღებული. ცნობილი ჟურნალისტის გოგი ფრანგიშვილის თხოვნით, „რეალის“ არქივებში იგი ქართველმა მწერალმა დავით ტურაშვილმა მოიძია და ჩამოიტანა საქართველოში.

ა. ციბაძის სახელობის 2007 წლის კონკურსის ცალკეულ ნომინაციებში, ასევე, გამარჯვებულნი გამოვინდნენ:

— **ა. გურასაშვილი** („ოთხი სიხარული“, „ტოკიო-1964“, „მეხიკო-1968“);

— **დ. კინწურაშვილი** („ოლიმპიური საქართველო“);

— **თ. გიორგაძე** („ჭადრაკის ერთგულნი“);

— **გ. მახარაძე** („ჭადრაკი და ცოტა სხვაც“);

— ავტორთა ჯგუფი: **ვ. ალთაბაევი, ა. კაზანჯიანი, მ. ტუღუში** (სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი — „კალათბურთი“);

— ავტორთა ჯგუფი: **ნ. პაპუკაშვილი, ნ. ბერიანიძე, ნ. ლეჟავა** (სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი — „ბატუტზე ხტომა“);

— ავტორთა ჯგუფი: **მ.გ. ტუღუში, მ. ა. ტუღუში** („მძლეოსნობა“);

— ავტორთა ჯგუფი: **ლ. აფციაური, მ. ტუღუში** (სახელმძღვანელო — „ფიზკულტურა I და II კლასებისთვის“):

— ავტორთა ჯგუფი: **შ. ბუაძე, ო. ვახანია, მ. ტუღუში, გ. კახიძე** (სახელმძღვანელო — „სპორტის თეორია“, III ნაწილი);

— ავტორთა ჯგუფი: ნ. **ჭაბაშვილი, ზ. კახაბრიშვილი, ზ. სოფრომაძე, პ. კასრაძე, გ. ელიავა, თ. სვანიშვილი, ლ. თათარაძე, ა. გოგელია, მ. მათიაშვილი** („სპორტული მედიცინის საფუძვლები“, „რეაბილიტაცია“-აღდგენითი მკურნალობა“).

თითოეული ნომინაციის ლაურეატები დაჯილდოვდებიან.

**ვულოცავთ.**

**ია ნინიაშვილი,**
**ლანა ძაძამია.**

# კულტურა

**ცხოვრებაც რაა?! — არილი მთვარის,
ქედდადრეკილნი იდგნენ ქედები,
ო, გულო, ერთხელ დამინდე მაინც,
ასე ულმერთოდ ნუ შეჩერდები.**



## ◉ მოგითხრობთ შედევრებზე

# ხაიმ სუტინის ფერწერული განმარტოება

**ხელოვნების ნებისმიერი სახეობა შედევრის დაბადებას და მის გამარადიულობას ემსახურება, სულის ჩადგმა ნაწარმოებში ამოუხსნელი ზეძალებისგან მომდინარეობს და ერთ-ერთ საოცრებათაგანია სამყაროს მთლიან სივრცეში. როგორც სიცოცხლის გაჩენაა ღვთიური გვირგვინი, ასევე ხელოვნების შედევრის შობაა მისი ტოლფასი. გენიოსში ორი დიდი კოსმიური საოცრებაა, მისი პირადი ფიზიოლოგიური სიცოცხლე და შემოქმედებითი სულიერება. ორი კოსმიური მზეა მასში ჩაღვრილი და ორივე ერთდროულად ასხივებს. როგორც კი რომელიმე მათგანი ჩაქრება, ის მაშინვე წყვეტს მიწიერ სიცოცხლეს (პოროვნებაძ და სრულიად სხვა კოსმიურ სამყაროში გადადის. მისგან შობილი შემოქმედებითი მრავალსულიანობა კი მარადიულობის გალერეაში დამოუკიდებელ სიცოცხლედ რჩება... აი, ასეთი ყოველი შედევრის და მისი შემოქმედის კოსმიური პორტრეტი.**



მზარეულის პორტრეტი

ფერწერა, ეს მონუმენტური იქნება თუ დაზგური, უნიკალურ ოქროს ნაკეთობათა და ძვირფას ქვათა საგანძურში, მოზრდილ ბურთად ჩაგორებული ბრილიანტია. — ფერმწერი ღმერთსა და ადამიანს შორის ზეციური შუამავალი, გვმოძღვრავს დიდი ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო...

რამდენიმე წელია ლუვრის საგამოფენო დარბაზების ხშირი სტუმარი გახლავართ. ათასწლეულების თუ ჩვენი ათასწლეულების უგვიანესი ეპოქებიდან მოყოლებული, კაცობრიობის ღვთიური ნიჭის საგანძურში ნებისმიერი ერის თუ რასის წარმომადგენელი, ერთნაირი სულიერი და გონებრივი განწყობილებით უშუალო კონტაქტებს ამყარებს, ფერწერის, ქანდაკების თუ დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებთან: განსაკუთრებით ხალხის გაუთავებელი რიგია ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასთან“, რაფაელთან, ბოტიჩელის, ტიციანის, დელაკრუას, ბრეიგელის, რემბრანდტის, დიურერის, გოლბეინის, კრანახის, მცირე ჰოლანდიელების, გოიას, ველასკესის, ელ-გრეკოს და მრავალ სხვა კლასიკოსთა შედევრების წინ. იგივე მდგომარეობაა უახლოესი საუკუნის ფერწერის და ქანდაკების ვარსკვლავებთან, რომლებიც ექსპონირებულია პარიზის სხვადასხვა მუზეუმებში: სეზანთან, ვან გოგთან, გოგენთან, ბურდელთან, მაიოლთან, დესპიოსთან, ჰენრი მურთან, ცატკინთან, ბრანკუსისთან, ვლამინკთან, დერენთან, მატისთან, ჟორჟ რუოსთან, დიუფისთან, პიკასოსთან და კაზმირ მალევიჩთან, შაგალთან, მოდულიანთან და კანდინსკისთან. აქ ხსენებულ მხატვართა გვარებს გადაავლეთ თვალი, როგორი მოზღვავებაა ებრაული ნიჭისა. მათ შორის აღსანიშნავია უდიდესი ფერმწერი ხაიმ სუტინი; დიდი ხანია ამ შესანიშნავი ფერმწერით ვარ გატაცებული, დაინტერესებული და აღფრთოვანებული.

პარიზში, კერძოდ „ორანჟერიის“ მუზეუმში, სუტინის ოცდაათამდე ორიგინალი, ფერწერული ტილო ვნახე. მერე მუზეუმშივე მხატვრის ძალიან კარგი ალბომიც შევიძინე. საქვეყნოდ აღიარებულია, რომ სუტინი უდიდესი ფერმწერია, საოცრად დამოუკიდებელი და ყველა ფერმწერისაგან გამორჩეული ინდივიდი.

ხაიმ სუტინის ტილოზე ფერის ცის ნაკადად მოსვლაა და სულიერის განწყობილების უცნაური გახელებაა, დიდი მისტიური ფერმწერი, როგორც მარტოობის მხატვარი, თავისუფალი გონებისა და ხალასი სულისაა... მის სურათებში ფერთა ნიაღვრული მოვარდნაა და კოსმიურ სივრცეში, დედამიწის ფერთა სრულყოფილი და დამოუკიდებელი მოგზაურობაა; უსაზღვრო ჟღერადობის ფერთა ლაქათა და ხაზთა სწრაფმავალი დინამიკაა. ყოველივე ეს საოცრება, თითქოსდა ხელშესახებ ხილულ სულად გვესახება. ვდგავართ მისი სურათის წინ და ირგვლივ იდუმალ ფერთა და ლაქათა ღრმა ენერგიული მოძრაობაა ყველგან. ზოგჯერ ნიავივით ტრიალებს სრული მიწიერი, საამო მისტიკა. სუტინის ფერწერული სურათების მისტიკურ-ზღაპრული განწყობილება, თავშეუკავებლობით და აწყვეტილი დინამიკით, მძაფრი ტემპერამენტითა და უშველებელი მელანქოლიური სევდის მეშვეობით იძერწება ახალი მხატვრობის უცხო და ჩვენგან შორეული ფერწერული მაგია, რომელიც ყოველ ნორმალურ ადამიანს მაჯის პულსს აუჩქარებს, სულს აუფორიაქებს და ორგანიზმის მიკრო უჯრედიც მისდა შესატყვისად გაცოცხლებულია (რა ცოტა ხანს იცოცხლა ამ დიდმა ფერმწერმაცძ. ამრიგად, მის ირგვლივ გამოფენილ მრავალ მხატვარს გავიწყებს და მხოლოდ მისეული ნიჭის და საოცარი ინდივიდის ტყვეობაში ვარდები. მხატვრის მიერ ფერწერულად მკვრივად ჩამოსხმულ პორტრეტებში, გროტესკულობის და ყოველგვარი კარიკატურის გვერდის ავლით, პერსონაჟთა არნახული მძაფრი ხასიათებია გახსნილი, შესაძლებელია ბოსხსაც შეშურდებოდა ყოველივე ეს. სურათის ხასიათური განწყობილება, შაშხანიდან გასროლილ ტყვიასავითაა, რომელიც მიზნის შუაგულ წერტილში მოხვედრილი. დიდი რემბრანდტის, ვან გოგის, სეზანის, დერენის, გოგენის, მოდელიანისა და მრავალ ფერმწერთა ჯადოქრული მთავარი არტერიები და ჯანსაღი, სისხლის გამტარი ძარღვები სუტინშია ჩაქსოვილი. აქედან გამომდინარე, უნაკლო ნიჭის მხატვარი-ინდივიდი დიდ სუტინადაა ჩამოქანდაკებული. ყოველი ფერწერული სურათის ზედაპირზე, ფუნჯით წერის არნახული თავისუფლებაა (მხოლოდ ფუნჯისძ და ჯანსაღი სულის უკიდეგანო აწყვეტაა. მხოლოდ ასეთია ნაღდი ბუნების ფერთა დამოუკიდებელი არსებობა და დედამიწისეული სურნელით გაჟღენთილი მარადიული სიცოცხლე. მატისში, დერენში, პიკასოში, მოდელიანში, ვან-გოგში, დიუფიში, ფერი, ხაზი, ფორმა და სიტყვიერად ძალიან ძნელად გამოსახატავი მხატვრული საოცრება, სურათის შინაგანი გემოვნება და კულტურა, რომელიც სრულყოფილად ემსახურება ფერწერული კომპოზიციის შექმნას; გენიალური მგოსნის, ყოველი აბზაცის, საკუთარი პოეტური სტილის და უხილავი რიტმ-ხაზის განწყობილებასავითაა შობილი სუტინის ფერწერა, ანტუან ბურდელის შემოქმედებასავითაა ქვეყნიერების წინაშე ხელოვნების ამბოხებულად მოსული მისი სურათის ყოველ მონაკვეთში სრული მისტიკის კოსმიური, უსასრულო დინამიკა. ფეთქებადი ფერთა ფორმების მძლავრი კონტრასტული ლაქების და სურათში ამ ძალთა შემბოჭავი მხატვრული ხაზების და აუცილებელი ფერადოვანი წერტილების ზეძალა რომ არა, სურათის შემადგენელი ფერები და ფორმები ნიაღვრად გადმოვიდოდა კოსმიურ უსასრულობაში; სხვადასხვა ფორმის და ორნამენტიანი ჩარჩოების საცოდავი ცარიელი სახეები უნდა გენახათ მერმე...

სუტინის ფერთა ღელვა, მისი სისტემა და იშვიათი შემადგენლობა, სამყაროს რომელიღაც შორეულ გალაქტიკაში აფეთქებული, უზარმაზარ პლანეტასავითაა რომელმაც წარმოშვა მრავალი მიკრო პლანეტა და უთვალავი მეტეორი, რომელნიც უკიდეგანოდ მიმოფანტულია სამყაროს უსასრულობაში. ამდაგვარ კოსმიურ სასწაულს მოგვაგონებს ხაიმ სუტინის ზეემოციური შემოქმედება და დინამიკური ფერწერის უსასრულო და საკვირველ ფერთა ალიაქოთური ატეხვა; ხელოვნებაში ნებისმიერი მოდერნი უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ ცხოვრებისეულ და ბუნებრივ იდეას... სუტინის, მუზეუმის ყველა მხატვრისაგან განსხვავებული დარბაზიდან გავდივარ, ჩემთვის გარკვეული ფერწერული მიზნების და იქვე, მათივე სტილის დასაზუსტებლად, ასევე სუტინის, სხვა ფერმწერ მხატვრებთან შედარებისთვის. ამჯერად დერენის დარბაზში ვჩერდები და სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი ღიაცის ქვეშ მოვხვდი: აქ სულიერი სიმშვიდე ვიგრძენი, მაგრამ, შინაგანი ფერწერული გამჭირვალება და უხმო, მძაფრი და ჩვენს სუტინთან ნათესაური დინამიკაა დერენშიც...

დერენთან, ძუნწი ფერების, შინაგანი სურათული ფუნქციის აწევაა მაღალ დონეზე და თანამედროვე მხატვრის საუბარია დიდი კლასიკოსების გახსენებით. დერენის ულამაზესი სურათებიდან გადავინაცვლე სხვა მომდევნო საგამოფენო დარბაზში და აგერ, ჩემი ტანჯული მოდელიანი შემომეგება, ფერი? ფერი აქ გახლავთ საამოდ მსუყე, ღრმაშინაარსიანი, დრამატული, მაგრამ მხატვრის მიერ შექმნილი ყოველი ფორმა ხაზი და კონკრეტული ულამაზესი ლაქები, ჯერ არნახული სიცოცხლით სავსე და ღრმად სულიერია. ჯანმრთელ ფერთა ჟღერადობისაა და სრულიად ახალი მუსიკალური ფორმის შობაა, ყოველი დეტალიც კი სურათში უდიდესი მათემატიკოსის დონეზეა გაანგარიშებული.

ხაიმ სუტინის შემოქმედებაში, სამყაროს უახლოესი ციური სხეულების ჩვენი პლანეტის და მასზე მცხოვრებ ადამიანთა სულიერი ამბოხის ფერწერული სურათია შექმნილი, რომელსაც გაგრძელება არ უწერია. **ის შემოქმედებითი ალიაქოთი, მხოლოდ სუტინით მოვიდა და ძალიან ჩქარა წავიდა; ამ უძლიერესმა ფერწერულმა ქარბორბალამ ავტორი უდროოდ მიიტაცა. რატომღაც, უზენაესი ძალისგან სამუდამოდ დაკანონებულია, რომ გენიები ვაჟკაცურად ეწირებიან მათივე უდიდეს ნიჭიერებას და მაღალ სულს, ანუ ყოველი მათგანი ჩაძირულია კოსმიურ უმწვავეს შემოქმედებით საიდუმლოებათა უსასრულობაში.**

**რეზო ადამია,**
სახალხო მხატვარი.

## ◉ სევდა

**ჯანო ჯანელიძე**

# ჩვენი თამადა

**ვახტანგ გოგუაძის ხსოვნას**

**დღეს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს 68 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, მისალოცის მაგიერ სევდიან მოგონებას ვუძღვნი.**

**იმ დღეს ჩვენი მეგობრის, ღირსეული მამულიშვილის, პროფესორ პაატა კოღუაშვილის ოჯახში შევიკრიბეთ უახლოესი ადამიანები. თამადობა, ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ ითავა. ჟღერდა ქართული სიმღერები და ლამაზი ლექსები. ვლაღობდით, ვმხიარულობდით.**

**...და მაინც შეუცნობელი სევდა დაჰკრავდა ჩვენს იმდღევანდელ შეხვედრას, ჩვენს სუფრას. თურმე უკანასკნელად ვხვდებოდით ჩვენს საყვარელ მეგობარს. განუმეორებელი ხიბლი და სიკეთე ახლდა მის ყოველ სიტყვას, გურულ იუმორს, შეფარულ ირონიას. ეს ყოველივე ახსოვთ მის მეგობრებს, მთელ საქართველოს, რომელიც ასე უყვარდა ჩვენს ძვირფას ვახტანგს.**

*იყო ნათელი მარადის მფენი,
ოქროპირობდა ჩვენი თამადა,
იყო ღიმილიც უთქმელის მთქმელი,
სიტყვამ ქართულმა გაიმარადა.*

*თითქოსდა ბოლო სათქმელი გათქვა,
თითქოსდა ციდან ჰკრეფდა
ვარსკვლავებს
და ვარსკვლავებით ავსილი კალთით,
ვით გუთნისდედა გუთნის ნაკვალევს,*

*მიჰყვებოდა და აბნევდა ხნულში
მარცვლებს
რამდენი ითქვა სათქმელი,
თითქოს ყოველი ეს იყო გუშინ,
საკურთხეველზე ენთო სანთელი*

*ჩაქრა უეცრად და უმოწყალოდ
(მართლაცდა ყოველს ღმერთი
განაგებსძ,
ასე დუმდება მთის წმინდა წყარო,
ასე ირემი წყდება წარაფებს.*

*ღიმილი მისი — ღიმილი სევდის
მარად ენთება ჩვეულ ნათელით,
ო, რა მკაცრია მართლაცდა ბედი,
განსაკუთრებით ბედი ქართველის.*

*ეს მზე ჩახჩახა რა არის მაინც,
ხანაც ბნელობს და ხანაც ბრწყინდება
და რჩება ხსოვნა მხოლოდღა ხვალის,
გაუგებარი, როგორც დიდება.*

*და იყო სევდა შეუცნობელი,
წუთი რა არის, აბა მარადთან?!
და ენთო ჭალი, ვით ღმერთის ლელი,
იწვა მდუმარედ ჩვენი თამადა.*

*ცხოვრებაც რაა?! — არილი მთვარის,
ქედდადრეკილნი იდგნენ ქედები,
ო, გულო, ერთხელ დამინდე მაინც,
ასე ულმერთოდ ნუ შეჩერდები.*

*თალხი ემოსა ბახმაროს კალთას,
გადაიკივლეს თეთრმა თელებმა,
ცხელი გულივით გახლეჩილ კართან
იდგა შემკრთალი შემოთენება.*

19.11.07 თბილისი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-65-87; 899 32-85-76.

ინფორმაცია

## წვრთნებს ქართველებთან შეუთანხმებლად ატარებენ

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულმა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გუშინ გამთენიისას სამხედრო წვრთნები დაიწყეს. აღნიშნულ ინფორმაციას აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორი თორნიკე კილანავა ადასტურებს. მისივე ინფორმაციით, ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთაში დისლოცირების ბაზიდან რუსმა სამშვიდობოებმა ტექნიკის გატანა დაიწყეს.**

დახურული კამაზებით ოჩამჩირის მიმართულებით გადაიტანეს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, ნაღმმტყორცნები და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის განკუთვნილი საზენიტო დანადგარები. გადაადგილების მიზეზად რუსები ოჩამჩირესთან ახლოს - ნაყვალოუს ტერიტორიაზე რუსი სამხედროებისთვის სასწავლო წვრთნის დაწყებას ასახელებენ, — აცხადებს კილანავა, მისივე თქმით, წვრთნები ქართულ მხარესთან შეთანხმებული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ რუს სამხედროთა წვრთნების პარალელურად სამხედრო წვრთნას ილორის პოლიგონზე აფხაზი სამხედროებიც ატარებენ. სამხედრო წვრთნებში მონაწილეობს 300 აფხაზი და 200 რუსი ჯარისკაცი. წვრთნებში გამოყენებულია რუსი სამხედროების მძიმე ტექნიკა.

წვრთნებს ხელმძღვანელობს თავდაცვის დეფაქტო სამინისტროს სამხრეთის მიმართულების სარდალი, პოლკოვნიკ ვლადიმერ ანუა.

წვრთნების სახელწოდებაა „აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში მისი განადგურება".

## ხაჩიროვი და ვალიევი 10 ათას ლარად გაათავისუფლეს

**ქართულმა მხარემ გასულ წლის აგვისტოში დაკავებული ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი შერეული სამშვიდობო ძალების სამხრეთოსური ბატალიონის წარმომადგენლები გაათავისუფლა. ვიტალი ვალიევისა და ტარიელ ხაჩიროვის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია კონფლიქტის ზონაში მდგარი სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწემ იური ვერეშაკმა გაავრცელა.**

— ვალიევი და ხაჩიროვი, რომლებსაც ბრალი კონფლიქტის ზონაში საქართველოს მოქალაქეების უკანონო თავისუფლების აღკვეთაში ედებოდათ 10 ათასი ლარის (დაახლოებით 6 ათასი აშშ დოლარი) გირაოს გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. დღეიდან ისინი შვებულებაში იმყოფებიან, — განაცხადა ვერეშაკმა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ჩრდილოოსური ბატალიონის დაკავებული სამშვიდობოების გათავისუფლება ოფიციალურად ორჯერ მოითხოვა.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების განცხადებით, 3 სექტემბერს სამინისტროში რუსეთის ფედერაციაში საქართველოს დროებითი რწმუნებულიც კი მიიწვიეს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 29 აგვისტოს შსს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ოსი ეროვნების ორი მოქალაქე, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან მოქალაქეების: მაცი კვარაცხელიას, დავით გალეგაშვილის, მცირეწლოვანი ცოტნე ბროლაძის, ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტების: ლევან ჯორბენაძის, არჩილ ნიკოლაიშვილის, ტელეკომპანია „მზის" ჟურნალისტების: მაკა გიგაურისა და ზაზა კაპანაძის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში.

ინტერპრესნიუსი

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 19 წლის II ჯგუფის ინვალიდი; მყავს 27 წლის ძმა, რომელიც ბიზნესმენია. მშობლები ამ ორი წლის განმავლობაში დამეღუპა — ჯერ დედა შეიწირა გულმა, შემდეგ მამას მოუვიდა ინსულტი. ეკონომიკურად უკიდურესად მიჭირს. შემიძლია მოვითხოვო დახმარება ძმისგან, თუ იგი ნებაყოფლობით არ ზრუნავს ჩემზე?**

**ლოლიტა მუსერიძე**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლის შესაბამისად, დები და ძმები, რომელთაც საკმაო თანხები გააჩნიათ, ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი შრომისუუნარო დები და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ მიიღონ ასეთი დახმარება თავისი მშობლების, მეუღლისა და შვილებისაგან.

გააცანით ჩვენი პასუხი თქვენს ძმას და თუ იგი კვლავ უარს განცხადებას თქვენს დახმარებაზე, დაუყოვნებლივ მიმართეთ სასამართლოს.

* * *

**კითხვა: გასული წლის 1 ივნისიდან ვმუშაობ შპს „თოლიაში". მაქვს მაღალი ხელფასი. ვიღებ პენსიას თვეში 55 ლარის ოდენობით. რამდენი წლის შემდეგ შეიძლება გამეზარდოს პენსია, თუ როგორც პენსიონერი სამუშაოდან არ დამითხოვეს?**

**ქეთო ამაღლობელი**

**პასუხი:** კანონი — პენსიის დანიშვნის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში უფრო მაღალ ხელფასზე მუშაობის შემთხვევაში პენსიის გაზრდის შესახებ, 15 წელზე მეტია, საქართველოში აღარ მოქმედებს ამდენად ამ გზით



თქვენი პენსიის გაზრდისათვის, სამწუხაროდ, არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

* * *

**კითხვა: ვარ 42 წლის, ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში, მყავს 3 მცირეწლოვანი შვილი. როგორც გამოგვიცხადეს, უახლოეს დღეებში ჩვენს დაწესებულებაში მოსალოდნელია დიდი რეორგანიზაცია და შტატების შემცირება. გთხოვთ, განმიმარტოთ, არის თუ არა ძალაში კანონი, რომელიც თანაბარ პირობებში სამუშაოზე დარჩენის უპირატესობას აძლევს და იმ პირებს, რომელთაც ჰყავდათ 2 ან მეტი არასრულწლოვანი შვილი?**

**შორენა იმედაძე**

**პასუხი:** ახალი შრომის კოდექსით მსგავსი შეღავათი გათვალისწინებული არ არის, მაგრამ თუ თქვენს შვილებს სხვა მარჩენალი არ ჰყავთ, დამსაქმებელი, ვფიქრობთ, თქვენი ოჯახის მდგომარეობას გაითვალისწინებს და მცირეწლოვან ბავშვებს ულუკმაპუროდ არ დაგიტოვებთ.

* * *

**კითხვა: მეუღლეს დავშორდი, გვყავს 2 მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც დედასთან ცხოვრობენ, რაც ხელფასი მაქვს, ბავშვებს შუაზე ვუნაწილებ. აუცილებელია, ალიმენტი სასამართლო წესით გადავიხადო, თუ შეიძლება ნებაყოფლობით გავაგრძელო მისი გადახდა?**

**მერაბ ოდიშელიძე**

**პასუხი:** თუ თქვენი ყოფილი მეუღლე არ აღძრავს საკითხს სასამართლოში ალიმენტის გადახდის შესახებ (გაუგებარია, რატომ განქორწინების საქმესთან ერთად არ გადაწყდა ეს საკითხი), შეგიძლიათ გააგრძელოთ თქვენი შვილებისთვის ალიმენტის ნებაყოფლობითი წესით გადახდა.

* * *

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, რა ფორმით შეიძლება არსებობდეს არასამეწარმეო იურიდიული პირი?**

**ამირან ტოროტაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, არასამეწარმეო იურიდიული პირი შეიძლება არსებობდეს როგორც კავშირის (ასოციაციის), ისე ფონდის სახით.

* * *

**კითხვა: ახალი შრომის კოდექსის ძალაში შესვლამდე თუ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის დადებული იყო შრომის ხელშეკრულება, აუცილებელია მისი შეცვლა?**

**მერცია ილურიძე**

**პასუხი:** ძველი ხელშეკრულების შეცვლა ახალი, შრომის კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით (თუ ხელშეკრულებას ვადა არ ამოწურვია) აუცილებელი არ არის, მაგრამ ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ (2006 წლის 4 ივლისი) პირის სამუშაოზე მიღების შემთხვევაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ყველა ის ცვლილება, რომელსაც მოქმედი კოდექსი ითვალისწინებს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**



**ედუარდ შევარდნაძე მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი**

**ბადრი პატარკაციშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



**საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, თადარიგის პოლკოვნიკი, დიდებული პიროვნება და შესანიშნავი მოქალაქე**

**ირაკლი თეოფილეს ძე ფარქოსაძე**

**იგი დაიბადა 1922 წელს ონის რაიონ სოფელ სევაში. 35 წლის განმავლობაში მსახურობდა საბჭოთა კავშირის არმიის რიგებში. 1960-1969 წლებში იყო ნოვოსიბირსკის საჰაერო თავდაცვის არმიის რადიოტექნიკური ჯარების სარდალი, 1969-1976 წლებში — კიევის სამხედრო აკადემიის რექტორი. ამავე პერიოდში არჩეული იყო უკრაინის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. აქვს მიღებული ორდენები, მედლები და სხვა მრავალი სახელმწიფო ჯილდო, მათ შორის უცხო ქვეყნების (გერმანია, პოლონეთი, მონღოლეთი).**

**საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ნელი საყვარელიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

გადამხდელი

## შეღავათები ახალ სალარო აპარატებზე

**2010 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც დაქირავებულ პირთა შრომას არ იყენებენ და ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე განლაგებულ არასტაციონალური სავაჭრო ადგილებიდან ვაჭრობენ, მათ შორის, დახლებიდან.**

აღნიშნული განმარტებით, ფინანსთა სამინისტრო ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთა განცხადებას ეხმაურება.

გადამხდელთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, დაშვებულ იქნა ერთწლიანი ვადა იმისათვის, რათა მსხვილი სავაჭრო ობიექტების მფლობელებს საშუალება ჰქონდეთ დაჯარიმების გარეშე, ეტაპობრივად ამოიღონ ხმარებიდან რეესტრიდან ამოღებული სალარო აპარატები. იმ ობიექტების მესაკუთრეებს, რომლებიც სალარო აპარატების შეძენას ამჟამად აპირებენ, ფინანსთა სამინისტრო რეკომენდაციით მიმართავს, აღარ იყიდონ ისეთი ტიპის სალარო აპარატები. ამასთან, 2008 წლის განმავლობაში პრობლემები არ შეექმნებათ იმ მეწარმეებს, რომლებიც ამგვარი ტიპის სალარო აპარატებით სარგებლობენ, — ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში.

როგორც ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა იოსებ შატბერაშვილმა და პაატა ჯიბლაძემ განაცხადეს, ფინასთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის №8000 ბრძანებულებით, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრიდან 17 დასახელების და მოდელის სალარო აპარატია ამოსაღები, რომლის ნაცვლად მცირე თუ საშუალო მეწარმემ ახალი აპარატები უნდა შეიძინოს.

ინტერპრესნიუსი

**განცხადება**

**მიმდინარე წლის 28 მარტს მოწვეულია სს „თბილმარგარინმრეწვის" აქციონერთა საერთო კრება დღის 12 სთ-ზე.**

**დღის წესრიგი:**

2007 წლის ანგარიში და მომავლის ამოცანები.

**სს „თბილმარგარინმრეწვის" დირექტორი მ. სამხარაძე**

**სს „კრედიტინფო საქართველო" აცნობებს თავის აქციონერებს, რომ ამა წლის 4 მარტს შედგება აქციონერთა რიგითი საერთო კრება:**

**მისამართი: თბილისი, ჯანაშიას ქ.№16.**

**სს „კრედიტინფო საქართველოს" დირექცია**

# ბოლო გვერდი

**საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ამის შესახებ მან სააგენტო „როიტერს" განუცხადა. ოქრუაშვილის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის და ექსტრადიციის საკითხზე საფრანგეთის სასამართლოში პირველი სხდომა 27 თებერვალს არის დანიშნული**



## ინფორმაცია

## „ეროვნული შეურიგებლობის დეკლარაცია"



**ლეიბორისტულმა პარტიამ „ეროვნული შეურიგებლობის დეკლარაციის" პრეზენტაცია გამართა.**

**ლეიბორისტები მიიჩნევენ, რომ არჩევნებითა და გადატრიალებით ხელისუფლების შეცვლა დაუშვებელია, ამიტომ მშვიდი, წინდახედული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.**

ემოციური ურთიერთობების პერიოდი უნდა დასრულდეს. ჩვენ ქართველ ხალხთან ერთად უნდა ვიმსჯელოთ, ჩამოვყალიბდეთ და შევთანხმდეთ, თუ რას ვერ შეურიგდება ქართველი ხალხი. ამიტომაც ვაქვეყნებთ დეკლარაციას, სადაც დეტალურადაა გაწერილი, თუ რას უნდა გამოვუცხადოთ დაუმორჩილებლობა, – განაცხადა ნესტან კირთაძემ.

„ეროვნული შეურიგებლობის დეკლარაციაში" ჩამოთვლილია, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობა უნდა გამოუცხადდეს არსებულ საპრეზიდენტო ინსტიტუტს, უსამართლობასა და პოლიტიკურ სასამართლოს, პოლიტიკურ პოლიციასა და ანტიეროვნულ კანონმდებლობას, ასევე ნულოვან ტოლერანტობასა და არადემოკრატიულ საარჩევნო კანონმდებლობას, ეკლესია-მონასტრების ნგრევას, ასევე საგარეო ურთიერთობის კურსს, კერძოდ, რუსეთთან უარყოფით ურთიერთობას.

ლეიბორისტების განცხადებით, აღნიშნული დეკლარაცია მთელ საქართველოს მოივლის და მასზე მოსახლეობის ხელმოწერები გაკეთდება.

## „ოქრუაშვილის სამეული" თბილისში დაბრუნდა

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წევრები ეკა ბესელია, გიორგი ცაგარეიშვილი და გია თორთლაძე საფრანგეთიდან საქართველოში გუშინ, გამთენიისას ჩამოვიდნენ.**

როგორც ეკა ბესელიამ განაცხადა, შესაძლოა, მათი პრესკონფერენცია ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების ფაქტის აქტუალობის გამო აღარ შედგეს.

მისივე თქმით, მოგვიანებით ისაუბრებენ საფრანგეთში ვიზიტის დეტალებზე და გააკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს. ასევე გაახმაურებენ პარტიის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მოძრაობის წევრები რამდენიმედღიანი ვიზიტით საფრანგეთში იმყოფებოდნენ. ისინი პარტიის ლიდერს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდნენ.

საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ამის შესახებ მან სააგენტო „როიტერს" განუცხადა. ოქრუაშვილის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის და ექსტრადიციის საკითხზე საფრანგეთის სასამართლოში პირველი სხდომა 27 თებერვალს არის დანიშნული.

## პოლიტპატიმართა სიაში ქარელი და ოქრუაშვილიც შეიტანეს

**კონსერვატიულმა პარტიამ ოფიციალურ ვებგვერდზე იმ პირთა სია გამოაქვეყნა, რომელთა მიმართაც ეროვნული საბჭო სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითხოვს. განახლებულ სიაში სულ 30 გვარია შეტანილი. 7 ნოემბრის აქციის შემდეგ დაკავებულ პირებთან ერთად სიაში შალვა რამიშვილი, ბიძინა გიორგობიანი, ირაკლი ოქრუაშვილი და მიხეილ ქარელიც არიან.**

განახლებულ სიაში მოხვდნენ ეროვნული საბჭოს ის წევრებიც, რომლებიც რუსეთის აგენტურასთან თანამშრომლობაში იყვნენ დადანაშაულებულები. ესენი არიან – გოგა ხაინდრავა, ლევან ბერძენიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია, სიაში შეტანილია „ლეიბორისტთა" ლიდერი შალვა ნათელაშვილიც.

## ოპოზიციის მოთხოვნები მუდამ ცვალებადია

**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ნაზი არონია აცხადებს, რომ გაერთიანებული ოპოზიციის მხრიდან მოთხოვნების მუდმივი ცვალებადობა ოპოზიციის პოზიციების არამდგრადობაზე მიუთითებს.**

ამის შესახებ ნაზი არონიამ გაერთიანებული ოპოზიციის მიერ პოლიტპატიმრების ახალი სიის წარმოდგენასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, ძველ სიასთან მიმართებაში შეუძლია თქვას, რომ იქ ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვთ.

დეპუტატმა დასძინა, რომ ასეთ ადამიანებს შეიძლება მრავლად ჰყავდეთ მეგობრები და ახლობლები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტპატიმრად ქურდული სამყაროს წევრი და ნარკომანი მიიჩნიო.

## „ფეროელები" კვლავ აქციებზე გადავიდნენ

**ზესტაფონში სააქციო საზოგადოება „ფეროშენადნობთა ქარხნის" მუშები საპროტესტო აქციას მართავენ.**

აქციის მონაწილეები ქარხნის ადმინისტრაციულ შენობასთან შეიკრიბნენ. ისინი მოითხოვენ, ბრიტანულ-უკრაინულმა კომპანიამ ქარხანა დატოვოს.

„ფეროშენადნობს" ბრიტანულ-უკრაინული კომპანია „ჯორჯიან მარგანეცი" მართავს, რომელიც „ჭიათურმანგანუმისა" და „ვარციხეჰესის" მფლობელიც არის.

აქციის მონაწილეები აპროტესტებენ იმასაც, რომ სამსახურიდან დაითხოვეს 250 კაცი, რომლებსაც საპენსიო ასაკი შეუსრულდათ.

ისინი მოითხოვენ, ქარხანამ სერიოზული კომპენსაცია გასცეს, გარდა ამისა, აღადგინოს უფასო სასადილოები.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მუშები 4 მარტიდან ქარხნის გაჩერებით იმუქრებიან.

საპროტესტო აქციას მოგვიანებით „ლეიბორისტებიც" შეუერთდნენ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**რეკლამა** *კოსტავას 12*
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
**98-65-87; 899 32-85-76.**

## ყურადღება!

### ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის" (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს




ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის" (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალსძ, 2007 წლის მე-6 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას.

ქართველ ავტორთაგან ჟურნალში დაბეჭდილია დემურ ჩომახიძის – „საქართველო: ენერგეტიკული პოლიტიკა" (რუბრიკით – „ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებში ენერგეტიკული პოლიტიკა და ენერგეტიკული პროექტები").

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ კვალიფიციურ ავტორებს.

ახალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერითაც ვრცელდება.

ტელ: 899 53 76 16, 98 65 87.

## კადრი



## ანეკდოტები



ექიმების რეკომენდაციით, სასურველი არ არის სასულე ორკესტრის მოსმენა მწოლიარე და ნათესავებით გარშემორტყმული ადამიანისთვის.

* * *

– ისურვებდით მილიონი წლით სიცოცხლეს?

– მთლიანად თუ კიდევ?

* * *

მუდმივ კითხვათა შორის ყველაზე რთული არის არა „რა ვაკეთოთ?" ან „ვინ არის დამნაშავე?", არამედ „სად იყავი აქამდე, შე პირუტყვო?"

* * *

გზაჯვარედინზე ერთმანეთს შეეჯახა დეპუტატის „ლექსუსი" და მინისტრის „მერსედეს-600". ავარიაში ბრალი დაედოთ ელიავას ბაზრობის მოვაჭრეებს, რომლებიც შემთხვევის ადგილას პატრულის თანამშრომლებთან ერთად მივიდნენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში". 95-11-92
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.